„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განათლების უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2008 წ. სექტემბერი* №18 * ფასი 1 ლარი

საქართველოს ომის გრიგალმა გადაუარა

ლეილა ცომაია

7-23 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხანგრძლივმოქმედი კოლაფსი და საყოველთაო კატასტროფა მოუტანა ქართველს ერს. ამ ქარიშხალივით თავსდატეხილმა ომმა თავზარდამცემად გააშიშვლა ილუზიონისტ პოლიტიკანის მიხეილ სააკაშვილის ავანტიურისტული ვნებანი – თავს მოეხვია წასაგებად განწირული ომი, რისთვისაც მან დროც, თავისი „დიდი მასწავლებლის“ – შევარდნაძის მსგავსად, აგვისტო შეარჩია, როდესაც მნიშვენლოვნად დაქვეითებულია სამხრეთელი ქართველების შრომისა და ბრძოლის უნარიც, რომ არაფერი ვთქვათ ბაქი-ბუქა პრეზიდენტის „სამხედრო ძლიერების“ ბლეფზე.

ემზადებოდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი და მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი ამ საპასუხისმგებლო ომისათვის? დიახ, ემზადებოდა! 2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა 179 ხმით მიიღო დადგენილება რუსი „სამშვიდობო ჯარების“ ცხინვალის მხარიდან გაყვანის შესახებ (მანამდეც არსებობდა რიგი დადგენილებები ამ საკითხთან დაკავშირებით) და 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულების გადახედვის შესახებ, თუმცა, ოპოზიცია ითხოვდა ამ ხელშეკრულების სრულ დენონსაციას. ყოველწლიურად იზრდებოდა სახელმწიფოს თავდაცვის ბიუჯეტი და ჯარის რიცხვითი რაოდენობა (იგი, საბოლოოდ 2008 წლის 15 ივლისის პარლამენტის დადგენილებით, 37000-ით განისაზღვრა).

2007 წლის ბოლო თვეებში, სააკაშვილის ხელისუფლების მხარდამჭერთა მხრიდან აქტიურად ვრცელდებოდა ხმები ცხინვალის რეგიონის დაბრუნების მზადების შესახებ და ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული აქტის ჩაშლა მთლიანად ოპოზიციის მიერ ნოემბერში საპროტესტო აქციების გაშლას ბრალდებოდა. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში, პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მთავარი პირობა, მომავალ საპრეზიდენტო ვადაში ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნება იყო. ამგვარი აღმაშენებლური ამბიციები (გახსოვთ, ალბათ, მან ორივე საპრეზიდენტო ინაგურაციის დროს ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო) მას პირველ საპრეზიდენტო ვადაშიც გააჩნდა და ცხინვალის რეგიონში „ძლევამოსილი შესვლის“ რეალური მცდელობაც ჰქონდა (2004 წ. ივნისი და აგვისტო-სექტემბერი).

ამ ავანტიურისტული სულისკვეთებითა და პარანოიდული ჟინით გამოსტაცა ხელიდან დაუმორჩილებელ თავდაცვის მინისტრ ირ. ოქროაშვილს (რომელიც მტკიცე შემართებითა და თავდაჯერებით აცხადებდა, რომ 2007 წლის 1 იანვარს იგი ცხინვალში შეხვდებოდა) შიდა ქართლის საქართველოსთვის დაბრუნების შედარებით რეალური ინიციატივა, რისთვისაც მას გააფთრებით შეებრძოლა – 2006 წლის ნოემბერში იგი თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო 2007 წლის 27 სექტემბერს, კორუფციის ბრალდებით დააპატიმრა, 10 მილიონი ლარი გირაოს სახით გამოსძალა, საქართვლეოდან განდევნა (მას საფრანგეთის ვიზა და გერმანიის ბილეთი საპატიმროში მიუტანეს) და ემიგრაციაშიც მასზე სისხლის სამართლის დევნა გამოაცხადა. ოქრუაშვილის ნაცვლად კი, თავდაცვის მინისტრის პოსტზე სრულიად უსახური და არაჯანსაღი ჰაბიტუსის (გავრცელებული ხმებით იგი მორფინისტია) პიროვნება დავით კეზერაშვილი აღაზევა.

ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს ერთი დღითაც კი არ ჩაუცვამს სამხედრო ფორმა და არც ნირი შეცვლია, არამედ მას და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, ომის დაწყებიდან ოთხი დღის განმავლობაში, პირიდან ღიმილი არ მოსცილებიათ, როცა ბარბაროსი მტრისაგან ულმობლად იწირებოდნენ ხელისუფლებისაგან სრულიად დაუცველი ადამიანები, სრულად წყდებოდნენ ოჯახები და სისხლიდან იწრიტებოდა საქართველო.

ჩვენი ქვეყნის ეს ორი უმაღლესი ხელისუ-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ. ფალი კი სასოწარკვეთილ, დაბნეულ-გაოგნებულ ხალხს, პარლამენტის წინ მიტინგებზე უხმობდნენ და იმედისა და რაიმე გონივრული სტრატეგიის ნაცვლად ხელში დროშებს აჩეჩებდნენ, მათ წინაშე ბაქი-ბუქობდნენ და ტაშ-ფანდურობდნენ.

უმაღლესი მთავარსარდლისა და პარლამენტის თავმჯდომარისა მგვარ არაადექვატურ ქმედებებს, ბარბაროსი მტრის თბილისში შემოჭრის მცდელობამ უცვალა ნირი. აი, მაშინ კი დამფრთხალ-დამდუღრული სახით გამოვიდა დავით ბაქრაძე და ტელევიზიით განგვიცხადა: ყველამ საკუთარი შესაძლებლობებით დაიცავით თავიო და პრეზიდენტ-მთავარსარდლის დანაბარებიც გადმოგვცა: მშვიდად შეხვდით განსაცდელს, გარეთ არ გამოხვიდეთ, თუ მტერი სახლებში შემოგეჭრათ ხელები არ გაანძრიოთო, ანუ მტერს ხელებაწეული და დაჩოქილი შეხვდითო. თავად ბაქრაძეს კი სახეზე აშკარად ეწერა გაქცევის მზადება, სავარაუდოდ, პრეზიდენტ-მთავარსარდალთან ერთად.

დიახ, ეს მუხანათური გადაწყვეტილება ბაქრაძის ჩამქრალ-გასაიდუმლოებულ მზერაში აშკარად ბუდობდა. ხელისუფლებას არაოფიციალურად ჩამოცილებული იყო სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე, რომელიც, ომის დაწყებამდე, რამდენიმე თვის განმალვობაში საერთოდ არ ჩანდა სახელისუფლო ავანსცენაზე და იგი მხოლოდ ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს გამოჩნდა მოკრძალებული საქმიანობით – კაბინეტური შეხვედრები გამართა მთავრობის წევრებთან.

ეს, ხობელი, 21 წლის გოგიჩა ქარჩავა, იგი 41-ე ბატალიონში მსახურობდა და 8 აგვისტოს ცხინვალის დაცვის დროს დაიღუპა.

ჩვენ ვესაუბრეთ რამდენიმე ჯარისკაცს, რომლებმაც გვითხრეს, რომ მათ ბოლო ორის თვის განმავლობაში, ყოველ დღე ამზადებოდნენ ცხინვალში შესასვლელად, მათ იცოდნენ, რომ უნდა ებრძოლათ შიდა ქართლის დასაბრუნებლად. (ჩვენ მათ სახელებსა და გვარებს და დისლოკაციის ადგილებს შეგნებულად არ ვასახელებთ). ომიდან გამოსული, გადარჩენილი ჯარისკაცები კი გვეუბნებოდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ტყვია-წამალი და თვით ავტომატებიც კი, უიარაღო ბიჭები, ბრძოლის ჟინჩაკულული იღუპებოდნენო. მაგალითად, ვაზიანის 7000 კაციან ბატალიონიდან მხოლოდ 300 ჯარისკაცი გადარჩენილა.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა, ბლეფად აქცია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ყბადაღებული და რეკლამირებული ჩვენი თავდაცვის უნარიანობა და სიძლიერე და ნათლად წარმოაჩინა თავზარდამცემი რეალობა: საერთოდ არ გვყოლია სამხედრო ავიაცია, არ გვქონია არანაირი საზენიტო დანადგარები, ხუხულა ყოფილა სანავიგაციო სისტემა, არ გვყოლია არანაირი დაზვერვა, არ გვქონია საკმარისი ავტომატები და ტყვია-წამლებიც კი, ეს ყოველივე მაშინ, როცა ქვეყნის სამხედრო თავდაცვის ბიუჯეტი ორჯერ აღემატება სამოქალაქო ბიუჯეტს, ხოლო ჯარისკაცების წვრთნა და სამხედრო მომზადება მხოლოდ რეკლამისთვის განკუთვნილი მოკლემეტრაჟიანი კინოსერიალები ყოფილა.

მთელი ომის განმავლობაში გულისმომკვლელად და აღმაშფოთებლად მწირი იყო ინფორმაციები ომის მსვლელობისა და მდგომარეობის შესახებ. სააკაშვილის მიერ მონოპოლიზირებულ ტელევიზიებში აშკარად იგრძნობოდა მკაცრი სახელმწიფო ცენზურა, მაშინ, როდესაც დღევანდელი ტექნიკური პროგრესის პირობებში სრულიად შესაძლებელია პირდაპირი ტრანსლიაცია საომარი მოქმედებებისა. ასე იყო ერაყის ომის, იუგოსლავიის და თვით ჩეჩნეთის ომის დროსაც. ჩვენ კი მხოლოდ უცხოური ტელეკომპანიების მოიმედენი ვიყავით, რომ ის ინფორმაციები მაინც მიგვეღო, რასაც ეს ტელეკომპანიები ავრცელებდნენ საინფორმაციო მეტრაჟით. ქართველ ჟურნალისტებს, ვითომდაც მათი უსაფრთხოების მიზნით ომის მოქმედების ზონებში არ უშვებდნენ. შესაბამისად არაფერი ვიცით, როგორ იბრძოდნენ ჩვენი ჯარისკაცები, რა სამხედრო ტექნიკით, როგორი განლაგებით, საერთოდ იყო თუ არა ომის ეპიცენტრში თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რომელიც ტელეეკრანზე მხოლოდ 17 აგვისტოს გამოჩნდა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. სად იყო და როგორ მოქმედებდა ჩვენი გენერალიტეტი, უშიშრობისა და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საზღვრის დეპარტამენტის უფროსი ბიწაძე, რომლებიც ერთიანად გამქრალი იყვნენ არეალიდან. ჩვენ იძულებულნი ვიყავით გვესმინა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მიერ ორწუთიან ბრიფინგებზე გაჟღერებული ქართველი მეომრების გმირობებზე, თავგანწირვაზე და ქართველი მეომრების მიერ ჩამოგდებულ 30-მდე ოკუპანტების თვითმფრინავზე, მაშინ, როცა დღემდე არ არსებობს არც ერთის დამადასტურებელი კადრი. ომის შედეგი კი კატასტროფულია, როგორც ფიზიკური სამხედრო ძალისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგებით ასევე ნგრევის მასშტაბებით, რითაც ეს ომი დიდად გასცდა 1992-93 წ. წ. აფხაზეთის ლოკალურ ომს.

დღეს ჩვენ ორკვირიანი ომის შედეგად გვყავს 130 000-მდე დევნილი, 20 000-ზე მეტი დაღუპული (თუმცა ოფიციალური ხელისუფლება ამ ციფრს 2 000-მდე ამცირებს). გადამწვარ-გადაბუგულია თითქმის მთელი საქართველოს ტყე-პარკი და მინდვრები, სრულიად დანგრეული, გაძარცული და გაჩანაგებულია სამხედრო და თვით სამოქალაქო ინფრასტრუქტურაც, აფეთქებულია სარკინიგზო ხიდები და ა. შ. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა ავიაგამანადგურებლებით თბილისშიც შემოაღწია და მოიცვა სრულიად საქართველო, რუსმა ოკუპანტებმა ყველგან ჩვეული მაოხრებული კვალი დატოვეს.

პრეზიდენტისა და მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის მხრიდან აშკარაა მცდელობა ტაბუ დაადოს და მიჩქმალოს ზემო აფხაზეთის (კოდორის ხეობის) საკითხი, რომლის ტერიტორია ჩვენ, ამ ომის შედეგად დავკარგეთ და იქ დღეს საქართველოს დროშების ნაცვლად აფსუა სეპარატისტების დროშა ფრიალებს. იმის ნაცვლად, რომ ამ სტრატეგიული ხეობის შესანარჩუნებლად მაინც გადაგვესროლა მთელი ძალები, სეპარატისტებსა და ოკუპანტებს ხეობა, თითქმის უბრძოლველად დავუთმეთ, საიდანაც, აგრეთვე გვყავს დევნილები.

აგვისტოს ომმა ცხადყო და ნათლად წარმოაჩინა მიხეილ სააკაშვილის, როგორც მთავარსადლისა და მისი მაღალჩინოსანი სამხედროების სრული დილეტანტიზმი და პროფანიზმი, სამხედრო მოუმზადებლობა და უუნარობა, ბლეფად აქცია ჩვენი, ვითომცდა „ევროპული სტანდარტების შესაბამისი, „სამხედრო ძლიერება“. ამ მხრივ სულაც არ გვქონია მნივშნელოვანი პროგრესი შევარდნაძისეულ თავდაცვისუნარიანობასთან, ხოლო საჰაერო თავდაცვა კვლავ არ გასცილებია დავით თევზაძის ლაკატკის დონეს. საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოებისადმი პასუხისმგებლობის ხარისხიც შევარდნაძის დონის იდენტური აღმოჩნდა; ისევე როგორც შევარდნაძემ, არც სააკაშვილმა მოახდინა საომარი კონფლიქტს ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია მაშინ, როცა სეპარატისტების ლიდერმა, ომის დაწყებამდე მზრუნველად გახიზნა ოსი მოსახლეობა და ეს პროცესი არ ყოფილა გასაიდუმლოებული თუ დახურული, არამედ იყო საჯარო. სააკაშვილმა, როგორც 24 აგვისტოს პარლამენტის ბიუროს წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა, იცოდა, რომ რუსეთი ემზადებოდა აგვისტოს ომისათვის და ამის შესახებ აფრთხილებდა კიდეც მსოფლიოს, მაგრამ ევროპამაც, დასავლეთმაც და ამერიკამაც წაუყრუეს. მათ ამგვარი ყრუდქმნილი მდგომარეობა შეინარჩუნეს ომის დაწყებისა და მსვლელობის თითქმის ოთხი დღის განმავლობაში ანუ, სანამ მთლიანად არ დაიბომბა შიდა ქართლის ტერიტორიები და არ ამოხოცეს ქართველი მოსახლეობა და ქართული ჯარი.

საქართველო იქცა რუსეთ-ამერიკის ბრძოლის ველად და ამ ომში დამარცხდა, როგორც საქართველო, ასევე რუსეთიც, რომელსაც ამერიკამ „დუმილის პოლიტიკით" თავისივე დადგმულ ხაფანგში გააყოფინა თავი, რითაც მსოფლიოსათვის საშიშ აგრესორად წარმოაჩინა და საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია და, პერსპექტივაში, სახელმწიფოებრივად დაასუსტა იგი. ნიშანდობლივი იყო, რომ სააკაშვილი, რუსი ოკუპანტების შეფასებისას ისტორიულ პარალელს განუხრელად ავლებდა მხოლოდ 1921 წლის ანექსია-ოკუპაციის ფაქტთან და არამც და არამც გაკვირითაც კი არ ახსენებდა 1991-92-93 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალებასა და რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია-ანექსიის ფაქტს, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამხედრო ძალით დამხობა იყო მსოფლიო შეთქმულების შედეგი და ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა, როგორც დასავლეთი და ევროპა, ასევე ამერიკაც და რუსეთიც. სააკაშვილს კი არ სურს დაუპირისპირდეს, დღეს უკვე თავის პარტნიორ და მოკავშირე ქვეყნებს, ანუ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდის ხსნებით სააკაშვილს არ სურს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრივი კვანძის გახსნა, რომელსაც უფრთხის მსოფლიოც. ეს ტაბუდადებული ისტორიული მონაკვეთია, რომელშიც მნიშვნელოვანია კვარცხლბეკის ფაქტორიც.

ზვიად გამსახურდია (შევარდნაძისა და სააკაშვილისაგან განსხვავებით) ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სუვერენული და ერთიანი საქართველოს პრეზიდენტი იყო.

სააკაშვილის მკრეხელური მცდელობა, რომ თითქოს – „დღევანდელი საქართველოსა და ქართველების გმირობამ პირველად, საქართველოს ისტორიაში აღაფრთოვანა მსოფლიო“, სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ მოახდინოს ფასეულობების დევალვაცია.

თბილისი კი, რუსი ოკუპანტების შემოსევებისაგან ჭეშმარიტად იხსნა მართლმადიდებელი მრევლის ერთობლივმა გულითადმა ლოცვებმა, რომლებსაც ისინი თავიანთ წინამძღვრებთან ერთად ღამისთევით აღავლენდნენ ეკლესიებში. სასწაულთმოქმედი ხატებით ეწყობოდა მლოცველთა მსვლელობები მთელ თბილისში, მრავალრიცხოვანი მრევლის მიერ, ომის დაწყებამდე და ომის პერიოდშიც. ასევე ღვთის ნებითა და წყალობით იყო საერთაშორისო პოლიტიკური ძალების ზეწოლაც, რომ რუს ოკუპანტებს ხელი აეღოთ თბილისშიშეჭრის განზრახვისაგან, შეეწყვიტათ ომი და დაეწყოთ გასვლა ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

აგვისტოს ომში საქართველომ არა თუ დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები, არამედ დაკარგა მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნაწილი – ზემო აფხაზეთი და კიდევ ერთხელ განადგურდა გენოფონდი, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა დაეკისროს ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს მიხეილ სააკაშვილს.

ქვეყან ომსწყურდა ჟანრთვეფებს სიხლდ ერთვომრწეულ რუსეტს.

ისევ ომი, ისევ სისხლი, ისევ უსამართლობა. გასაკვირი არაფერია. კიდევაც დიდხანს ითმინეს. რუსები ისტორიულად ცნობილები არიანუსინდისოპროვოკატორებად, როგორც დამპყრობლები, მათი გონება მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმეშია გაწაფული.

ჩვენ კიუძველესიდროიდან ღალატს მიჩვეულები კვლავ აღმოვჩნდით მიტოვებულები და პირში ჩალაგამოვლებულები. მგონი დადგა დრო შევიგნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეები ჩვენივე შესაძლებლობით მოვაგვაროთ. სტუმრად მოსულებს ბატონებად ნუ გავიხდით. ავიღოთ მაგალითი სომხებიდან. რამდენი ჰყავს სომხებს უცხო ერის ხალხი? რატომ არ ეშინოდა ბალტიისპირელ ხალხს აშკარა სიძულვილი გამოეხატა რუსების მიმართ? არა მგონია ისინი უკულტურო ხალხი იყოს. იმიტომ, რომ რუსი ოკუპანტი სძულთ. ეს უფრო ნორმალურია, ვიდრე მტრის სიყვარული, გაჭირვებაში მყოფი ოსები რომ შევიფარეთ, გაბატონებულებმა, მადლობის მაგივრად რუსების შანტაჟის პროგრამის ნომერ პირველ იარალად იქცნენ. წარბიც არ შეტოკებიათ. ამდენი პროვოკაციის და სისხლისღვრის, შანტაჟის შემდეგ კვლავაც განაგრძობენ საქართველოში ცხოვრებას. ჩვენ ხალხს კი რუსებმა არგაგონილი ტერორი მოუწყო. რისთვის? წავართვით რამე. დივერსია მოვუწყვეთ თუ უბრალოდ რუსების შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა საქართველოს ეხლანდელმა მთავრობამ?

ჩვენი ქვეყნისათვის ომი, დაპყრობა უჩვეულო არ არის, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, ვერა და ვერ გაგვუუჟეს, ვერ გადაგვყლაპეს, ნუთუ ეს არავის აკვირვებს?

კომუნისტურმა რუსეთმა ნელმომქმედი ნაღმი ჩამარხა შესაფერის მომენტისათვის, რომელსაც აფხაზურ-ოსური სინდრომი შეიძლება დავარქვათ. ეს დროც დადგა, საბჭოეთის ნგრევისა, ჩვენმა დამოუკიდებლობის მოთხოვნამ მტაცებელი ცხოველის ინსტინქტი გაუღვიძა რუსებს ისტორიულად ცნობილია რუსების შოვინიზმი. მათ არც ერთი ერის წარმომადგენელი არ უყვართ და რა თქმა უნდა, არც აფხაზები, არც ოსები. ამის შესანიშნავი მაგალითია ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვროებლები. ფაქტიურად მათ აღარაფერი ეროვნული აღარ გააჩნიათ. ისინი, რუსების მიერ კარგა ხანია გადაყლაპულები, მონელების პროცესში იმყოფებიან. ჩვენს მიწაზე მყოფ ოსებს არაფერი აკლდათ, არც აფხაზებს ელით სიკეთე. ის ლამაზი, მოხდენილი ხალხი თითქმის აღარც არსებობს, მათ მაგივრად რუსები, აფსუები დათარეშობენ იმ უმშვენიერეს და ულამაზეს მიწაზე. „რაც მოგივა დავითაო“, ნათქვამია, შეიძლება ზოგნი გულში ნანობენ კიდეც, მაგრამ ეშმაკს რომ შეეკვრები თავის დაძვრენა ძნელია. ისე ნეტავ თუ სჯეროდათ რომ რუსები დამოუკიდებლობას მისცემდნენ? ისტორიას არ ახსოვს, რომ რუსებს ოდესმე ვინმესთვის დამოუკიდებლობა მიეცათ. მათი გაგებით სიტყვა „თავისუფლება“ არის ომი. მშვიდობის მომენტიც ომისთვის მზადებას ხმარდება. ათასნაირი დაპყრობის გეგმებითა და შანტაჟებით. მან არ იცის თავისუფლების გემო. რაც უფრო მეტ ომებშია გახლართული მით უფრო სიცოხლისუნარიანია მონსტრი. აბა სხვის თავისუფლებას რა თავში იხლის.

ჩვენი ქვეყნის წეწვა-გლეჯვა კომუნისტების მოსვლამდეც მრავლად იყო და არც კომუნისტების მოსვლამ დაგვაყარა ხეირი. როგორც კი კომუნისტურმა რუსეთმა დაგვისაკუთრა, თავისი დემაგოგიური იდეოლოგიით ხალხი მოადუნა, გააზარმაცა, გააყალთაბანდა. მოჩვენებითმა სიმშვიდემ ხალხის გონება მოადუნა და ძალიან ბევრი დაარწმუნა იმაში, რომ ოკუპანტები მეგობრები არიან და ჯანდაბას, სიმშვიდე მაინც ხომ არისო ზოგს ეხლაც სჯერა, რომ სსრ კავშირში, თუ დავრჩებოდით, მაშინ, რუსეთი ჩვენი მეგობარი იქნებოდა. ჯერ ერთი რუსებს მეგობრობა არ შეუძლია. აბა გავიხსენოთ ფაქტები. ყველანაირი საკითხები ჩვენი ქვეყნის გარშემო, წყდებოდა, უფროსი ძმის ბუნაგში. ჩვენს ქვეყანას არაფრის უფლება არ ჰქონდა. ჩვენგან გატანილი იყო ჩვენი ეროვნული საგანძური, გადიოდა წიაღისეული სიმდიდრეები, გარდა ამისა ყველაფერს ქართულს ღირსეულს რუსულით იხსენიებდნენ. ცნობილი სპორტსმენები, მომღერლები, მოცეკვავეები, მხატვრები, მეცნიერები, რუსებად იყვნენ მონათლულები. ჩვენ ყველაფერს გვართმევდნენ. ჩვენი პრივილეგირებული ინტელიგენცია ოკუპანტებს მეგობრობას ეფიცებოდა. გულმავიწყ ქართველებს მინდა გავახსენო ჩვენი ძმების ავაზაკური შემოტევა, როდესაც გავკადნიერდით და პროტესტი გამოვხატეთ სტალინის შეურაცხყოფის გამო, როცა სტალინი ჩვენს ასეთ თავგანწირულ თავგამოდებას არ იმსახურებდა, რამეთუ, რაც ჩვენ ეხლა გვჭირს, სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიებისა გამო, – მისი დამსახურებაა, თვით საქართველოს ანექსიაც. ყოველივე მისი ამბიციების შედეგია. სწორედ მან შესწირა საქართველო თავის პოლიტიკურ კარიერას. რა საოცარია, რომ ისევ მისგან გაყიდული სამშობლო და ხალხი აღსდგა მისი სახელის დასაცავად, ჩვენი ხალხი მიმტევებელია და ბრძენი. განა ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო სტალინი ჩვენთვის? მაგრამ იმ დროისათვის მისი სახელის შეურაცხყოფა იმიტომ არ აპატია რუსეთს ქართველებმა, რომ ეს ტოლფასი იყო ეროვნული დამცირებისა. მერე, როგორ დაგვსაჯეს, ჩვენმა ძმებმა? უიარაღო მშვიდობიანი მიტინგი დაიხვრიტეს, უამრავი ახალგაზრდობა ციხეში ჩაალპეს. ზოგიც გონებადაჩლუნგებული გამოვიდა ციხიდან, მე ამის მოწმე გახლავართ. კავშირგაბმულობის წინ ჩემს გვერდზე ახალგაზრდა კაცი დახვრიტეს. მე, ალბათ, დედაჩემის ლოცვამ გადამარჩინა. დასჯა ამით არ დამთავრებულა, ბევრი ეჭვმიტანილი ოჯახი დააწიოკეს და ქართველებს საერთოდაც უპირებდნენ გადასახლებას. გააფთრებულმა ოკუპანტებმა ოსეთ-აფხაზეთის პროვოკაციული მანქანა კვლავ აამოქმედეს. და ნაწილობრივ, მიზანსაც მიაღწია. ჩვენივე, მაგრამ კარგად დახელოვნებული ავანტიურისტ გამყიდველებით. დადგება დრო, ყველას საკადრისი სასჯელი მიეზღვება. ნუთუ მსოფლიოს მეცნიერ-მკვლევარები, ასტროლოგები, ფილოსოფოსები, გონიერი მორწმუნენი არ დაფიქრებულან იმაზე, რომ ამდენ წეწვა-გლეჯვას, უძველესი დროიდან როგორ უძლებს ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალს მიჯაჭვული? ნუთუ ამაში ვერაფერს ხედავენ გასაოცარს? გასაკვირი კიდევ ის არის, რომ ამ მიწაზე მაცხოვრებელი ხალხი გამუდმებულ შრომა-წვალებაშია და არა ნებიერ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ვერც ამ მიწას ელევა, არც არავის აწუხებს.

9 აპრილს, რაც მოხდა ყველამ კარგად ვიცით. იმ საზარელი, ბარბაროსული აქტის შემდეგ, რუსი ოკუპანტების ჯარი, კარგა ხანს დათარეშობდა ქალაქში. ტანკები იდგა ჩემი სახლის წინაც. სიბნელეში ფანჯარასთან მდგომმა ასეთი სურათი დავინახე, ხნიერმა ქალმა ტანკზე მჯდომ ოკუპანტ ჯარისკაცებს საჭმელი და ხილი მიაწოდა. აღშფოთებულმა უცბად ჩავირბინე და მკაცრად შევეკითხე: თუ ხვდები, რას აკეთებ-მეთქი. ქალმა ნაღვლიანად და მორცხვად მიპასუხა. ეს ბიჭი არაფერ შუაშია ამას რასაც უბრძანებენ იმას აკეთებს – არა და მოკლავენ ამ საწყალს. ჩემი შვილიც ჯარშია, იქნებ, მასაც აიძულებენ ამგვარი სიბოროტის ჩადენას. ღმერთმა აპატიოთ ამათ და მოჰკითხოს მათ, ვინც ამ ბავშვებს იარაღად იყენებენ. მერე თვალცრემლიანმა დაამატა: იქნებ, ჩემი გაკეთებული სიკეთე ჩემ შვილსაც წაადგეს. ქალს თანაგრძნობის ნიშნად ხელი მოვხვიე და ჩემდა უნებურად ხალხური ლექსი „ვეფხვის და მოყმის“ ამბავი გავიხსენე. ნეტავ თუ არის ქვეყანაზე ასეთი დიდსულოვანი ერი. ზოგმა შეიძლება სულელიც დაგვიძახოს. რამდენად ბოროტი და უმადური უნდა იყოს ის, ვინც ამას ვერ, თუ არ ხედავს ან შეგნებულად აკეთებს და დროს იხელთებს თუ არა, გღალატობს.

ნუთუ არავის ებადება აზრი რომ ეს მიწა-წყალი და ხალხი ღმერთისგან დალოცვილია. თუ არა სასწაულებრივი ძალა, ეს მცირერიცხოვანი ხალხი, როგორ ახერხებს მის დაცვა-შენარჩუნებას? იქნებ, სწორედ ეს ადგილი არის გრაალი მთელი მსოფლიოსათვის? იქნებ, სწორედ ამ მიწის განადგურება თავისი ხალხიანად, იყოს ნიშანი მსოფლიოს საბოლოო კატასტროფისა და თუ ჩვენი ბრძოლა გამოააშკარავებს ყველაზე უსირცხვილო, დაუნდობელ, მთელი კაცობრიობის მტერს, საქართველოს და ქართველი ხალხის მისიაც შესრულებული იქნება. რუსეთი ამგვარი დივერსიებით და პროვოკაციებით ცნობილია. ახლანდელმა აღვირახსნილმა შემოტევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 21-ე საუკუნის დასაწყისში ულმობელი აგრესია განახორციელეს ქართველების წინააღმდეგ,. გამართლების მიზნით შეთითხნილი ფაქტები თვალებზე ააფარეს მთელ მსოფლიოს. ამჯერად დარწმუნება ვერ მოახერხეს.

თუ ეხლა საპროტესტო აქციებით არ ვამხილეთ აგრესორი, ხვალ თავად აღმოჩნდებით მისი მსხვერპლი. მოახლოებულია ჟამი განკითხვისა. დედამიწაზე სიბოროტე გააფთრებით დაქრის. აბა თუ ოდესმე ახსოვს ისტორიას: ამდენი მკვლელობები, სადიზმი, ენით აუწერელი სექს-კრიმინალები, მანიაკები, გაუთავებელი ომები, კატაკლიზმები, მიწისძვრები, ხანძრები, წყალდიდობები. საჭიროა გამოვიჩინოთ გონიერება და დავდგეთ სიმართლის მხარეს. პროტესტის ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, მსოფლიოს ყოველი მხრიდან, ატომურ ბომბზე ძლიერია. იქნებ, ზოგს ჰგონია, რომ ჩემი სახელმწიფო დიდია, ძლიერია და მტერი ვერაფერს დააკლებსო. ისტორიულად ცნობილია დიდი იმპერიების ნგრევაც და პატარა გმირი სახელმწიფოების გადარჩენაც. ჩვენი პატარა ქვეყანა გასაჭირშია, იგი პროვოკაციის მსხვერპლია. ეს ომი მარტო ჩვენთვის არ არის გადამწყვეტი. ეს არის დიდი გამოცდა კეთილი ნების ადამიანებისათვის. მოგიწოდებთ, გადავარჩინოთ სიმართლე, სანამ ჯერ კიდევ არის დრო. ამ პაწაწინა ქვეყანაში, სამართალს, უდანაშაულო ხალხის სისხლში ახრჩობენ.

მსოფლიოს სამართლიანო კეთილი ნების ადამიანებო, ხმის ამოღებას გთხოვთ, – იარაღს კი არა!

ლუიზა ანდღულაძე,

ეს არის ამერიკაში მყოფი ძველი და ახალი ემიგრანტების ხმა.

09.08.08.

საქართველო სნგ-დან გამოვიდა

რუსეთის სამხედრო აგრესიის პასუხად საქართველოს პარლამენტის 14 აგვისტოს საგანგებო სხდომაზე პარლამენტარებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება საქართველოს სნგ-დან გამოსვლის შესახებ.

მანამდეც, საქართველოს პარლამენტის სხდომაზე არაერთხელ გაჟღერებულა მოთხოვნა, რომ საქართველო სნგ-დან გამოსულიყო, მაგრამ შევარდნაძე და სააკაშვილიც დღემდე თავს იკავებდა ამგვარი რადიკალური გადაწყვეტილებისაგან.

2006 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა, რუსეთის დუმის 6 დეკემბრის დადგენიოების პასუხად (რომ პუტინმა სცნოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ეს რესპუბლიკები მიიღოს სნგ-ს ასოცირებულ წევრებად) განიხილა საკითხი საქართველოს სნგ-დან გამოსვლის შესახებ, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობამ, კენჭისყრა მაშინ დაუსწრებლობით ჩააგდო.

დღეს, სააკაშვილის საპარლამენტო უმრავლესობა, კვლავაც აჭიანურებს რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ჯარებისათვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭების საკითხს, რაც დღევანდელი ოკუპაციისა და ანექსიის მდგომარეობაში ყოვლად გაუგებარი და გაუმართლებელი საქციელია.

რუსეთის ფედერაციამ სცნო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა

26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მედვედევმა ხელი მოაწერა რუსეთის დუმის 25 აგვისტოს დადგენილებას აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლად ცნობის შესახებ, რაც ავტომატურად ნიშნავს ამ ე.წ. რესპუბლიკების სნგ-ს წევრ სახელმწიფოებად მიღებას.

მარიონეტს არა აქვს ნება...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილში ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნას არ ჰქონია და არა აქვს არავითარი ისტორიული, სამართლებრივი, დემოგრაფიული და მორალური საფუძველი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ჯერ კავკასიის ბიუროს (ქ. როსტოვი), ხოლო შემდეგ ცკ-ს სათანადო განყოფილების (ქ. მოსკოვი) დადგენილებებით, რომლებიც მიღებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის გარეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, და რომლებითაც იხელმძღვანელა საქართველოს მარიონეტულმა მთავრობამ – ცაკ-მა, ამ უკანასკნელის 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით №2, საქართველოში შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

1990 წელს საქართველოს პირველივე დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლება – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო – ვალდებული იყო გაეუქმებინა ეს უკანონოდ შექმნილი ერთეული, რომელიც შეუთავსებელი იყო და არის საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებთან.

ამ მოვლენას წინ უსწრებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მცდელობები (1989-1990 წ. წ.), შეეჩერებინა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ ხელისუფლების უზურპაცია. კრემლის მიერ წაქეზებულმა ოლქის ხელმძღვანელობამ – სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ – 1990 წლის 20 სექტემბერს მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“. დეკლარაციის თანახმად ავტონომიური ოლქი გამოცხადდა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“. სეპარატისტები არ მალავდნენ, რომ მათ მიზანს ფედერაციის სუბიექტის სტატუსით ე. წ. ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლების მოპოვება და ჩრდილო-ოსეთთან გაერთიანებით რუსეთის ფედერაციაში შესვლა წარმოადგენდა. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მეორე დღესვე, 21 სექტემბერს, თავისი დადგენილებით გააუქმა აღნიშნული აქტი, როგორც ანტიკონსტიტუციური. სამწუხაროდ, ვერც ამ გადაწყვეტილებამ შეაჩერა სეპარატისტთა დანაშაულებრივი ქმედება. უფრო მეტიც, 1990 წლის 16 ოქტომბერს საოლქო საბჭომ, დაადასტურა რა ადრე მიღებული გადაწყვეტილება, 1990 წლის 9 დეკემბრისთვის დანიშნა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოური, მრავალპარტიული, დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნებით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც თავისი ფუნქციონირება ოფიციალურად 1990 წლის 14 ნოემბერს დაიწყო, შეეცადა სამართლებრივი, კონსტიტუციური მექანიზმებით დაეძლია შექმნილი კრიზისი, რომელიც მას მემკვიდრეობით საბჭოთა საქართველოსაგან ერგო, და მოუწოდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ხელმძღვანელობას, არ დაეშვა ანტიკონსტიტუციური 9 დეკემბრის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მიუხედავად ამისა, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ხელმძღვანელობამ 1990 წლის 9 დეკემბერს მაინც ჩაატარა არჩევნები, რითაც რეალური საფრთხე შეექმნა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ მთლიანობას. სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან ინსპირირებული ეს მოვლენა მიზნად ისახავდა საქართველოში საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე ჩატარებული საბჭოთა სინამდვილისთვის უპრეცენდენტო თავისუფალი არჩევნებით არჩეული ეროვნული ხელისუფლების მიერ საბჭოთა სისტემის დემონტაჟისკენ მიმართული პოლიტიკური კურსის ხელის შეშლას, მის დისკრედიტაციას.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ, დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. კანონის თანახმად, ძალადაკარგულად ჩაითვალა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნა ცნობილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაევალა კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. იმავე სხდომაზე, 1990 წლის 11 დეკემბერს, გადაიდგა მორიგი ნაბიჯები ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟისა და ახალი დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოების შექმნის მიმართულებით – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს კანონს „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“, აჩქარებს „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ კანონების მომზადებას, რომელთა კომპლექსურ ამოქმედებას უნდა უზრუნველეყო საქართველოში ეროვნული უმცირესობების, მათ შორის ოსი ეროვნების საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების, საერთაშორისოდ მიღებული სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ფუნქციური (მათ შორის კულტურული) ავტონომიის კონსტიტუციური გარანტიის ფარგლებში. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების მცდელობას, კანონის საფუძველზე აღედგინა რეგიონში კონსტიტუციური წესრიგი, დაუპირისპირდნენ შეიარაღებული ბანდფორმირებები. ხელისუფლება იძულებული შეიქმნა საგანგებო წესები შემოეღო ცხინვალსა და ჯავაში. თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა იქცა კრიმინალურ დაჯგუფებად, რომელმაც ქართველთა და ოსთა შორის ეროვნული შუღლის, ეთნიკური დაპირისპირების ინსპირაციის გზით შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთი ნაწილის მოსახლეობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ თავდაპირველად სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ბორის ელცინმა, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალის რანგში, რაც დადასტურებულია „ყაზბეგის ხელშეკრულებაზე“ მისი ხელმოწერით. საინტერესოა, რომ 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების იურიდიულ ძალმოსილებას აღიარებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიც თავისი 1991 წლის 25 ივნისის დადგენილებით №2271-1.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მაშინდელმა რეალისტურმა პოზიციამ კონფლიქტის პოლიტიკური და არა ეთნიკური ხასიათის შესახებ, რომელმაც ასახვა ჰპოვა აღნიშნულ დოკუმენტში და დადასტურდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი საპარლამენტთაშორისო სამმხრივი კომისიის (სსრ კაშვირი, რსსფრ, საქართველოს რესპუბლიკა) პროტოკოლით (1991 წლის 30 მაისი), საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას საშუალება მისცა ცხინვალში შეეყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები და საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ხელისუფლებისა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი), 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ხელისუფლებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილებების გადამეტება, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი), 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ეროვნული თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რომელიც თანამდებობის პირის მიერ არის ჩადენილი და რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები), 17, 19, 104 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით (ორი პირის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის მცდელობაში თანამონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებისთვის დაეპატიმრებინა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარმა, ქვეყნის გარედან ინსპირირებულმა და ორგანიზებულმა სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ხელისუფლებას არ მისცა საშუალება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებული ნორმებისა და პრინციპების დაცვის საფუძველზე აღეკვეთა სეპარატისტთა მცდელობა საქართველოსთვის ჩამოეშორებინათ მისი განუყოფელი ნაწილი.

სსრკ-ს DE-JURE დაშლის შემდეგ (1991 წლის 25 დეკემბერი) ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა იქნა ცნობილი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სამხედრო გადატრიალებამდე, ე. ი. კანონიერი ხელისუფლების არსებობის დროს ცნო მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის აშშ-მ, რაც შეეხება გაეროს წევრად საქართველოს დაგვიანებით მიღებას, ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ რუსეთი, სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ვეტოს უფლებით, წინააღმდეგი იყო საქართველოს გაერო-ში შესვლისა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის მოუწესრიგებლობის გამო. რუსეთის აზრით, საქართველოს უნდა დაეთმო აღნიშნული ტერიტორია, დათანხმებულიყო „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსს, რაც საქართველოს რესპუბლიკის ამ ტერიტორიის რუსეთთან მიერთების პერსპექტივას რეალურ კონტურებს სძენდა. საქართველოს უკანონო რეჟიმი, ქ. სოჭში 1992 წლის 24 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმებით „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“ დაეთანხმა რუსეთის ჯარების ოსი ექსტრემისტების ფორმირებებთან ერთად „სამშვიდობო ძალების“ სტატუსით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოყვანას. მხოლოდ ამის შემდგომ გაიწვია საკუთარი ვეტო რუსეთმა – საქართველოს რესპუბლიკა გახდა გაეროს წევრი. ამ აქტით, ირიბად, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ცნობაც (DE-FACTO) განხორციელდა, რაც არალეგიტიმური, შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული რეჟიმის უმთავრესს მიზანს წარმოადგენდა.

სწორედ 1992 წლის 24 ივნისის „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“ შეთანხმების ფორმატი განაპირობებს შიდა ქართლის ფაქტიურ მოწყვეტას საქართველოსგან, მისი დენონსირება უკანონო სახელმწიფო საბჭოს სამართალმემკვიდრე დღევანდელ ხელისუფლებას არ ხელეწიფება – შეთანხმებით ეს არის ეთნიკური, „სისხლისმღვრელი კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის“, რომელშიც დღესმოქმედი საერთაშორისო სტანდარტებითაც კი, რუსეთი „სამშვიდობო“ მისიით ლეგიტიმურ საფუძველზე მოქმედებს.

ამგვარად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 11 მარტის „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ დადგენილება ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგნილ ვადებში, მაშასადამე, 1995 წლის 28 ოქტომბრამდე. სრული სიმართლეა, რომ უზენაესი საბჭოს აღნიშნულ შემადგენლობას სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების მიზეზით არ მიეცა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების საშუალება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პოლიტიკური ორგანო გაქრა, ისე შეერწყა წარსულს, ვითარც მარილი ოკეანეს. იგი, არსებობდა და კვლავაც ინარჩუნებს კონსტიტუციური კანონით დადგენილ სამართლებრივ სტატუსს. ჩვენი რეალობის სირთულეა, რომ ვერ ხერხდება სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობათა ურთიერთთანახვედრა. სამართლებრივი შეფასება, რომელიც 2004 წლის 11 მარტს მიეცა, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია, თუ არ ხდება მისი რეალური შინაარსით შევსება. პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც დღეს რეალურ ძალაუფლებას ფლობს გაურბის აღნიშნული დოკუმენტების შინაარსობრივ განხილვას, ცდილობს იმოქმედოს შევარდნაძისეული „კონსტიტუციის“ ფარგლებში (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არსებითად, ამგვარ პოზიციას ახმოვანებს ოპოზიციის ლიდერთა უმრავლესობაც), რაც ზღუდავს და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე (69,7 ათასი კვ. კმ) რეალური ხელისუფლების აღსრულებას. მეზობელ სახელმწიფოებთან არათანაფარდი სამხედრო-სტრატეგიული და გეო-ეკონომიკური შესაძლებლობების პირობებში „ინტელექტუალური მილიტარიზაცია“ (თომას მანი) რეალურ საფრთხეს უმზადებს არა მხოლოდ შიდა ქართლის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს სამოქალაქო მშვიდობის შემდგომი რღვევის თვალსაზრისით, არამედ საქართველოს სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობას აყენებს რისკის ქვეშ ჩრდილო-დასავლეთის (აფხაზეთის ასსრ), სამხრეთის (მესხეთ-ჯავახეთი) და სამხრეთ დასავლეთის (აჭარის რესპუბლიკა) მიმართულებებით. აღმოსავლეთს რაც შეეხება, აქ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გარეჯის წმინდა მიწას გვედავება. იმედი მაქვს, არ ვაზვიადებ. ის მოსაზრება, რომ რეგიონში მოთამაშე გეო-პოლიტიკური ავტორები რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა, აშშ, თურქეთის რესპუბლიკა, ირანის ისლამური რესპუბლიკა... არ არიან დაინტერესებულები ომით და ომს პოლიტიკური დასავლეთი არ დაუშვებს, ვფიქრობ ემსახურება კავკასიით მათი დაინტერესების რეალური მიზეზის შენიღბვას, ეს პოლიტიკური ინსინუაციებია. ინტერესთა კონფლიქტი, თანმიმდევრულად, ისეთ ფაზაში შედის, როდესაც ომი კვლავ პოლიტიკის ჰიპოსტაზად წარმოჩნდება და ვფიქრობ, სწორედ, რომ ეს პერსპექტივა არ შეესაბამება ჩვენი ერის, სამშობლოს, სახელმწიფოს ინტერესებს. უნდა მოვახერხოთ და დავძლიოთ ფაქტობრივ და იურიდიულ მდგომარეობათა შორის არსებული შეუსაბამობის დილემა,ჩვენი სახელმწიფოს შეუმდგრადობის ეს „აქილევსის ქუსლი“! უნდა საჯაროდ გავერკვეთ ჩვენსავე. ე. წ. „საშინაო პოლიტიკაში“. მხოლოდ ამის შემდგომ მიეცემა ქართველ ერს შესაძლებლობა ისეთი ხელისუფლება აირჩიოს, რომელიც საგარეო პოლიტიკას ეროვნულ ინტერესს დაუქვემდებარებს. პრობლემა ჩვენ გვაქვს შიგნით, და „საგარეოში“ ბუნდოვანება ამის მეტასტაზია. ჩვენი ერი იმსახურებს თავისუფალ, დემოკრატიული არჩევნებით არჩეულ ხელისუფლებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება მას რწმენა რომ, იგი კანონის დაცვის ქვეშაა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიქმნება იგი კანონმორჩილი. არჩევნებად წოდებული პოლიტიკური აქციები, რომლებიც 1992 წლის იანვრიდან განხორციელდა არალეგიტიმურია არა მხოლოდ მათი ჩატარების პროცედურების უხეში დარღვევის თვალსაზრისით, არამედ ყველა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები უკანონოა იმ მარტივი მიზეზით, რომ ყოველი მათგანი გაიმართა სრულიად კონკრეტული კრიმინალური ჯგუფის მიერ ძალაუფლების უზურპაციის პირობებში საყოველთაო, საერთაშორისო, დანაშაულებრივ მდუმარებაში. ქართველი ერი რჩება უფლებააყრილ ერად: – დისკრიმინაცია შეუნიღბავი და თვალში საცემია. ამ უკანონობის აღკვეთა ქართველი კაცის თავისუფალი ნების გამოვლენის უფლების აღსრულებას უკავშირდება. ეს არის ჩვენი ერისთვის 21 საუკუნის გამოწვევა, ეროვნული პარადიგმა: გვსურს სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო, თუ კვლავ ვისურვებთ პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვათა ინტერესთა გატარებას, პოლიტიკურ მარიონეტად ყოფნას.

გელა ჩორგოლაშვილი

საქართველოს დეპუტატთა კლუბის
გამგეობის თავმჯდომარე
21 ივლისი, 2008 წელი

პუტინ-მედვედევის მორიგი სიბრიყვე



საქართველოს ოკუპაციის დღეებში რუსეთის ფედერაციის მმართველმა რეჟიმმა მორიგი პოლიტიკური სიბრიყვე გამოავლინა. მათი განცხადებით, რუსეთის ფედერაცია წყვეტს NATO-სთან ყოველგვარ თანამშრომლობას. ამ ნაბიჯის მიზანია აჩვენოს NATO-ს, რომ ავღანეთში რუსეთის მხარდაჭერის გარეშე მოუწევს ისლამურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალებთან და პირველ რიგში თალიბანის მოძრაობასთან ბრძოლა. პუტინ-მედვედევის ტანდემის უკან სამხედრო-სამრეწველო და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსები დგანან, მათ აქვთ გიგანტური კაპიტალი, მაგრამ არა აქვთ ეროვნული სტრატეგია და იგი იმპერიული კაპრიზებით აქვთ ჩანაცვლებული. რუსეთის მმართველი რეჟიმი თვლის, რომ მისი დახმარების გარეშე NATO ავღანეთში კრახს განიცდის. თეორიულად დავუშვათ, რომ ეს ასეც მოხდეს. შედეგი რა იქნება? ამუდარიისა და პიანჯის ნაპირებთან მიმდგარი ისლამური სამხედრო-პოლიტიკური ძალები, მათ შორის თალიბანის მოძრაობა ხანმოკლე პაუზისა და ძალების კონცენტრაციის შემდგომ გადალახავს ამ მდინარეებს და შეუტევს ტაჯიკეთში არსებულ რუსულ სამხედრო ბაზას (ყოფილ 201 მოტომსროლელ დივიზიას). ნურავის დაავიწყდება, რომ 1991-1996 წლებში ტაჯიკეთში სამოქალაქო ომი დაზავებით დასრულდა და ოპოზიციური ისლამური სამხედრო-პოლიტიკური ძალები არა თუ არ განადგურდა, არამედ მათი წარმომადგენლები ხელისუფლების სტრუქტურებშიც კი არიან. მეორე მიმართულება იქნება ყველა მუსულმანისთვის წმინდა ქალაქები სამარყანდი და ბუხარა. უზბეკეთის ისლამური სამხედრო-პოლიტიკური ძალები ემიგრაციაში კი არიან, მაგრამ მათში რევანშის დიდი სურვილია გაბატონებული – უზბეკეთის მმართველმა რეჟიმმა 2005 წელს რამდენიმე ასეული უიარაღო მომიტინგე დახვრიტა ფერღანის ველზე გაშლილი სახალხო მოძრაობის დროს, ასე რომ უნდა ითქვას, რუსეთის მმართველი რეჟიმის მორიგი პოლიტიკური სიბრიყვე, მისი განხორციელების შემთხვევაში, სრული წალეკვით ემუქრება რუსეთს. უზარმაზარი ისლამური სამხედრო-პოლიტიკური შეტევა, რასაც თან დემოგრაფიული ექსპანსიაც მოჰყვება წირვას გამოუყვანს რუსეთის ფედერაციას. ამ შეტევის „ზურგი“ ხომ წინაა ურალისა და ვოლგისპირეთის მუსულმან ხალხებში. რუსეთი იმ თაგვსა ჰგავს, რომელიც მალე თავის შემჭმელ კატას რომ გამოთხრის.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ანადგურებს ავტონომიებს და ისპობს მოვავალს

2003 წლიდან ვლადიმერ პუტინის ინიციატივით რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ დაიწყო ავტონომიების გაუქმება და ამ ტერიტორიების რუსული ოლქებისა და მხარეებისადმი მიერთება. ამ პოლიტიკის შედეგად გაუქმდა: კომი-პერმიაცკის ავტონომია, ხოლო ტერიტორია მიუერთდა პერმის მხარეს;

გაუქმდა ტაიმირისა და ევენკიის ავტონომიები, მათი ტერიტორიები მიუერთდა კრასნოიარსკის მხარეს;

გაუქმდა კორიაკიის ავტონომია, მისი ტერიტორია მიუერთდა კამჩატკის მხარეს.

გაუქმდა უსტ-ორდინსკის ბურიატთა ავტონომია, ტერიტორია მიუერთდა ირკუტსკის ოლქს;

გაუქმდა აგინსკის ბურიატთა ავტონომია, ტერიტორია გააერთიანეს ჩიტის ოლქთან, შედეგად შეიქმნება ზაბაიკალსკის მხარე.

ყველა ჯურის სეპარატისტმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ კრემლში საბჭოთა ინტერნაციონალისტები აღარ არიან. კრემლი კვლავ დაუბრუნდება ცარიზმის პოლიტიკას, რუსეთის ხელისუფლება სპობს რა ავტონომიებს, ამით აჩქარებს რუსიფიკაციის განხორციელებას.

ავტონომიების განადგურების პროცესი რუსეთის ხელისუფლების მიერ წინასწარ დასახული გეგმით ხორციელდება. უკვე მიმდინარეობს ადიღეის ავტონომიის კრასნოდარის მხარესთან, ხოლო ხანტი-მანსიისკისა და იამალო-ნენეცკის ტიუმენის ოლქთან მიერთების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლების ამ პოლიტიკამ 2008 წლის დამდეგს ევროპარლამენტს უკვე მიაღებინა დოკუმენტი სადაც იგი ოფიციალურ შეშფოთებას გამოთქვამს ფინურ-უიღურული წარმოშობის ხალხების ავტონომიების გაუქმებაზე.

2004 წლის ბესლანის ტრაგედიამ სამწუხაროდ ვერ დაანახა ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის მმართველ ბიუროკრატიასა და ინტელექტუალებს, რომ რუსეთის ძალაუფლება მათი მფარველი კი არაა, არამედ მტერია. ავტონომიების განადგურებით რუსეთის ხელისუფლება, რომელიც იმპერიის („დერჟავას“) დამკვიდრებას ესწრაფვის, მხოლოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებს განაახლებს. ვაინახების და დაღესტნელთა მხარდამხარ სხვა ხალხებიც აღსდგებიან, რადგან საქმე ეხება მათ ეროვნულ ხსნას. რუსეთის ფედერაცია იშლება და დაიშლება კიდეც ამ ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით.

რუსეთის იმპერიის ტრუბადურების საყურადღებოდ

1551 წელს ივანე გროზნის იმპერიული მარში სისხლითა და ცრემლით არის მორწყული. მაგრამ ამ აგრესიას არანაირი ბედნიერება არ მოუტანია რუსი ხალხისთვის, რომელიც მილიონობ ით მსხვერპლს იღებდა, იღებს და კვლავ გაიღებს სანამ იგი არ დაუბრუნდება თავის ეროვნული და არა იმპერიული სახელმწიფოს მშენებლობას. მათ ვინც რუსეთის იმპერიის ძლევამოსილების სჯერა გვსურს შევახსენოთ აშშ-ს კონგრესის მიერ 1958 წლის რეზოლუცია და 1959 წლის კანონი „დაპყრობილი ხალხების შესახებ“. ეს კანონი არა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ან საბჭოთა რესპუბლიკებს, არამედ უშუალოდ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ხალხებს ეხებოდა და უწოდებდა მათ თვითგამორკვევის უფლება წართმეულ ხალხს. ამერიკული კანონი 4 დიდ ჯგუფად მოიაზრებს მათ. ესენია

1) „თეთრი რუტენია“ (ფინურ-უიღურული ხალხები)

– კარელია-ფინეთი; კომი; კომი-პერმიაცკი, ნენცები, კორიაკები; ხანტები; მანსები; **იაკუტები; ხაკასები, ევენკები; ბურიატები; ჩუქჩები;** მთიანი ალტაის ხალხები; **ტუველები.**

2) „იდელ-ურალი“ (ვოლგისპირეთისა და ურალის ხალხები) – თათრეთი, ბაშკირეთი, მარი-ელი, მორდვეთი; უდმურტეთი, ჩუვაშეთი,

3) „წინაკავკასია“ (ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები) – დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ადიღეა, ყალმუხეთი.

4) „კაზაკია“ – როსტოვის ოლქი, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის კაზაკობა.

აშშ-ს კონგრესის ეს რეზოლუცია და კანონი დღესაც ძალაშია, იგი არ გაუქმებულა და როცა რუსეთის ფედერაციის მმართველი რეჟიმი თვითგამორკვევაზე ახდენს საკუთარი აგრესიული სტრატეგიის დამკვიდრებას კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ამით იგი რუსეთის ფედერაციის უკვე დაწყებულ დაშლის პროცესს უდიდეს სტიმულს ანიჭებს. თვითგანადგურებისკენ მიმავალი რუსეთის ფედერაციის მმართველი რეჟიმი არიგებს რა რუსულ პასპორტებს, ბოღმით დაბრმავებული ვეღარ ხედავს ჩინეთიდან უკვე ორგანიზებულად დაძრულ დემოგრაფიულ ტალღას, რომელმაც უკვე მეთოდურად დაიწყო დასახლება.

რუსეთის ფედერაცია იშლება, რადგან იგი კვდება და ამით უფრო სახიფათოა გარე სამყაროსათვის.

საიდან მოვიდნენ, ვინ იყვნენ ე. წ. ჰროტოხეთები და როდის შეექმნა ცენტრალურ ანატოლიაში მათი უძველესი და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა – ხეთი.

ამ თემაზე გვესაუბრება ისტორიკოსი ბორის გოგია



ბიბლიის მიხედვით ნოეს (იმ დროის უდიდეს ქურუმ-განმანათლებელს) შუათანა ვაჟიშვილს ქამის ჰყავდა ხუთი ვაჟი: ქუში, მიცრაინი, ფუთი, ქანაანი და ხეთი.

ქართველებმა კარგად ვიცით, რომ ყველა საერთო ქართველური ტომების წინაპრები არიან ბიბლიური სემი, ქამი და იაფეტი (ნოეს შვილები) თუმცა ქართველ ტომთა საერთო დიდ წინაპრად, რატომღაც არ ვაღიარებთ ნოეს, რატომ!.. იმ ხანებში კოლხეთის ხალხმრავალი სახელმწიფო გეგმაზომიერად ითვისებდა მის გარშემო დაუსახლებელი მიწების ტერიტორიულ სივრცეებს. ხეთი თავისი ახლო ნათესავებით გადასახლდა ანატოლიის ნახევარკუნძულის შუაგულის მთიანეთში. იქ დააარსა უძველესი დედაქალაქი ხათუთაში.

ანატოლიაში ხეთის ჩასახლება მოხდა ძვ. წ. ა. დაახლოებით 6000 წ. მათი ქვეყანა უმეტესად მთაგორიანი იყო, ამიტომ ისინი საცხოვრისის, ციხესიმაგრეების და სხვა თავდაცვითი ზღუდვეების ასაშენებლად იყენებდნენ ბუნებრივ სამშენებლო მასალას უზარმაზარი ქვის ლოდების სახით და ამკობდნენ ნატიფი ხუროთმოძღვრული ორნამენტებით, ასევე გამოყენებული აქვთ ხის მასალაც, რადგან მათ ხეც ბლომად ჰქონდათ.

არქეოლოგიური წყაროებიდან ჩანს, რომ ხეთები შეუდარებელი ქვის მთლელი ოსტატები იყვნენ, განცვიფრებას იწვევს მათ მიერ შესრულებული ორნამენტების ნატიფი ფორმების და ჩუქურთმების მშვენიერება, რომელიც დღესაც ნაკლებადაა შესწავლილი. მჯერა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს, როგორც ჩვენი ქვეყნის შორეული წარსულის ერთ-ერთ შემადგენელ კულტურულ ფასეულობას.

ხეთები უძლეველი მეომრები ყოფილან, მათი ნათესავი-პელასგების, დორიელების, ეთრუსკების, მაკრისელების, ანუ მაკრონების, იგივე მარი-გალების, იგივე მეგრელების (კნინობითი ფორმა) და საქართველოს მთიანეთის: თუშ-ფშავ-ხევსურების, სვანების, რაჭველების მსგავსად.

ხეთები თავიანთ კულტურულ დაწინაურებას ინარჩუნებენ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში და ამ კულტურულ ზეგავლენას განიცდიდნენ მეზობელი ქვეყნები: სირია, იორდანია, ლიბია, ერაყი, ფინიკია და განსაკუთრებით ეგვიპტე. სწორედ ხეთებს უნდა ვუმადლოდეთ ეგვიპტის ყვითელკანიანი რასის ხალხის დაწინაურებას ძვ. წ. ა. მესამე ათასწლეულიდან.

ძველბერძნული მითოსიდან ვიცით, რომ მზის ღვთაებას რა-ს ანუ ბერძნულად ჰელიოსს სამი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავდა, ყველაზე უფროსს აიეტი ერქვა და იგი კოლხეთის მეფე აიეტი გახლდათ, მომდევნო ძმა ავგიე – აგვიპტეში მოღვაწეობდა, შემდეგი იყო ცირა (ცირცეა) ბერძნულად კირკეად წოდებული, შემდეგი ქალიშვილი პასიფეა (იგი კუნძულ კრეტის მრისხანე გამგებლის ცოლი იყო) და ბოლოს, ძმა ფაეთონი, ანუ ფაეთუსა.

ძვ. წ. ა. დაახლოებით 1450 წელს ავგიეს (მარგალის ენაზე „შუქნათელი ვარსკვლავი“) ეგვიპტელებმა აქცინიუსი-მანათობელი უწოდეს. ხოლო ავგიემ ეგვიპტის მეფეებს შეარქვა კოლხური სახელები: ფა-რა-ონი, ანუ მარიგალის ენაზე ფა – ნიშნავს ფულს, სიმდიდრეს, რა – მზის ღმერთს, ონი – დიდი ნოეს მიერ აშენებული, დედამიწაზე პირველი ქალაქის ტიპის დასახლებას ნიშნავს. ასევე სახელი რამზე: „რა“ – არის მზე, „მზე“ – არის რა.

საშობლო ჩემი
თაზისი – დიოს კერია

აქ, ზღვის ტალღები ბრიოლიეთ იმსხერეა აქთებული.
თერად ყვავილებს მოერთავთ ძეხლირი აყვავებული.
ზღვა, ლურჯი ზეცა სხივებით ოქროსფერად „ათეთქებული“,
ცის სალურჯეში თართაცებს თილია და კიდებული.
გარშემო ირგვლივ მთებია, ძუძ ლურჯად ძიძა ქარგული
მთებს შუა დაბლობებია და კოლხთა ძიწა ქართული.
წალკოტს ზღვა აკრავს დასავლეთ, ოქროს არეალში ჩასმული
ზღვის ფსკერზე ქალაქებია, „სიმძიმის“ გამი ჩასული.
ტალღებში მარდად ნავარდობს, კოლხეთის ქეთის ასული,
თევზ-ქალად გადაქცეული, სირინოზებში გასული,
ვინც ოერძე ბერძენ ოდისევს მოსტაცა აზრი და გული
დევგმირი ახლას ძიაბეს თოკით და ვაქვეთ შეკრული.
ქაბუკს ტალღებში უხმობდა ჩინგურის სევდა ზღაპრული,
თაზისის ნანგრევებიდან ესმოდა ნანა ქართული,
ლურჯი ზღვა, ცის სალურჯეში, ოქროს ძზე, ძმიად ასხმული
ძწვანეში თეთრად ქათქათებს...

სოჭი,
სოხუმი,
ბათუმი

ბორის გოგია

ავგიე – აქცინიუსი იმდენად საპატივცემულო და დიდი ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა, რომ მან ურჩია ფარაონს მისი სახელისა და სულის მარადიულობისათვის აეგოთ პირამიდა. პირამიდის მშენებლობა იმ დროისათვის დაუჯერებელ მეცნიერულად მაღალ დონეზე გათვალეს კოლხმა, ხეთმა და საისელმა ასტრონომებმა, მათემატიკოსებმა და მშენებლებმა. ხუროებად, ქვის მთლელებად და სამუშაოების შემსრულებელ ზედამხედველებად მუშაობდნენ ხეთები, ხოლო დანარჩენ სამუშაოებს ასრულებდნენ ათეული ათასობით ყვითელი რასის ეგვიპტელი მუშები. სამშენებლო ქვებს მარხილებით ეზიდებოდნენ ხეთების ქვეყნიდან.

ჰეოფსის პირამიდის კედლებზე ამოკვეთილია კოლხური და ხეთური ორნამენტები, ასევე გაოცებას იწვევს მთავარ შესასვლელში ამოკვეთილი ქართული ასომთავრული ასო – რა, ანუ მზის ღმერთის სახელი.

მოგვიანებით კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებულმა და მოღონიერებულმა ეგვიპტელებმა განიზრახეს თავის დაღწევა ხეთების ზეგავლენისაგან და დაიწყეს ანტი ხეთური მოძრაობა, ხეთის სინონიმად გახადეს სიავის მატარებელი მოძალადე-სეთი. ეგვიპტურ მითებში პატრიოტული ძალები მთელი ეგვიპტისა ებრძვის ამ „ავ ძალას“ და იმარჯვებენ ეროვნული სულის ძალზე ახალგაზრდა ქალ-ვაჟის მეთაურობით.

ათასწლეულობის მანძილზე ხეთებმა, კოლხებმა და ყველა სხვა საერთო ქართველური ნათესაური სისხლისა და ერთნაირი გენეტიკური კოდის მატარებელმა ხალხებმა მრავალჯერ სცადეს გაერთიანებული სახელმწიფო შეექმნათ. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი გაერთიანებების სახელწოდებები: ჯავა-ხეთი, მეს-ხეთი, კა-ხეთი, კუ-ხეთი, სომ-ხეთი, კოლ-ხეთი, ამ უკანასკნელში კი შედიოდა მარიგალების (მეგრელების) ქვეყანა, სადაც დღესაც არსებობს სოფელი ხეთა (ხობის რაიონი), ასევე აღმოსავლეთ საქართველოში სოფელი ხეთა, სადაც მიძინების წინ ღვთისმშობელმა გამოაგზავნა მირონის ხარშვის საიდუმლო და ამის შემდეგ ეწოდა ამ სოფელს მ-ც-ხეთა ანუ მირონ ცხებული ხეთა, და შემდგომ იგი გარდაიქმნა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად.

ამჟამად, ხეთები ისევ სახლობენ თავიანთ უძველეს ქვეყანაში ცენტრალურ ანატოლიაში. ერთხელ ჩემი მეგობარი, დიდებული ქართველი მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე, დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა ამ ქვეყანაში, მისმა გამჭრიახმა გონებამ და თვალმა კარგად გამოიცნო ხეთების მკაფიო განსხვავებულობა თურქული წარმოშობის ადამიანებისაგან, მან შეამჩნია ახოვანი, სხარტი მიხვრამოხვრის ადამიანი და შეეკითხა, ვინ იყო იგი, მან თამამად უპასუხა – მე თურქი არა ვარ, მე ხეთი ვარო და თავმომწონედ დაამატა, რომ ხეთები აქ 22 მილიონი ვართო.

დღევანდელ ხეთებს მათი ძალზედ შორეული კოლხური წარმოშობის შესახებ არაფერი ახსოვთ, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ ისტორიულ წარსულში მოხდა მათი ქვეყნის სიძლიერის შესუსტება, რაც კარგად გამოიყენეს აქ მშვიდობიანი გზით შემოსულმა თურქმენულმა ტომებმა და დაიპყრეს დაუძლურებული ქვეყანა, შემდგომ კი ხეთების მეომრული სულის გამოყენებით და ბრძოლებში მოპოვებული ალაფის გულუხვად დარიგებით შესძლეს თანდათანობით მთელი დღევანდელი თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ხალხების დაპყრობა და გაერთიანება, ყოველივე ამასთან თურქმენული ენისა და მუსულმანური რწმენის გავრცელება.

ამჟამად, თურქეთში 22 მილიონი ხეთი ცხოვრობს, 17 მილიონი ლაზი და ჭანი, 4,7 მილიონი „ძია ლენინის“ მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის სანაცვლოდ ათათურქისათვის გადაცემული ძირძველი ქართული მიწების ტერიტორიაზე მცხოვრები ქართულად მოლაპარაკე, ქართულ ადათ-წესების მიმდევარი, ყველასგან დავიწყებული და ამჟამად უმწეო მდგომარეობაში მცხოვრები ქართველები. საერთო ჯამში თურქეთში 43,7 მილიონი ჩვენი სისხლ-ხორცით ნათესავი ხალხი ცხოვრობს. ჩვენ დაკარგული გვაქვს მათთან ურთიერთობა, მის აღდგენაზე იქნებ ჩავფიქრდეთ, რათა გავმრავლდეთ, გავძლიერდეთ და ერთად დავდგეთ ანექსიის მოყვარული, ძალმომრეობის მატარებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ქართველები დოლის პურის ჯიშისანი ვართ

ჩვენზე, ქართველებზე, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. კარგისმთქმელი ბევრია-მეთქი ვერ გეტყვით. ჩვენ, ისე როგორც სხვა ქვეყნებსა და იქ მცხოვრებ ხალხს, ბევრი დადებითი და უარყოფითი ჩვევები გაგვაჩნია. მაგრამ რატომღაც ჩვენ მოჭარბებულად გავყვირით ჩვენ თავზე, რომ ძალიან ცუდები ვართ, დავუშვათ ასეა, ცნობილია, რომ ჩვენ ძალიან გვეხერხება საკუთარი ხალხის ჩაქოლვა, გაკიცხვა, გაუტანლობა, სხვებს კი ფიანდაზად გავეგებით, ვაპატიებთ, მოვუთმენთ, ქებით თავს მოვაბეზრებთ – ოღონდ არა ჩვენიანს. გეთანხმებით, ცუდი თვისებაა.

ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები, ერის გამოფხიზლების მიზნით, ასე ვთქვათ „შემოგვილაწუნებდნენ“ ხოლმე. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“, ისინი თავს ვალდებულად გრძნობდნენ, რომ განეკურნათ ერი ამ სენისაგან. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ამისათვის და ამიტომაც მათ ჰქონდათ ამის უფლება. ჩვენ კი ჩვეულებრივი მოკვდავნი ავყიაობით ვიფხანთ გულს. აქ ერთი ანდაზა მინდა მოვიშველიო: „შეძახილმა ხე გაახმოო“. ჩვენზე აუგის თქმას აქ დავამთავრებ, რადგან ცუდს უცხონიც კარგად იტყვიან ჩვენზე თავად ქართველებისავე აპლოდისმენტებით.

ვაგრძელებ ჩემს ფიქრებს; თუ ჩვენ ასეთი ბრიყვები, სულელები, ზარმაცები, ბოროტები ვიყავით და ვართ, ასეთმა ხალხმა როგორ შეძლო უძველესი დროიდან, გაუთავებელ ომებში ჩამოეყალიბებინა იმ დროისათვის ცივილიზებული სახელმწიფო, რომელიც განვითარებული ქვეყნების გვერდით მოიხსენიება ისტორიაში. ჩვენმა წინაპრებმა უძველესი დროიდანვე შექმნეს დამწერლობა, უამრავი ღირსშესანიშნავი ფილოსოფიური, რელიგიური, მხატვრული, დიდაქტიკური ლიტერატურა. არაფერს ვამბობ პოეზიაზე, ჩვენმა ქვეყანამ ოდითგანვე სახელი გაითქვა საოცარი საგალობლებით, სიმღერებით, ცეკვებით დღემდე რომ არსებობს და უკვდავია. იქმნებოდა ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები, სასახლეები. ქვეყანა არა თავდამსხმელი, არამედ თავდამცველი, თავის საუკეთესო რაზმებს მეზობელ ქვეყნების ომებში დამხმარედ აგზავნიდა საკუთარი სახელმწიფოს მშვიდობისათვის. საინტერესოა, როგორ შეძლო ამ ზარმაცმა ხალხმა უძველესი დროიდანვე შეექმნა ყველის უამრავი სახეობები, სახელი გაეთქვა უმაღლესი ხარისხის ღვინოებით, ვაზის უნიკალური ჯიშებით, რომლის მოვლაც განუსაზღვრელად შრომატევადია და ხორბლის ისეთი ჯიში., როგორიცაა დოლის პური, რომელიც ცხენის ფლოქვებით არ ითქერებოდა და ბრძოლაგამოვლილი პურის ყანა მიწიდან წამოიმართებოდა და მარცვალს იძლეოდა. ბევრი ცივილიზებული ქვეყანა იამაყებდა ამ ფასდაუდებელი ღირებულებებით.

ჩვენმა ქვეყანამ შვა: მხატვრები, მუსიკოსები, დიპლომატი-მისიონერები, პოეტები, თავდადებული მეფეები გმირი უბრალო ხალხი, ერისათვის თავგანწირული მწიგნობარი საეკლესიო პირები და მამაცი ქალები, რომლის ბადალი დარწმუნებული ვარ ბევრ ქვეყანას არ მოეპოვება. ჩვენი პატარა საქართველო, ისტორიაში მოიხსენიება თავისი საგანძურით, რომელიც უნიკალურია თავისი უნიკალურობით.

არ გეგონოთ მარტო წარსულით ვიმშვიდებდე გულს – ჩვენ არც ახლა ვართ ღარიბები მწერალ-მუსიკოსებით, მხატვარ-მეცნიერებით, ღირსეული პოლიტიკოსებით და უამრავი საამაყო ერის შვილებით, მაგრამ საუბედუროდ, წმინდა წყალს ერთი წვეთი საწამლავიც უკარგავს სიწმინდეს. ჩვენი ქვეყნისათვის ომი არ დამთავრებულა. ჩვენ ყოველთვის საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. უბრალოდ კომუნისტების მოსვლამ შენიღბა იდეოლოგიური ომი და არც მათი წასვლის მერე დამთავრებულა (მე ვფიქრობ, არც წასულან, სახე შეიცვალეს მხოლოდ). ეხლაც მიდის ომი, მამულის ძარცვა, მიწების წაგლეჯა, სარწმუნოების ყოველგვარი მაცდური ხერხებით შელახვა და ენასაც წყალი აქვს შემდგარი, რამეთუ მშობლიური ქართული ენის სწავლება არ მიდის იმ დონით, როგორითაც საჭიროა მიზანმიმართულად მუშაობენ ანტიქართული ძალები. დიახ, ომი გრძელდება და არა გვაქვს უფლება ყურადღების მოდუნებისა.

ეხლა ვილაპარაკოთ ღმერთისგან ბოძებულ იმ თვისებებზე, რამაც აქამდე მოგვიყვანა და მომავალშიც უნდა გადაგვარჩინოს.

1.ჩვენი ხალხი კეთილია.
2.ჩვენი ხალხი ოდითგანვე განათლების მოყვარეა.
3.ჩვენი ხალხი ბრძენი და გონიერია.
4.ჩვენი ხალხი ყოჩაღი და ამტანია.
5.ჩვენი ხალხი მომთმენი და ძლიერია
6.ჩვენი ხალხი იუმორისა და ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებულია.
7.ჩვენმა ხალხმა იცის მეგობრობა და ერთგულება.
8.ჩვენი ხალხი ლამაზი და ამაყია.
9.ჩვენი ხალხი მამაცი და შეუპოვარია (ვერ იტანს მონობას).
10.ჩვენი ხალხი ეროვნებას არ მალავს, არამედ ამაყობს ქართველობით.
11.ჩვენი ხალხი მიმნდობი და მიმტევებელია.
12.ჩვენი ხალხი რელიგიურია და თავდავიწყებით უყვარს სამშობლო.

მე, ჩემდა თავად კი, როგორც ჩემი ქვეყნის შვილი, ვამაყობ იმით, რაც საამაყოა და ვტირი და ვგლოვობ იმას, რაც სამარცხვინოა. ესეც ჩემი ვალია. ჩვენმა გონიერმა წინაპრებმა გამოიყვანეს ხორბლის გამძლე ჯიში, დოლის პურის სახელწოდებით და ამით ფიზიკური განადგურებისაგან გადაარჩინეს ომებისაგან ძალაგამოლეული ერი. ჩვენ, არც ახლა გვაკლია ომი და გაჭირვება. ჩემის ღრმა რწმენით, ჩვენც სულიერად დოლის პურის თვისებები გაგვაჩნია. იმედია, ყველაფერს გავუძლებთ და წელში გავიმართებით. მოვა დრო და მტერსაც ვაიძულებთ ჩვენზე უფრო მეტი კარგი ვათქმევინოთ, ვიდრე ცუდი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო გაბრწყინდება.

ლუიზა ანდღულაძე
აშშ, 2008.10.08.

ინტერვიუ ჯარისკაცის დედასთან

შედეგით დამთავრდა ეს სამამულო ომი...

– როგორ, თქვენ ფიქრობთ რომ ჩვენმა ჯარმა არ აჩვენა გაწვრთნა და კარგად შეიარაღება?

– ესაუბრეთ ნებისმიერ ჯარისკაცს, რომელიც ამ ომში მონაწილეობდა დარწმუნდებით, ავიაცია საერთოდ არ დახმარებიათ. ამდენი თვითმფრინავები რომ გვბომბავდა და ბიჭები ჩაიხოცნენ იმის ჩამომგდები აპარატურა არ უნდა გვქონოდა? რომ იძახიან ამდენი ჩამოვაგდეთო, სად არის რატომ არ აფიქსირებენ?

– ქალბატონო მაია, თქვენ საკმაოდ სერიოზულ ბრალდებას უყენებთ ჩვენს მთავრობას.

– ჯერ ერთი ჩვენი მთავრობა, რომ უსუსური და მატყუარაა ეს ყველასთვის ცნობილია, მეორეც ნებისმიერი ჯარისკაცი უკმაყოფილოა. მშვიერები იყვნენ ომში, არაპროფესიონალები ხელმძღვანელობდნენ, ვინ სად გარბოდა და რას აკეთებდნენ არავინ იყო მაკონტროლებელი და გზის მიმცემი. ამაზე ბევრი დაიწერება, მე მჯერა ამის.

– თქვენ ვისგან მოისმინეთ, თქვენმა შვილმა გითხრათ ეს ყველაფერი?

– ჩემი შვილი იმდენად გაოგნებული და დათრგუნულია, არ ვიცი მისი საზოგადოებასთან რეაბილიტაცია როგორ მოხდება ვინ იზრუნებს მათზე, ესენი ხომ საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს, რას ფიქრობენ იმ ასობით ქართულ გენოფონდზე, რომელიც ჯერ შევარდნაძის ხროვამ შეიწირა, ახლა კი სააკაშვილის ხელისუფლებამ, თუმცა მისი ლეკვები არიან ესენი და რაც დალესის პროგრამაშია მცირე კულტურული ერების განადგურება, ალბათ ამას ასრულებს ჩვენი მთავრობა. ძალიან მაინტერესებს და გთხოვთ იქნებ გამოაქვეყნოთ იმ პარლამენტარების და მთავრობის წევრთა სია რომლის შვილებიც ამ ომში იღებდა მონაწილეობას.

– როგორც ვიცი, არც ერთის! ეს უკვე თქვეს ქართულმა გაზეთებმა.

– მითხარით ჩვენმა შვილებმა რა დააშავეს, იმდენად ვარ გამწარებული, ლამის კარდაკარ ვიარო, ყველა დედა შევკრიბო და ხმა ავიმაღლოთ ამ უსამართლობის, უთანასწორობის გამო.

– თქვენ ფიქრობთ რომ ეს ომი უსამართლობა იყო?..

***– ქართველი დედები შვილებს იმიტომ ვზრდით, რომ სამშობლოს სადარაჯოზე და იდგნენ და მისი მომავალი დაიცვან, მაგრამ მაშინ, როცა ქვეყანაში უკანონობა, განუკითხაობა, უსამართლობა სუფევს, მაშინ, როცა არავითარი დიპლომატია ჩვენს ხელისუფლებას არ გააჩნია, ჩემი შვილისთვის არის მარტო სამშობლო? ნახეთ ყოველ საღამოს რესტორნები გადაჭედილია პატარა ლაწირაკი გოგო-ბიჭები ჯიპებს უზიან და დროს ატარებენ, ვინ არიან ესენი? – მათი შვილები. ერთ გუშინდელ ინციდენტს გიამბობთ: საავადმყოფოში მოვდიოდი, გაჩერებაზე რამდენიმე სამხედრო ბიჭი იდგა და გარსშემოხვეულ სამოქალაქო პირებს ესაუბრებოდნენ, სამი დღე ტყემალს და ვაშლს ვჭამდით, მშივრები ვიყავით, ისეთი განუკითხაობა იყო, ხელმძღვანელი გამოგვექცა ჩვენ უპატრონოდ დავრჩით, ის ტერიტორია რომ არ დაგვეტოვებინა, სადაც ვიდექით, მთლიანად ჩავიხოცებოდით, ხუთი წუთით გამოვასწარით რუსის ჯარსო.*

შოკში ვარ, რატომ სიმართლეს არ ამბობენ, რამდენი დაიღუპა. ღმერთო როდემდე, როდემდე განა არ შეიძლება ოცდამეერთე საუკუნეში დიპლომატიამ შედეგი გამოეღოს?

– თქვენი ცოტნე რომ გამოჯანმრთელდება ისევ გაუშვებთ ჯარში?

– ძალიანაც არ მინდა, მაგრამ იცით რას მეუბნება: – მე ისეთი შეურაცხყოფილი და დამცირებული წამოვედი ომიდან, ჩემი მიზანი იქ დაბრუნებაა. რა ვქნა, მე სხვანაირად გავზარდე შვილი და მას ცნობიერებას ვეღარ შევუცვლი, მე ისღა დამრჩენია ღმერთს მადლობა გადავუხადო მისი გადარჩენისთვის და ვილოცო, რომ სამართლიანობა აღსდგეს სრულიად საქართველოში და ჩემს ქართველებს უფლის ანგელოზი მფარველობდეს.

ქალბატონ მაიას გამოვემშვიდობე და გულში ვიმეორებდი „ამინ“! ღმერთმა გისმინოს და გაგაძლიეროს ქართველო დედავ!“

ნორა (ნათელა) მოდებაძე

ინტერვიუ ჯარისკაცის დედასთან

რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაჭრილი ახლობლის სანახავად მივედი. პალატები გადაჭედილია შიდა ქართლის ომში დაჭრილი პირტიტველა ბიჭებით. რას არ მოისმენ იმ განუკითხაობის შესახებ, რაც იმ ერთი კვირის განმავლობაში მოხდა. არაფრით არ შემეძლო არ ჩამეწერა ის, რაც დაჭრილი ბიჭებისა და მათი მშობლებისაგან მოვისმინე.

ქალბატონ მაიას, სნაიპერის ტყვიით სასწაულად გადარჩენილ ცოტნეს დედას გავესაუბრე. დედა რომელიც იმ საშინელი დღეების შესახებ მესაუბრება, ცრემლს ვერ იკავებს და პირჯვარს იწერს, სამადლობელ ლოცვას წარმოთქვამს შვილის გადარჩენისათვის. დღევანდელ მთავრობას კი...

აღშფოთებას ვერ მალავს ქალაბტონი მაია და მანიშნებს გარეთ გავიდეთ, დაჭრილ შვილს, რომელსაც გადასხმის სისტემა უდგას არ სიამოვნებს დედის ასეთი განრისხება.

– ქალბატონო მაია, როგორ მოხვდა თქვენი ვაჟი ამ ომში?

– ჩემი შვილი, სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, რომელიც ამ მთავრობის მოსვლის შემდეგ გააუქმეს და 300 ახალგაზრდა, რომლებიც მომავალი სამხედრო ოფიცირები უნდა ყოფილიყვნენ, ქუჩაში გამოყარეს. გახსოვთ ალბათ, მთავრობის სახლთან აქციებსაც აწყობდნენ, მაგრამ ამ მთავრობას პროფესიონალები რაში ჭირდებათ! ამ ბავშვების უმრავლესობა, ზოგი ციხეში აღმოჩნდა, ზოგი ნარკომანი გახდა, მე შენ გეტყვი, ჩვენი მთავრობა დაინტერესდებოდა მათი დასაქმებით, ჩემმა ვაჟმა უნივერსიტეტში, ეროვნულ გამოცდებში მიიღო მონაწილეობა, გამოცდები ჩაბარა მაგრამ სასურველ ფაკულტეტზე ქულები არ ეყო. სხვაგან კი სურვილი არ ჰქონდა გაეგრძელებინა სწავლა, თანაც საკმაოდ დიდი თანხა იყო გადასახადი, ჩვენ ამის საშუალება არ გაგვაჩნდა, გადაწყვიტა ხელშეკრულებით წასულიყო სამხედროში. ისეთ რეკლამას აკეთებდნენ გვეგონა ყველაფერი ისე იყო მაგრამ...

– როგორ, თავდაცვის სამინისტრო, არ ასრულებს იმ ვალდებულებას, რაც ხელშეკრულებაშია მითითებული?

***– თავიდან მართლაც ყველაფერი კარგად იყო. შესანიშნავი კვება ჰქონდათ, ხელფასიც არაუშავს, მაგრამ ბოლო თვეებში ბიჭები მშვივრები იყვნენ, იმდენად ცუდი საკვები იყო, ხშირად მშობლებს გვიწევდა მათთვის საკვების მიტანა. მე არ ვიცი ამხელა ფინანსები სად წაიღეს, თავდაცვა, შეიარაღება, ჯარი უმაღლესი მომზადებული გვყავსო, ჩვენი პრეზიდენტი სულ იმას გაიძახის, ხომ ნახა მთელმა ქვეყანამ რა*

იდეოლოგიის კრეხი აფხაზეთში

დავით არაგიძე



ს. ბაგაფშის სეპარატისტული რეჟიმის პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც აცნობიერებს, რომ „დამოუკიდებელი აფხაზეთი“ სრული უტოპია და მავნე ქიმერაა. თუ რა ხდება ამ ადამიანების აზროვნებაში, ვფიქრობთ, საინტერესოა ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის. ამჟამად გთავაზობთ ქ. სოხუმში გამომავალ საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ „Гражданское общество –.....“-ში (იგი გამოიცემა გერმანული ჰენრიხ ბიოლის ფონდისა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის „შერიგების რესურსების“ დაფინანსებით) ჟურნალის გამოცემის № 82, ხოლო თარიღი – 2008 წლის 8 აპრილი,

არანაკლებ ჟურნალის ერთ-ერთი რესპონდენტის ლეონ ავჯინჯალის აზრს (ცნობილია, რომ ეს ავჯინჯალი წარსულში ჯინჯოლია, დღეს თავს კამანის მონასტრის მეურვედ ასაღებს. მი მონასტრისა, რომლის მღვდელ-მონაზონი ანდრია (პაატა ყურაშვილი) აფხაზმა სეპარატისტებმა წამებით მოკლეს ტაძართან. როგორც ჩანს იგი საგონებელშია ჩავარდნილი. აი, რას წერს ეს „ავჯინჯალი“, „დღეს უნდა დავასკვნათ, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა არის რუხი, კორუმპირებული აფხაზეთის ასსრ-ს გაგრძელება. ჩვენ დღეს ვახდენთ იმ ეპოქის, იმ ცხოვრების წესის, იმ სტილის რეგენერაციას“...

„დღეს აფხაზეთი – მომაკდავი წარმონაქმნია“...

„რუსეთშიც და დასავლეთშიც კარგად ესმით ჩვენი კორუმპირებულობის დონე, შესაბამისად სერიოზულად ჩვენ ანგარიშს არავინ გაგვიწევს“.

რუსეთის ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ 2008 წლის 25 აგვისტოს ავანტურა, ნათლად ადასტურებს რომ „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში და „დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთში“ ვითომცდა „თვითგამორკვეული“ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე აფსუებსა და ოსებს იმპერიული ნიადაგის გამანოყიერებული სასუქის როლი ეკისრებათ. სეპარატიზმი თვითმკვლელობის გზაა და ამ ხალხების იმპერიულ საფლავზე კაცობრიობის მომავალი თაობა იმედია სათანადო ისტორიულ დასკვნებს გამოიტანს.

აფსუა სეპარატისტ ლიდერებს ეშინიათ დემოკრატიის

პოლიტიკური დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპია კონკურენცია – გამჭვირვალე და სამართლიანი კონკურენცია. ეს მარტივი აქსიომა აფრთხობს და აშინებს აფსუა სეპარატისტთა ლიდერებს. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, პოლიტიკური კომპრომისის საფუძველზე, შეინარჩუნა მშვიდობა აფხაზეთში და შესთავაზა ყველა ადგილობრივ პოლიტიკურად აქტიურ პირს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა. 1991 წლის 9 ივლისის კანონი ამის სრულ საშუალებას იძლეოდა. 1991 წლის 29 სექტემბერს ქართულ საარჩევნო ოლქებში (26 ოლქი) ერთ მანდატზე 6, 7, 8 და 9 კანდიდატი მოდიოდა და რა ხდებოდა აფსუურ საარჩევნო ოლქებში (28 ოლქი)? მათგან, თითქმის ნახევარში, მხოლოდ თითო კანდიდატი იყო წარდგენილი, ასე მაგალითად: № 14 ბზიფის ოლქში – ალეკო გვარამია (ამჟამინდელი აფხაზეთის „სახელმწიფო“ უნივერსიტეტის რექტორი);

№ 39 გუდაუთის ოლქში – სტანისლავ ლაკობა (ამჟამად „ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი“);

№ 40 გუდაუთის ოლქში – ვლადისლავ არძინბა („ექსპრეზიდენტი“);

№ 45 გუდაუთის ოლქში – სერგეი შამბა (ამჟამად „საგარეო საქმეთა მინისტრი“);

№ 55 ოჩამჩირის – კუტულის ოლქი – სერგეი ბაგაფში („პრეზიდენტი“).

ვერც ერთმა „ლიდერმა“, აფსუა ხალხის „დამოუკიდებლობის“ და „გაფურჩქვნის“ მოსურნემ. ვერ გაბედა პოლიტიკურ კონკურენციაში ჩაბმა, მათ დემოკრატიის შეეშინდათ. ეს არცაა გასაკვირი სეპარატიზმის საბაზისო პრინციპი ტერორი და ტირანიაა და არა თავისუფლება და დემოკრატია.

აფსუეგის ენასა და თვით აფსუეგსაც გაქრობა ემუქრებათ

2006 წ. 8 სექტემბერი. სოხუმში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აფხაზური ენის განვითარების პრობლემებს. სიტყვით გამოვიდნენ სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორი ოლეგ დამენია მოხსენებით – „მშობლიური ენის სოციალური მდგომარეობა“; ლეიდენის უნივერსიტეტის დოქტორი. კავკასიური ენების ექსპერტი, კავკასიამცოდნე ვიაჩესლავ ჩირიკბა – „აფხაზური ენის შენარჩუნება და განვითარება და დემოგრაფიის პრობლემები“; ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ჰიუტი – „ენის საკითხები, რომელსაც გაქრობა ემუქრება“.

ვ. ჩირიკბამ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ „რუსული ენა დომინირებს ქუჩებსა და ბაზრობებზე; ეს ბიუროკრატიის ენაა მთავრობის, პარლამენტის, სკოლისა და ბიზნესის, ხოლო ხშირ შემთხვევაში ქალაქელ აფხაზურ ოჯახებში... მიუხედავად ბოლო ათი წლის განმავლობაში აფხაზური ენის პრესტიჟის ზრდისა და დიდი შეგნებისა ახალგაზრდობაში მშობლიური ენის სწავლებისა, „რუსული ენის გავლენის ზრდა აფხაზეთის ქალაქის ცენტრებში ისეა განვითარებული, რომ იგი ნეიტრალიზაციას უკეთებს პოზიტიურ ტენდენციებს აფხაზური ენის განვითარებაში“...

„ჩვენი ენის ფუნქციონირების პრობლემა ბევრად აისახება არა იმით, რომ ქალაქებმა აფხაზებმა იგი ცუდად ან სულაც არ იციან, არამედ აფხაზურ ენას ნაკლები სოციალური სტატუსი გააჩნია, ვიდრე რუსულ ენას და ეს ადვილად ასახსნელია“.

„ეს მუქარა უნდა აღვიქვათ თითქმის ისე, როგორც სამხედრო საშიშროება. ორივე შემთხვევაში ერთია – აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვა, მისი სუვერენიტეტის დაკარგვა“ – ხაზი გაუსვა ვ. ჩირიკბამ. მისი აზრით, არსებობს სამი წყარო აფხაზთა რაოდენობის გაზრდისა: მშობიარობის გაზრდა (ინტენსიური წყარო), – აფხაზთა რეპატრიაცია თურქეთიდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, აგრეთვე აბაზინთა იმიგრაცია ჩრდილო კავკასიიდან და აფხაზებისა აჭარიდან.

რუსეთის სათათბიროს სხდომის მომდევნო დღეს, 14 მარტს, რუსეთის ტელეგადაცემა „К баАjeАi“-С წამყვანის სოლოვიოვის შეკითხვაზე „რა უნდა რუსეთს აფხაზეთში“? რუსეთის სათათბიროს ვიცე სპიკერი ვლადიმერ ჟირინოვსკი პასუხობს: „მშვენიერი ზღვაა, მთა გადასარევია, კარგი ადგილია, ასე, რომ მე წავალ პირველი და გავიყოლებ სამ მილიონ რუსს იქ საცხოვრებლად! წამყვანის სოლოვიოვის შეკითხვაზე: „აფხაზებს რა ვუყოთ? ჟირინოვსკი პასუხობს: „ეგენი ისედაც ცოტანი არიან და დაიხოცებიან, დრო საჭირო. მანამდე კი მონებად გამოვიყენებთ“ – ასკვნის ჟირინოვსკი. აი რა „დამოუკიდებლობა“ ელით აფსუებს, აი რა „დამოუკიდებლობას“ დაპირდა 2008 წლის 25 აგვისტოს მათ რუსეთის ფედერაციის ფედერალური საბჭო და სახელმწიფო სათათბირო. რუსეთის სახელმწიფოს კოლექტიური მონობა, აი სად მიიყვანა აფსუა ხალხი ვლადისლავ არძინბამ და სერგეი ბაგაფშმა.

პრეისტორიული აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ

აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, არჩეულმა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო სამართლის საფუძველზე, თავისი 1919 წლის 20 მარტის სხდომაზე აფხაზეთის ხალხების სახელით დაადგინა:

„1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და მის დამფუძნებელ კრებას“.

ეს ისტორიული აქტი ადასტურებს, რომ ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით, აფხაზეთი, საქართველოს სახელმწიფოში ავტონომიურ ერთეულად ჩამოყალიბდა.

დაკავებულის დაკითხვის „ხელოვნება“

„დაკავებულის დაკითხვა – ეს ნამდვილი ხელოვნებაა. თავიდან საჭიროა მისი ნებისყოფის გატეხვა. ამისთვის საჭიროა დაამცირო იგი, აიძულო დარწმუნდეს საკუთარ დაუცველობაში, მის სრულ იზოლირებაში გარე სამყაროსგან. თავიდან – არავითარი კითხვები, მხოლოდ შეურაცხყოფა და ცემა, შემდეგ მხოლოდ ცემა სრულ სიჩუმეში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეუდგეთ დაკითხვას. ამიერიდან მისთვის მიყენებული ტკივილის ერთადერთი წყარო უნდა გახდეს თქვენს მიერ შერჩეული იარაღი. რომ მიიღოთ სასურველი ეფექტი, ტკივილი განსაზღვრული ხასიათის უნდა იყოს, იგი უნდა მიყენდეს ერთი და იმავე ადგილას და ერთი და იმავე ინტენსივობით.

ურუგვაის რესპუბლიკაში აშშს საელჩოს მრჩევლის დინ მიტრიონის რჩევები ურუგვაის ძალოვანი სტრუქტურებისადმი.

1970-იანი წლების დამდეგი.

რეპლიკა უპასუხისმგებელო მოლაყბეებს

უპასუხისმგებლო და ანტიეროვნული ცნობიერების პოლიტიკანებისა და გრანტიყლაპია „ნჯეოშნიკების“ მხრიდან გამუდმებით ისმის, რომ საჭირო არ იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. გვსურს მათ შევახსენოთ, რომ ოსი სეპარატისტების კონტროლით მოქმედმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ, 1990 წლის 20 სექტემბერს, მიიღო გადაწყვეტილება „ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კაშვირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის, შეყვანის შესახებ“. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცნობილ იქნას მხოლოდ სსრკ კონსტიტუციისა და სსრკ სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედება“.

1990 წლის 11 დეკემბრის კანონი ერთადერთი მართებული სამართლებრივი გადაწყვეტილება იყო, რამაც ოს სეპარატისტებს, მოუსპო სამართლებრივი შესაძლებლობა საქართველოს გულიდან ამოეგლიჯათ შიდა ქართლი და იგი რუსეთის კუთვნილ ტერიტორიად ექცათ.

აქვს თუ არა ხალხს აჯანყების უფლება

ეს კითხვა სულ ცოტა ხნის წინ აქტუალური იყო და გაერთიანებულ ოპოზიციად წოდებულ პოლიტიკური დაჯგუფების ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ არა ერთხელ გაცხადდა საჯაროდ, როგორც პრესაში, ასევე მიტინგებზე. სახალხო აჯანყების უფლება, როგორც ასეთი, მოქმედ საერთაშორისო სამართლის ნორმებში არაა ფიქსირებული, განსხვავებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებს აქვთ გამოხატული საკუთარი პოლიტიკური შეფასებები სახალხო აჯანყების მიმართ. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი პოლიტიკური გაერთიანება სოცინტერნი ყველგან და ყოველთვის აფიქსირებდა და აფიქსირებს, რომ იგი ცნობს და აღიარებს მხოლოდ საპარლამენტო-პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს. მაგრამ მას შემდეგ რაც სალვადორის რესპუბლიკაში XX საუკუნის 70-იან წლებში რამდენჯერმე გაყალბდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, გამეფდა „სიკდვილის ესკადრონების“ თარეში, პოლიტიკური რეპრესიები და სოციალური დისკრიმინაცია – სოცინტერნის ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის რეგიონალურმა კომიტეტმა, 1980 წლის სექტემბერში, ოფიციალურად განაცხადა: „ჩვენ ვიცავთ ხალხის უფლებას შეიარაღებულ აჯანყებაზე, იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს ან დახურულია თავისუფლებისკენ მიმავალი მშვიდობიანი გზები“.

ვფიქრობთ ამ სიტყვებს რაიმე კომენტარი არ ესაჭიროება.

პუტინი - მარიგი „ამერიკული კარტოფილი“ რუსეთის დრეშმითი მმართველი, ანუ იანკომის მესამე შეტევა საქართველოზე

ზაზა ტაბატაძე

პუტინი – ადამიანი – „არსაიდან“ გამოჩნდა (თუ გამოაჩინეს) ელცინის რუსეთში იმ პერიოდში, როდესაც დიდი ალბათობა იყო „გენერალიტეტური“ გადატრიალებისა. გენერალ ლევ როხლინის მსგავსი რუსეთში არ დაილეოდა და ყველა მათგანს ოჯახის წევრების საშუალებით ვერ მოიშორებდნენ. იმავე პერიოდში აღსანიშნავია ელცინის რამდენჯერმე გაიმპიჩმენტების მცდელობა, რომლის დროსაც ისევ „ამერიკული კარტოფილის“, ჟირინოვსკის და მისი მსგავსი პოლიტიკოსების მხარდამჭერი გადამწყვეტი ხმების წყალობით „მეფე ბორისმა“ გააგრძელა რუსეთის ის პოლიტიკა, რომელსაც ბრწყინვალე შეფუთვით ახორციელებს ამჟამად უკვე პრემიერ-მინისტრი. პუტინი ხელისუფლებაში ჩეჩნეთის ომის ტალღაზე გაპიარდა და რუსულ ეროვნულ გრძნობებზე ყალბი მანიპულაციებით გახდა ხელისუფალი. პირველი, რაც მან მოიმოქმედა, იყო ის, რომ კუბაზე არსებული რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესი რადიოსალოკაციო სარადარო სისტემით აღჭურვილი ბაზა გააუქმა, რომელიც მთელ ჩრდილო ამერიკას ფარავდა და იძლეოდა კომუნიკაციების ფარული მოსმენის საშუალებას აღნიშნულ გეოგრაფიულ სივრცეში. რამდენიმე რუსმა გენერალმა ტელევიზიით გააპროტესტა აღნიშნული გადაწყვეტილება და პუტინს ეროვნული ინტერესების ღალატში დასდო ბრალი. დღეისთვის ამ გენერლების ბედი უცნობია, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც რუსული მასმედიის საშუალებებით გახდა ცნობილი, არმიიდან დაითხოვეს. პუტინის თანამონაწილეობით 11 სექტემბრის ამერიკული პროვოკაციის შემდეგ (ეს რომ ამერიკული პროვოკაცია იყო, ამის დასტურად კარგად გაანალიზეთ მაიკლ მურის დოკუმეტური ფილმი „ფარენგეიტი 911 და კიდევ უამრავი მასალა, რომელიც დასავლეთის პრესაში დაიბეჭდა, ასევე თვითონ ამერიკული სპეცსამსახურის თანამრომელთა ჩვენებები და შეტყობინებები. მსგავსი პროვოკაციები დამახასიათებელია ყველა იმპერიის, მათ შორის რუსეთისთვის, გაიხსენეთ მოსკოვში აფეთქებული სახლები, რომელიც საბაბად იქნა შემდეგ გამოყენებული ჩეჩნეთის აღსაგველად პირისაგან მიწისა) შესაძლო გახდა რუსეთის საზღვრებთან ნატოს ხელშეკრულების ძალები გამოჩენილიყვნენ. პუტინმა თვითონ გაუწია ავღანეთის წინააღმდეგ ავანტიურას თანადგომა და ტექნიკითაც დაეხმარა ნატოს ჯარებს, რათა უფრო სწრაფად და საფუძვლიანად გამაგრებულიყვნენ რუსეთის საზღვრებთან. საბჭოთა კავშირის ყოფილ შუა აზიის რესპუბლიკებში კი ამერიკის სამხედრო ბაზები განლაგდა.

პუტინმა გამოიყვანა კოსოვოდან ის დაუმორჩილებელი რუსული ბატალიონი, რომელმაც ელცინის დროს მოახდინა ცნობილი პრიშტინის გადარბენა. მისი მმართველობის დროს რუსეთის ყოფილი სატელიტი ბალტიისპირეთის ქვეყნები გახდნენ ნატოს წევრები. აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები ნატოშია გაწევრიანებული, ხოლო რუსეთის მოსაზღვრე პოლონეთსა და ჩეხეთში, მოსახლეობის 70% წინააღმდეგობის მიუხედავად, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სარადარო სისტემები განლაგდება. საქართველო და სლავური უკრაინა ნატოს კარებს ანგრევენ. (თითქოს ვინმე უკეტავდეს). რუსეთის საზღვრებთან ახლოს დაპყრობილ ერაყში ორასათასიანი ამერიკული სამხედრო კონტიგენტი დგას. (ნიშანდობლივია ერაყის გაჭიანურებული დაბომბვის ჟამს, კონდოლიზა რაისის და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა, რომლის შემდეგ ბაღდადი რამდენიმე დღეში თითქმის უბრძოველად დაეცა).

პუტინის საგარეო პოლიტიკურ „მიღწევებთან“ ერთად უპრიანი იქნებოდა მის საშინაო „წარმატებებისთვის“ გაგვესვა ხაზი. ჯერ მისი ყბადაღებული 260 მილიარდიდან 290 მილიარდამდე მზარდი სამწლიანი საბიუჯეტო პროგრამა რად ღირს ხუთწლედის ასოციაციას რომ იწვევს?! (მცირეოდენი ცდომილება შესაძლებელია დოლარის კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით). ამ ბიუჯეტიდან გამომდინარე გავითვალისწინოთ, რომ ამ „აყვავებული“ და „გაძლიერებული“ პუტინის რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი მხოლოდ 25 მილიარდ დოლარამდეა, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის 8%-მდე და მერვე ადგილზეა მსოფლიოში. ინგლისის და საფრანგეთის, თითოეულის 50 მილიარდიანი სამხედრო ბიუჯეტი 2-ჯერ აღემატება პუტინის რუსეთის სამხედრო ბიუჯეტს. (რუსულ პრესაზე დაყრდნობით თვით პუტინის ქონება ორჯერ აღემატება ნლიურ სამხედრო ბიუჯეტს) აშშ-ს ბიუჯეტთან მისი შედარება სიცილს არადა, ტირილს კი უნდა იწვევდეს რუს „პატრიოტებში“. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტმა წელს 506 მილიარდ დოლარს მიაღწია და მასში არ შედის ერაყის სამხედრო კამპანიისთვის გამოყოფილი 150 მილიარდამდე დოლარი. გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის გამოყოფილი 35 მილიარდი თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება რუსულ სამხედრო ბიუჯეტს. თუ შევჯერდებით და შევადარებთ ნატოს ქვეყნების ჯამურ სამხედრო ბიუჯეტს, მივიღებთ რომ ლამის ცხრაასი მილიარდის წინააღმდეგ დგას რუსეთის მხოლოდ 25 მილიარდიანი სამხედრო ბიუჯეტი, შეფარდება ორმოცი ერთთან. (ამ ძალთათანაფარდობის ფონზე ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდ ჩანს ზოგიერთი ჩვენი სამხედრო „ექსპერტის“ შეფასება რუსულ საფრთხეზე, როცა რუსეთის ხელისუფლება იმუქრება ევროპის ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებიდან გამოსვლაზე: ამ ხელშეკრულებას ევროპა ისედაც არ ასრულებდა. პუტინის „ძლიერი“ რუსეთის სახელმწიფო სტაბილიზაციის ფონდის 200 მილიარდი დოლარი ამერიკულ ბანკებში უფრო „საიმედოდ“ ინახება,ხოლო 2006 წელს მხოლოდ ინგლისის ბანკებში რუსეთის მდიდარ მოქალაქეებს 160 მილიარდ დოლარამდე შენატანი აქვთ, რაც მათი სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტია. ხოლო თუ ამას დავუმატებთ ამერიკის, ევროპის და ა.შ. ბანკებში რუსულ ანაბრებს, ალბათ, სახელმწიფო ბიუჯეტს ბევრად გადააჭარბებს. ჯამში რუსული ენერგეტიკული „იარაღის“ (ნავთობი, გაზი) შედეგი, კაპიტალი ისევ რუსეთის „მოწინააღმდეგეთა“ ბანკებში ილექება, ხოლო პუტინის ყბადაღებულ ქვეყნის „კაგებეზაციას“ მეორე მხარე აქვს: სპეცსამსახურის წარმომადგენელთა მიერ დიდი ბიზნესის კონტროლი სხვა არაფერია, თუ არა მათი კორუმპირებულობა და დემორალიზაცია. „კაგებეშნიკები“ დაგროვებულ კაპიტალს კი კვლავ „მოწინააღმდეგე“ ქვეყნის ბანკებში ინახავენ, ანუ მათი „მოღვაწეობის“ შედეგს, კაპიტალს კვლავ თავიანთ პოლიტიკურ „მტრებს“ ანდობენ?! და ამით მათზე დამოკიდებულნი ხდებიან... ყველაფერი აქედან გამომდინარე, რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ პუტინის მიერ რუსეთის მედიაზე დაწესებული კონტროლი სწორედ საკუთარი ქვეყნის საზიანოდ მიმართულ პოლიტიკის მიჩქმალვას ემსახურება?! (ამ კონტექსტში განვიხილოთ საქართველოც, რადგან პუტინი და ჩვენი ხელისუფალი ერთი და იგივე ბოსტანში ამერიკული თესლისგან აღმოცენებული პროდუქტია!). თუ რა ცუდი პერსპექტივა ელის საქართველოს და რუსეთს, სააკაშვილის და პუტინის ხელში (სწორედ პუტინის, რადგანაც მედვედევი ამ ეტაპზე მხოლოდ დეკორაციაა, რეალურად პუტინი დარჩა რუსეთის დროებით მმართველად ამერიკული დავალების ბრწყინვალედ შესრულებისთვის) ამის ჯეროვნად გასააზრებლად მოკლედ შევეხოთ დღევანდელ შეერთებულ შტატებს. სწორედ ეს იმპერია იქცა დღეს ბოროტ „კარაბას ბარაბასად“, ვის ხელშიც მრავალი ქვეყნის „მმართველი“ (პუტინი-მედვედევი, სააკაშვილი, იუშჩენკო, კაჩინსკი, სარკოზი და ა.შ.) უბრალო ხის თოჯინა, მარიონეტია და რომელთა დიდ ნაწილსაც მიზანთროპი „თეატრის დირექტორი“ „მისიის“ შესრულებისთანავე ახალი ტაკიმასხარა თოჯინით ანაცვალებს. (მავრმა თავისი საქმე გააკეთა, აწი მისი ადგილი სასაფლაოზეა!...). ამერიკის პოლიტიკა შევაფასოთ უკანასკნელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე ჩვენს სამშობლოში განვითარებული მოვლენებით და არა მხოლოდ ამით.

მხოლოდ შეგნებულ პროვოკატორს და ნაძირალას შეუძლია უარყოს, რომ ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ჰუმანისტი და პატრიოტი ზვიად გამსახურდია შეერთებული შტატების მიერ ინსპირირებული პუტჩით იქნა დამხობილი, შემდეგ კი მოკლული. ყველაფერი დაიწყო მამა ბუშის ცნობილი განცხადებით, რომ ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. ხოლო გადატრიალების პროცესებში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა თანამონაწილეობა ედვარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ლოგიკურია იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ იმ პერიოდში რუსეთს პუტინის წინამორბედი „ამერიკული კარტოფილები“ გორბაჩოვი, ელცინი, შევარდნაძე, იაკოვლევი და მათი გუნდის წევრები, ამერიკის ხელის ბიჭები მართავდნენ. ბევრს კარგად ახსოვს გადატრიალების შემდეგ 1992 წლის თებერვლის მესამე დეკადაში რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის მიერ გაკეთებული სიუჟეტი: რომ ალექსანდრე ჩიკვაიძის უფროსი ვაჟის გიორგი ჩიკვაიძის „ინიციატივით“ მის ოფისში მოეწყო ედვარდ შევარდნაძის და სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის შეხვედრა მაშინდელ სახელმწიფო საბჭოს წევრ თენგიზ სიგუასთან. მე პირადად შესანიშნავად მახსოვს ტელეეკრანზე ბეიკერის მომღიმარი სახე და თენგიზ სიგუას ჩამოყრილი ყურები ამერიკის სახელმწიფო მდივნის კითხვაზე: ხართ თუ არა მზად ამერიკის მხრიდან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების კანონიერების აღიარების სანაცვლოდ, შევარდნაძე ჩამოვიდეს საქართველოში?!... (რატომღაც არცერთ ქართველ ჟურნალისტს არ მოსვლია აზრად სიგუასთვის ეკითხა ამ შეხვედრის შესახებ).

საკითხის ასეთი დასმა კატასტროფის მომასწავებელი იყო არა მარტო სიგუასათვის, არამედ კიტოვან-იოსელიანისთვის და ჩვენც ყველამ ვიხილეთ ამ შეხვედრიდან დაახლოებით ორ კვირაში ჩამობრძანებული დიდი „დემოკრატი“ ედუარდ შევარდნაძე. შემდეგ ორმა მეგობარმა „დემოკრატმა“ ჯეიმს ბეიკერმა და შევარდნაძემ ერთმანეთის ლოშნით აღნიშნეს თბილისში რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გამსახურდიას მომხრეების დასარბევად მხედრონის მიერ ატეხილი ავტომატების კაკანის ფონზე, რაც უნისონში მოდიოდა ამერიკელების ჩამოტანილი „დემოკრატიული კარტოფილის“ შევარდნაძის გაბადრულ, გახარებულ სახესთან. იმდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით აგრეთვე იმედის ტელემაყურებლებს ჰქონდათ საშუალება მოესმინათ ფინეთში პრეზიდენტ გამსახურდიას წარმომადგენლის ბატონ რენო სირაძის ინფორმაცია, რომ გადატრიალებამდე რამდენიმე თვით ადრე ის იყო მონაწილე მნიშვნელოვანი პოლიტიკური „სიმპოზიუმისა“, სადაც ამერიკის მაღალი რანგის ჩინოვნიკები და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რამდენიმე შეიხი ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტად მოიხსენიებდნენ!.. იგივე „იმედის“ ტალევიზიის საშუალებით განაცხადა გია მაისაშვილმა, რომ დიკ ჩეინისთან შეხვედრისას დასმული კითხვა, თუ რატომ ანაცვალებენ ამერიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები დემოკრატიულობის და სამართლიანობის უმაღლეს პრინციპებს ერთ პიროვნებასთან (იგულისხმება შევარდნაძე) პრივატულ ურთიერთობებს, ჩეინიმ უპასუხოდ დატოვა, ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 1999 წელს უკვე ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას, მისივე ინიციატივით შევარდნაძეს ჰიუსტონში ენრონის საკონფერენციო დარბაზში უდიდესი ჰუმანისტისა და მეცნიერის გოეთეს და ნობელის პრემიის ლაურეატის ალბერტ შვაიცერის სახელობის პრემია გადასცეს. (ალბათ, სულმნათი შვაიცერი საფლავში პროპელერივით ტრიალებდა ამ მკრეხელობისათვის), თუ რა „სიკეთე“ მოუტანა „ამერიკული კარტოფილის“ შევარდნაძის მმართველობამ საქართველოს, ამაზე კომენტარის გაკეთებაც ზედმეტად მიმაჩნია, ხოლო რაც შეეხება მისი მმართველობის დასასრულს, დღეს უკვე ეჭვი არავის ეპარება 2003 წელს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) მიერ დაგეგმილ „რევოლუციაში“, რის შედეგადაც მოხდა შევარდნაძის ჩანაცვლება მორიგი „ამერიკული კარტოფილით“ სააკაშვილით. დარწმუნებული ვარ, ამ ოპერაციაში შევარდნაძის უდიდეს როლზე, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ დაეთმო სავარძელი იანკების მორიგი მარიონეტისათვის.

დღესაც დისკუსიის საგანი ხდება, თუ რა შოკი მიიღო ნოემბრის დღეებში ედუარდთან შეხვედრისას ჟვანია-სააკაშვილ-ბურჯანაძის ტრიუმვირატმა, რომ ჟვანიამაც კი თავი ვერ შეიკავა და შეცბუნებულმა განაცხადა: ისინი კვლავ გამოიყენებენ აწ უკვე გადამდგარი ედუარდ შევარდნაძის უდიდეს პოლიტიკურ გამოცდილებას... ტრიუმვირატის გაოგნების მიზეზი, ალბათ ბუში უმცროსის სატელეფონო ზარი იქნებოდა, რითაც სამეულს ოკეანისგაღმელმა „მამა მარჩენალმა“ აუწყა ხელისუფლების დათმობაში შევარდნაძის უდიდეს წილზე და მამათელის ხელშეუხებლობის გარანტიასაც მოსთხოვდა! ამის შედეგი უნდა ყოფილიყო, მეორე დღეს სააკაშვილი ბუშთან სატელეფონო საუბრით და მეგობარო ჯორჯ-ის მიმართვით ტელეკამერების წინ რომ კეკლუცობდა, ხოლო მას შემდეგ რა პოლიტიკას ატარებს მიხეილ მეორე საქართველოში (მიქელა პირველი ჰყავდა საქართველოს ერთი უდღეური მეფე მე-14 საუკუნეში, – დავით ნარინის ძე), რა შორს დგას მისი მმართველობის ფორმა ჭეშმარიტად თავისუფალი და სამართლიანი სახელმწიფოს მართვის პრინციპებთან, თუ რომელი ქვეყნის მფარველობით და პატრონაჟით აგრძელებს ნადგურისცემას საქართველოში შევარდნაძის ღირსეული მოწაფე და ენერგიული შეგირდი, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს.

გაგარძელება მე-12 გვ.

პ რ ო ზ ა

გველის გახეულება

(ნოველა)

რეზო ადამია

შხეფის უძველესი ციხის სამხრეთით, მაღალსა და ნოყიერ ნიადაგზე ამაღლებულ ბორცვზე, ისლით გადახურული, განმარტოებული, ერთადერთი ფაცხა იდგა. ეზოს ღობიდან რამოდენიმე ნაბიჯში აკაციისა და რცხილის გაუვალი ტყე იწყებოდა, რომელიც მაღლა მთაზე იყო შეფენილი, შიგადაშიგ ბროწეულების ბუჩქებიც ხარობდა.

ოჯახის უფროსები, დედა და მამა, მიუხედავად გაუსაძლისი სიცხეებისა, დღე და ღამეს ყანაში, სათოხარზე ატარებდნენ. აქაურ მცხოვრებლებს ტეხურისპირას ჰქონდათ სიმინდის ყანები. ზოგს საკუთარი მიწები გააჩნდა, ვისაც არა _ მესამედზე ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს.

წელს აუტანელი გვალვა იდგა და სოფლის მოხუცები ჩიოდნენ, ასეთი ტანჯვის მომგვრელი სიცხეები ჩვენ არ გვახსოვსო.

დროება იყო ცუდი, ადამიანები, ცხოველები და საერთოდ ბუნება ერთიანად მწარედ იყო არეული და ყველაფერი ნადგურდებოდა. მზეც დაუზოგავად უწვდენდა დედამიწას თავის გავარვარებულ სხივებს და ცოფიანივით იკბინებოდა... ვინ იცის, რამდენი ადამიანი დაისიცხა იმ წელს...

გვალვისაგან ნაპრალებად დამსკდარი და პირდაღებული მიწა ძლივსღა სუნთქავდა, იგუდებოდა ქვეყანა. მხოლოდღა ჭიfნჭველების დინასტიები ხარობდნენ, უწყლობა კი აწუხებდათ, მაგრამ...

შინაურ ცხოველებს და ტყის ბინადართ, ჯგუფ-ჯგუფად, საჩიქობაოს მთის წყაროს ნაპირებთან მოეყარათ თავი...

კავკასიონიდან გამეხებული არწივიც გადმოხვეწილიყო, წყაროს ნაპირიდან წყალს დაწაფებული კურდღელი აეტაცნა და წივილ-კივილით სოფელ ეკის მთისაკენ მიაქანებდა. სოფელ ეკის მეგრული ფაცხის უმშვენიერეს მასპინძლებს კი მალულად და უჩუმრად, მოზრდილი ტანის შხამიანი გველი შემოჩვეოდათ... ღამე თუ დღე, უხილავად შემოსრიალდებოდა; ტახტის ქვეშ, მრგვალ გორგალად შეიკვრებოდა და შუანელიდან ბრტყელსა და წამწვეტებულ თავს წამოყოფდა; თავისი უწამწამო, შავი და ცივი, გასროლილი ტყვიის მაგვარი თვალებით და საათობით უსმენდა ტყუპი გოგოების მომაჯადოებელ უძველესსა თუ თანამედროვე მეგრულ ჰანგებს. ფაცხაში, ამ დაუპატიჟებელი არსების გამოჩენისას, ოჯახის ბინადარი კატა უმალ იქაურობას ეცლებოდა, თავს არიდებდა საშინელ ქვეწარმავალს.

საოცრება არაა?! გველს გველი რომ მოეკლას, კაცთაგანს არ უნახავს და არასოდეს, არც გაგონილა... მათ გააჩნიათ ურთიერთში დიდი გველური სიყვარული, მოფერების მათეული ლაკონიზმი და კოსმიური ხაზის საოცარი ჰარმონია. გველში სიკვდილის ჯოჯოხეთური მანქანა რომ არ გუგუნებდეს, მაშინ მათი ჯილაგი ადამიანის უახლოეს მეგობარი იქნებოდა.

გველი უსაზღვროდ ლამაზი ფიზიკური აღნაგობისაა, ხოლო მისი ტანის მოძრაობის ხაზის განმეორება, არც ერთ დიდ მხატვარსაც არ ძალუძს. შესაძლებელია, ახლოს იყოს მიქელანჯელოს, სანდრო ბოტიჩელის, პიკასოს, მატისის, მოდილიანის და ლადო გუდიაშვილის ჰარმონიულ ხაზთა სივრცობრივი დინება. რა თქმა უნდა, ახლოსაა ეგვიპტური ხელოვნების საოცრებანი, იაპონური გრავიურების კოსმიური სინარნარე და ალბათ მრავალი ბუდისტური უძველესი ხელოვნების ნაწარმოებთა არაამქვეყნიურ ხაზთა დინება.

გველი გარკვეული დროის შემდეგ, ქვეწარმავლურად ნასიამოვნები, შეუმჩნევლად გარეთ გასრიალდებოდა და თავაწეული გაემართებოდა საიდუმლო მიწისქვეშა სამალავში. საკმაოდ შორს ჰქონდა სორო და იქ ატარებდა აგვისტოს ხვატით აწიოკებულ დღეებს, ხოლო გვიან ღამე, ისევ შეიპარებოდა ტყუპების ფაცხაში, უფრო ლუკმის საშოვნელად: დიასახლისებს რძის ქვაბი შემთხვევით თავღიად თუ დარჩებოდათ, ეს მისთვის უდიდესი ფუფუნება და იშვიათი კვება იყო, თუ არადა, კერიის ირგვლივ დაყრილ ნამცეცებს, სიმინდის ფქვილის და ღერღილისა, თავისი გრძელი და წვრილი მაკრატელა ენით დინჯად აასუფთავებდა. მერმე, უბოროტოდ გარეთ გავიდოდა და სათავისო მიწისქვეშა ხვრელib მიიკარგებოდა, ფაცხაში კი აუტანელ მძაღე, სოროს ნესტით გაჟღენთილი გველის სპეციფიკურსა და გულისამრევ სუნს ტოვებდა. ხოლო ის სიკვდილის აჩრდილი, რომელსაც მუქი ლურჯი ფერის თავის ქალით დაატარებდა, გამუდმებით მასთან იყო _ სიკვდილი ხომ, მისი გაჩენის დღიდან, განუყრელად ჩაეკირა მას და ყოველი მისი თავდაცვითი თუ შემთხვევითი შეტევა, მომაკვდინებელი იყო...

ტყუპი გოგოებიდან ერთ-ერთი, წაბლისფერთმიანი და ცისფერთვალება ფიქრია, აწრიალდებოდა ხოლმე. ეს რა მძაფრი სუნი შემოვარდაო ფაცხაში. მაშინ ის უცხო სტუმარი, ყველას დაუკითხავად ძალიან ფრთხილად ფაცხაში იმალებოდა. ადამიანის მოდგმაზე ჯერ არ ჰქონდა ნაკბენი და დიდი ცოდვა არ აწვა იმ ცოდვილიან მიწის ხვრელისფერ ზურგზე. ხოლო ადამიანზე ნაკბენი გველი საერთოდ შორეულში გადაიკარგებაო, უთქვამთ...

მზის მცხუნვარებამ უფრო და უფრო იმატა და აუტანელი მიწიერი თაკარა იდგა. საშინელი ჟამი იყო მზისა და ქვეწარმავლის უზომოდ კოსმიური გახელებისა. იმდენად უაზროდ აირია და აიწეწა ქვეყანა, რომ თვალისმომჭრელად გავარვარებული მზეც, თავისი ბუდიდან ამოვარდნამდე ტორტმანობდა და მისგან გახელებულმა გველმა ელვისებური სისწრაფით გაისრიალა ფაცხასთან... და, ულამაზესი ლაკონური ხაზი დატოვა ჟანგისფრად ჩაწითლებულ მიწაზე. დასიცხული და უგონო ქვეწარმავალი გამეტებული ძალით ეტაკა ფაცხის ქვედა სარტყელს და როცა მკვრივი და უდრეკი მასა დახვდა, წივილისმაგვარი სისინით ზეციური კამარა შეკრა და განწირულივით ორ რკალად დაგრეხილი დაენარცხა გაქვავებულ მიწაზე, იმქვეყნიური სისინის მაგვარს მოჰყვა კაცთათვის წარმოუდგენელი გველური ხაზთა სრიალი და, როს იპოვა ფაცხაში შემავალი არე, ადამიანთა სამყოფელის მშვიდ სივრცეში ისე მიიკარგა, ვით კოსმიურ სხივთა მოლანდება...

კოლხეთში, კერძოდ სამეგრელოში, ოდითგანვე იბადებოდნენ იშვიათი სილამაზით განთქმული ქალწულები. წარმოუდგენელიც იყო, მაგრამ ამ უბრალოსა და მიუსაფარ დანისლულ ფაცხაში, გაწამებული დროისაგან, ტანჯვით, განდეგილ დღეებს ითვლიდა ორი მშვენიერი ასული. ერთ-ერთი ტყუპთაგანი, ცეცხლმიმქრალ უნაცრო კერიასთან, ძველისძველ ჯორკოზე მჯდარი, ჟღალთვალება ჩალისფერ კატას ულამაზესი თითებით ეალერსებოდა და ეთამაშებოდა. ამ დროს ფარული, ნერვიული და უცხო ფორმის დაძაბულობა ყოველ მათგანში შეინიშნებოდა...

მეორე ტყუპისცალი გოგო, ფიცარ ლოგინზე წამომჯდარი, ფანდურის ჰანგის თანხლებით და „იფრელ ჭუა ჩქიმდა მურსის“ სიმღერით თავს იქცევდა, მის საამო ხმას სიმშვიდე და სევდიანი წყნარი განწყობილება ჰქონდა, უხილავი ძალისაგან უცხოდ დამუხტულ გარემოში...

კმაყოფილად ხრუტუნებდა უმანკო ხელებით ნაფერები კატა _ განებივრებულს თვალები მიელულა და ცხოველთ მეფე ლომის მსგავსად ბრჭალებმოკაუჭებულს, თეთრი თათები შავად მოხატულ ნიკაპს ქვეშ დაეწყო... კატას თანდათან ნერვიულობა შეეტყო, ფერშეცვლილს, _ თითქოსდა ტანზე უჩხვლიტესო, უმალ ზეზე წამოვარდებოდა ხოლმე და ფართოდ გახელილი თვალებით უწერტილო სივრცეს მიაჩერდებოდა. მერმე, მოულოდნელად, გოგოების თვალებს მიაპყრო მძაფრი, დაძაბული, რაღაცისაგან შეშინებულ გაკვირვებული და გაფანტული მზერა.

აქაურობა უცნაურ ლამაზს, დიდს _ უცხოს და უმძიმეს საოცრებასაც ვერ აევსო, ყოველთან და ყველგან არსებული ამქვეყნიური სიცარიელე... ამ უკიდურესად აფორიაქებულ ქვეყანაში, მარტოხელა სევდიანი ფაცხა ცისფერი კუნძულივით იდგა. ყოველივე ნაზი იყო აქ და უჩვეულოდ მშვენიერი, მაგრამ მძლავრი ჰიპნოზური მუხტით იტენებოდა მისი სივრცე და გარემო. შორეულად მხოლოდ ორი ნემსისჩხვლეტია თვლაი იმზირებოდა და ამ უმძაფრეს ხედვას ჯოჯოხეთური ნელი სისინის ხმა ახლდა. კატის გვერდით მჯდომი გოგონას წუთით განზე გასვლა და საპირისპირო ელექტროველად აირია იქაურობა. ცხოველური ინსტინქტის მძაფრმა გრძნობამ გადაურბინა ჟღალთვალება ჩალისფერ კატას და... თვალის ხედვა რომ ვერ მოასწრებს, დროის ისეთ მონაკვეთში, მტაცებლის უთვალავმა ნიუანსმა გაიარა მის სხეულში და, ამ უცნაურ არეში, მას უსწრაფესი ტეხილი ხაზის მუქი ლანდი მოჰყვა და ელვისებური დარტყმის ყრუ ხმას, გოგოების განწირულივით საშინელი კივილი შეერწყა. ფაცხის კუთხეში კი მოყვითალო ჭაობისფრად ქცეული კატის გვამი ეგდო, რომელსაც წვრილი ჭრილობა მოუჩანდა თვალებსშუა, შავზოლებიან, ოდნავ ჩაღრმავებულ შუბლში... უბედურს, პირში სისხლი დაგუბებოდა და ბოლო ამოკვნესისას გადმოანთხია...

სიკვდილის უკიდურესი ძალით დაიმუხტა იქაურობა და სულთამხუთავ გარემოდ გარდაიქმნა...

შხამიანი ჭაობის ფერის უწვრილესი და უხილავი ხაზებით დაიქსაქსა ფაცხის მოგუდული ფერის სივრცე...

ფერდაკარგული და შიშმორეული დები, ხელებგაშლილნი, ჯვარცმულებივით აკვროდნენ ფაცხის მზის სხივებისაგან გახურებულ კედელს. მათ უნაზეს თვალებში ზეციური ცეცხლი დაენთო ჯერ არნახულს და საოცრად უცნაურს, მძაფრს და მოულოდნელ მოვლენას... ცული!... განწირულის ხმით იკივლა ერთ-ერთმა. საჩქაროდ ცული, გოგო! ან ჯოხი! ამდაგვარ შემზარავ გაჭირვებაში მყოფ ფიცარლოგინის კუთხეში აკრულ მეორე გოგოს გონება მოეკრიბა და, შეჩერდი, ცირა, მრავალმნიშვნელოვნად წამოიძახა უბედურებას დატოვებს მისი აქ მოკვლა...

მართლაც რომ საკვირველია, საქართველოს ულამაზესსა და უცნაურობით სავსე უძველეს კუთხე სამეგრელოში, მარტოობისათვის გაჩენილი, შემზარავი და ბუნებით საცოდავი; დაწყევლილი და ყველასაგან მოძულებული ქვეწარმავალი. ადამიანის საცხოვრებელ ბინაში თუ შემოიჭრა, შორეული და ღრმად დაკანონებულ ადათ-კანონის შესაბამისად, გველს მოსაკლავად არ გამოეკიდებიან. ოჯახში ბედნიერება შემოაქვსო, იტყვიან და გარეთ, ღია ცის ქვეშ უვნებლად გადევნიან, ჩვენი პლანეტის მზისქვეშეთში, ალბათ მხოლოდ ამ კუთხეში მიუკუთვნებიათ, ყველასაგან განწირული და საძულველი არსებისთვის ამდაგვარი უცნაური ნდობა და მნიშვნელობა. ასეთ ღრმა ხალხურ შთაგონებას უთუოდ უშორეს საუკუნეებში აქვს ფესვები. შესაძლებელია ქვეყნის წარმართობამდესაც იყო ხალხზე ზენა ძალისაგან შთაგონებული და ეგების ეგვიპტურ დიდ ცივლიზაციასაც უსწრებდეს. აქედან გამომდინარე, ალბათ ყოველივე ეს იმ დროის რელიგიური ნიუანსია, როდესაც ადამიანებს დამწერლობაც არ გააჩნდათ და უხსოვარი დროიდან ეს კოლხური მისტერია ათასწლეულებში შთამომავლობითი გადაცემებით გადადიოდა...

ტყუპი, მშვენიერი ასულებისაგან ხელუხლებელი ქვეწარმავლაი, ფაცხის აღმოსავლეთის ჩელტის ხვრელიდან, ბნელივით გაიპარა და თან გაიყოლია ეშმაკის თანმდევი სიკვდილიც, ყველგან მოარული ჯალათი, რომელიც თავის დროზე მასაც ჩაარტყამს გამანადგურებელ ლახვარს მის მრავალცოდვილიან კისერზე...

კატის სხეულს შერჩენილი, სიკვდილიც იქაურობას ტოვებდა. მსხვერპლის სახით, ერთი ნაფლეთი კატის გვამიღა ეგდო ამ უზომოდ აფორიაქებული კერიის გვერდით.

სიკვდილის მუხტით გაჟღენთილი სივრცე ნელ-ნელა გამოთავისუფლდა და ვარდისფერმა სიცოცხლემ, მომავლის იმედად, ისევ შეავსო იქაურობა ნაომარი და გამარჯვებული ქვეწარმავალი საბოლოოდ გაცლოდა იქაურობას და ამ მძიმე შემთხვევის მერე, აღარასოდეს გაკარებია ფაცხის არე-მარეს...

პ ო ე ზ ი ა

გრიგოლ რუხაია



ყინვათვე

საღამოა მობნელლურჯო...
დღე ცოტათი
კიდევ ურჩობს,
რა საოცრად მახალისებ
ფეხქვეშ
თოვლის კრაჭა-კრუჭო...
დავალ გორზე
და მომესმის,
ჰოი, გორთა დრეკის ჩქამი...
საღამოა მობნელლურჯო,
ნიავები ჰქრიან ჩქარნი.

***

ვლიან მხარდამხარ, ვით
ზვირთები
კოლხას ზღვისანი.
და, მზის სარკის წინ
კეკლუცობენ
ყრმა დელფინები...
ჩანს ორჩხომელი,
მშვენიერი
როგორც ციცარი,
და ჩვენ,
ნისლები,
ველს ცვარ-თრთვილად
მივეფინებით.

სიმღერა

ჭრელა-ჭრულა საწუთრომა
მაჭანჭყარა.
მაჭირვა მე!
მაგრამ ყველა –
ყველაფრისთვის
სული მიჩნდა
გამჭვირვალე.
ღმერთს დიდება!
კლდეს მიჯაჭვულს
შემომადნა ჯაჭვი მალე...
მზემ
ძელისა ცხოველისამ
გამალომა
ბაჭია
მე.

შოთასებრ

შამბ-შამბ, ხანაც ბალახ-ბულახ
მიაჭენებს მოყმე ულაყს...
ქვე – წყაროთა წანწკარია,
ზე – ქანაობს ღრუბლის ქულა.
სჯის მხედარი: „თუმცა კაცი
ხშირად არის ხარა-ხურა,
მაინც ხატი არი ღვთისა,
მისი ფაფანაკი ჰხურავს“.
ჭალა-ჭალა, ხანაც გორ-გორ
ცხენთან ერთად ნისლშიც
ცურავს...
ახსენდება მამული და
მჯიღს გაიქნევს მამაცურად.

ავდარი

ცა იქუფრება, ცა იყალყება,
ფეხზე დგებიან
ზღვა-ველ-გორები
და ქარიშხლების
ხელკავს წაჰყვება
რიონის ზვირთი ნაჩოჩქოლევი...

გესმით? ზათქია არმიწიერი –
ჩადის მიწამდე, ადის ხომლამდე,
და მიმოამსხვრევს
სივრცეს კივილი
ზღვაში ჩარჩენილ
ობოლ ხომალდის!

მეხის ძრავა და ელვის ბორბალი
დააგრიალებს
ღრუბლის მანქანას...
ცვივიან წვიმის
წვეთნი ქორფანი...
წყდება ფოთოლი ბოლოქანქარა.

ქალენდარი

შვიდი ათას ხუთასი და
მეთხუთმეტე წელია,
რაც ქვეყანა არსებობს და
სიო არხევს ლელიანს...
რაც ერი ვართ, ოთხიათას
ასთექვსმეტი წელია,
იმას აქეთ გვიღრენს ლომი,
ხან ჯიქი, ხან მელია...
ორი ათას სამასი და
ოცდაექვსი წელია
რაც ფარნავაზს მეფედ ვიცნობთ
უფლისაგან, წვერიანს...
ათას ექვსას ოთხმოცდაათ,
კიდევ, ორი წელია,
რაც რო ზეცის კიდეგანზე
ქრისტეანად ვწერივართ.
ჰოდა, რაღას გვემართლებით,
ღრიანკალევიჩებო -
სახითა და სულითა და
მზერით შავო ბიჭებო?!

მგოსანი

აი, შაშვი!
სამოთხიდან
მოფრენილი შემთხვევით...
გალობათა ცისიერთა
გონწასვლამდის მეტყველი...
აღტაცებით გარინდულან
მეცხვარენი.
მეთხენი...
ჰე, უფალო,
მომეც ნიჭი
ამ მგოსნისა ერთხელ მე!

***

კიდევ ერთხელ
„წრიპ-წრიპ“ თქვი,
გევედრები, ბარტყო, რა!
პირისწყალი შემაშრა –
ფულს არ ვაძლევ მათხოვარს.

ასე უფრო შემშვენის
თითქოს და უსაფრთხოა...
ხამლის ნალად არ ვღირვარ
და წინდების ფართხუნად!..

თენება

შვენით ძელნარებს
ძელთა სიგრძენი -
მიიწევიან რანიც ცისაკენ,
განიხვნა კარი ცის და ძირძველი
დასველდნენ
გორნი მზის სისხლისაგან...

მზესავით ჭმუნვა მიდის ა მოდის
და მეორდება დაუსრულებლივ,
ვნებათა, ისე, რომ
ასდის ორთქლი,
ათასწლეულებს სჩეხენ ცულები.

საწუთროს ზვირთთა, ჩქართა და
ნელთა
ბათქა-ბუთქია
გულის გემბანთან...
აყვავდებიან
როდისღა ნეტავ
მწვერვალნი მაღალ
მოღვაწებათა?

***

„ზოგი კაცია, ძამიკო,
ზოგს ქუდი ჰხურავს კაცის...“
მეორჩხომლეთა სიმღერა
შემოგახტება კარწინ.
ხან უკან-უკან ვარდება,
ხან წინ გაუდის ლაწი...
და, თითქოს იმეორებსო,
სირი ჟივჟივებს ანცი -
„ცოტა – კაცია, ძამიკო,
ურიცხვი – არაკაცი!“

ხვედრის საძებნად

საით აღარ გადახვეწილან –
გუგუტა,
ჯვებე,
ჩაჩა,
ქეცილა...
უკეთესები ჩემზე ბევრწილად.
გამოკეტილა მათი სახლები...
ფარდებიც საწყლად
ჩამოფხრეწილა.

***

იგნორირება ჩვენის ქართულის
სულ ყოველივეს და
სულ ყველაფრის!
და სამართალი
ცისა და მიწის
გაჩერებულა!
გული ძგერს აფრის...
და ჩემს მამულში
ბიწიერება
თამაშ-თამაშით,
ვითარც მელა,
რბის.

***

მსჯელობს და მსჯელობს
მეგონა მღერდა –
ამაოდ დავშვრი,
ცრემლიანია
ამო ხმა შაშვის.
ცისარტყელაა
ცაში ზებრული,
ჩანს შაშვი ცოტა
გაბრაზებული.
გამოხვეული
ღამისფერ შალში,
მსჯელობს და მსჯელობს
და მსჯელობს შაშვი.
ცვრითაა სავსე
ყვავილთ ყანწები...
მგალობელია
ცოტა ნაწყენი.
მსჯელობს დილიდან
რაღაცას შაშვი,
შაშვია იგი
თუ შაშვის ბავშვი?

ბოშა ქალი

მურიანი ბოშა ქალი -
შავთა თვალთა მკვესარი,
გამოხედვა მტაცებლისა
არანაალერსალი...
გვამი მისი – თხილის წკნელი,
სული – ნაპერწკლიანი,
მაწანწალა ოცნებები
პარვისა და ყიალის...
ქედ-კისერზე ვერცხლის მძივის
ოფლიანი სრიალი.
და ყურებზე ლალის თვალთა
ცეცხლის ათასი ალი...
კვლავ ხსოვნაში გიზგიზებენ,
ანათებენ მზესავით,
დღე-ღამენი ბოშა ქალის
ცხელ თვალებით მკვესარი...
ო, იმ თვალებს...
აფთრის თვალებს
გავექეცი ვერსაით.

***

მივჩანჩალებ
სამოცისა მოვიყარე,
კბილს ვუჩივი,
ხან ნუნებს...
საკუთარი ჩონჩხის ძვლებს
ძლივსღა დავაჩხარუნებ.
მივჩანჩალებ, ზურგს უკან
წლებს გავცქერი ნაკლულებს...
მოდრეკილი, თხილის ჯოხს
ძლივსღა მივაკაკუნებ.
ჩავიმუხლებ, ბალახის
სუნი ნაღველს მიათებს...
წუთისოფლის ჩქამ-გუგუნს
ძლივსღა ვაყურიადებ.
ეგე, მოვკვდი,
და მიწა
გულში მიკრავს
ნატრულ ძეს...
სული კი ანგელოსებს
მიჰყავთ სასამართლოზე.

პუტინი - მორიგი „ამერიკული კარტოფილი“ რუსეთის დროებითი მმართველი, ანუ იანკების მესამე შეტევა საქართველოზე

დასაწყისი მე-9 გვ.

ნებისმიერი იმპერია, მით უმეტეს ამერიკული, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად რომელიმე მარიონეტ სატელიტ ქვეყანაში ხელს უწყობს ამ ქვეყნის მოსახლეობის ზნეობრივ დეგრადირებას, შინაგან გაორებას, შემგუებლობას, ნიჰილიზმს, რაც უკვე განხორციელებულია ჩვენთან იანკების ხელდასხმული შევარდნაძის და სააკაშვილის რეჟიმის მეოხებით. ამ ეტაპზე საქართველო ამერიკული „ექსპერიმენტის“ გადამწყვეტ ფინალურ სტადიაზე იმყოფება. შედეგი უმძიმესი იქნება საქართველოსთვის შემდეგ მიზეზთა გამო:

დე ფაქტო აფხაზეთი და სამაჩაბლოს რეგიონები რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიებია, მაგრამ თუ მივმართავთ მიუკერძოებელ, სტერეოტიპისგან თავისუფალ აზროვნებას, ჩნდება რიტორიკული კითხვა, თუ ჯერ სსრკ-ს და შემდეგ რუსეთის მარიონეტი ხელისუფლება შეელია ვარშავის ხელშეკრულების ყველა ქვეყანას, პრომოსკოვურ ქვეყნებს მთელ მსოფლიოში, საკუთარ სახელმწიფოს ყოფილ თოთხმეტ რესპუბლიკას, ინტელექტუალურ თუ მატერიალურ სიმდიდრეს (40 ათასზე მეტი ინტელექტუალი გადინებულია ამერიკასა და ევროპაში. სწორედ მათი დიდი დამსახურებაა ამერიკის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლის 70%). რა გახდა ერთი სამაჩაბლო და აფხაზეთი თუნდაც დნესტრისპირეთი? სტრატეგიული მნიშვნელობის ყირიმზე (რომელიც ნამდვილად იყო უფრო რუსეთის ისტორიული საკუთრება ვიდრე უკრაინის) არ არის ამხელა აჟიოტაჟი ატეხილი რუსეთში როგორც ჩვენ ძირძველ მიწაწყლებზე. ნუთუ მეზობელი ჩრდილოეთი ქვეყნის სტრატეგიულ კვლევით ცენტრებმაც დაკარგეს რაციონალური შეფასების უნარი?

ვფიქრობ ჭეშმარიტი მიზანი უფრო მზაკვრულია რუსეთისთვის და ამ მიზნის კატალიზატორად გამოყენებული ამერიკული „საცდელი ბაჭია“ საქართველოსათვის.

შევარდნაძის მიერ ოკეანისგაღმელების დაკვეთით ჩაბარებული აფხაზეთი და სამაჩაბლო ბუმერანგის პრინციპს განახორციელებს რუსეთთან მიმართებაში. რუსულ პოლიტ ისტებლიშმენტს შესანიშნავად ესმის, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის პრეცენდენტის დაშვება მათი მხრიდან კატასტროფა იქნება თვით რუსეთისთვის. ამიტომაც იანკების და მისი მარიონეტი კარტოფილების მხრიდან რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ცნობიერებაში ინერგება ეგრეთწოდებული თანდათანობის პრინციპი, ანუ მიუღებელი მოვლენის თანდათანობით შეგუების და შემდეგ ამ მოვლენის განხორციელების პრინციპი. თუ რუსეთს და სქართველოს სამკუთხედის ორი წვერის ფუნქციას მივანიჭებთ, მესამე წვერი უდაოდ კოსოვოა, რომელსაც ჯოკერის ფუნქცია აკისრია მთელ ამ პერსპექტივაში განვითარებულ პოლიტიკურ ავანტიურისტულ პროცესებში. ისმის ბუნებრივი კითხვა რისთვის დასჭირდა შეერთებულ შტატებს და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს უპრეცენდენტო პრეცენდენტის დაშვება შუა ევროპული ქვეყნის, სერბიისთვის ძირძველი მიწაწყლის წაგლეჯა და მისი დამოუკიდებლობის აღიარება. ამ დროს ეს ნონსენსი ხდება ევროკავშირის გაფართოების პარალერულად ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლასთან ერთად. რაციონალურ მარცვალს ამ უკე განხორციელებულ აქტში ვერ იპოვი, თუ არ მოვიაზრებთ ფარულ ქვეტექსტს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულს საქართველოს თანამონაწილეობით. კონკრეტული ჯგუფების ჩანაფიქრით ატლანტიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებზე, თანდათანობის პრინციპით რუსეთმა საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ უნდა გაიმეოროს უპრეცედენტო პრეცენდენტი და აღიაროს რაიმე ფორმით აფხაზეთის ან სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, რაც ზავივით დაატყდება და კატასტროფის ტოლფასი იქნება რუსეთისთვის უახლოეს ათწლეულში. CIA-ში (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) დამუშავებული ამ გეგმის გასახორციელებლად, მიმდინარე წელს საქართველოში მოვლენები შემდეგი სქემით ვითარდება: ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული პროცესები და ხალხის ობიექტური, უკიდურესი პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ, ალბათ მაინც ოკეანისგაღმელი ემისრების მიერ იმართება. არსებულ პოლიტიკურ რყევების თუ კატაკლიზმების (7 ნოემბერი) პირობებში ხელისუფლების არსებობა და ლეგიტიმურობა მთლიანად იანკების კეთილ ნებაზე გახდა დამოკიდებული. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებაც ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია და მასთან დაკავშირებული „სიკეთეები“ უფრო ოსტაპ ბენდერის მიერ ვასიუკოველების, ან არქიფო სეთურის მიერ საირმელების მოღორებას უფრო მაგონებს, ვიდრე რეალურ ჭეშმარიტ მიზანს. ხელისუფლება მზადაა ნებისმიერი ავანტიურისტული ნაბიჯი გადადგას ძალაუფლების შესანარჩუნებლად. „ცრუ“-ს ომი სჭირდება ძირძველ ქართულ რეგიონში, რაც ისედაც მოთმინება დაკარგული მეზობელი სახელმწიფოს საღად მოაზროვნე პოლიტ ელიტასაც კი თვითმკვლელობის ტოლფას ავანტიურაზე წასვლას აიძულებს, ანუ კოსოვოს საპასუხო პრეცენდენტს გაამეორებინებს. ოკეანის გაღმა დამუშავებული გეგმის ხელშემწყობი ფაქტორია რუსეთში მორიგი „ამერიკული კარტოფილის“ პუტინის „შესტორკის“ მედვედევის „არჩევა“, მითუმეტეს მეურვედ ისევ პუტინი ჰყავს დროებით დანიშნული. რუსეთის ახლომხედველი, რევანშისტულ ემოციებს აყოლილი მოსახლეობაც მომზადებულია ამ აქტის მისაღებად. გეგმის ფინალური აკორდისთვის კი აუცილებელი გახდება ომი აფხაზეთთან. ომი, რომელიც რუსეთის ინტერესების მოღალატე პუტინ-მედვედევის ხელისუფლებას ოკიანისგაღმელთა ინტერესთა შესაბამისად კოსოვოს პრეცენდენტს განახორციელებინებს. ჩვენ ქვეყანას კი მხოლოდ და მხოლოდ შესაწირად გამზადებული პაიკის როლი აკისრია „ცსს“ მიერ დადგმულ ტრაგიკულ სპექტაკლში. ამერიკელ ხელისუფალთა ფარისევლური განცხადებები აფხაზეთის და სამაჩაბლოს საქართველოს განუყოფელ ნაწილად ცნობასთან დაკავშირებით, ნატოსთან ჩვენი გაწევრიანების და აფხაზეთთან ომის ფონზე სწორედ, რომ რუსულ ნაციონალურ რევანშისტულ გრძნობების ცეცხლზე შეგნებულად ნავთის დასხმის ტოლფასი იქნება, შედეგად გაბოროტებულ გაბრიყვებული რუსეთი „თვითმკვლელობის“ აქტს უყოყმანოდ მოაწერს ხელს.

ომი წარმოუდგენელ ნგრევას და უბედურებას მოუტანს საქართველოს. ამ შემთხვევაში ხელისუფალს ერთი ცნობილი ზღაპრის გმირის ბედი ელის. (მთავარი გმირები ბოროტი „ჯუჯა“ და ცისფერთვალა ქერა „ინფანტაა“. – ბრჭყალები და ზღაპრის ინტერპრეტაცია ავტორისეულია).

სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანას თითქმის არანაირი შესაძლებლობა არ აქვს უარი თქვას იანკების მიერ მონიჭებულ პაიკის როლზე. უპირველესი მიზეზი ჩვენი უსუსურობისა ჩვენივე პრინციპების გაორებასა და ღირებულებებისადმი ფარისევლური დამოკიდებულებაა. ერთდროულად ღმერთის და მამონას სკამზე მოკალათების მოსურნე ერად ვიქეცით. ჩვენი კონფორმიზმი და ფარისევლობა განპირობებულია ჭეშმარიტი ქრისტიანული ღირებულებების ვერ შეცნობით. ჩვენ ბარაბას გზაზე სიარულით დაღლილები, მამონას სკამზე ვისვენებთ და ქრისტიანობაზე მხოლოდ ყბედობით ვიტყუებთ თავს. თუ არადა როგორ შეიძლება ქართველი ერის 75% ზვიადის და მერაბის გზის მომხრე იყო (იმედის და რუსთავი 2-ის სატელევიზიო გამოკითხვის შედეგი) და თითქმის იგივე პროცენტი ნატოში გაწევრიანებას უჭერდეს მხარს, ანუ იმ ქვეყნების სამხედრო ორგანიზაციაში, რომელთა ნებით და ხელშეწყობით დაამხეს გამსახურდია და საქართველოს ეროვნული ნიადაგის უბოროტესი მტრები შევარდნაძე და სააკაშვილი დაასვეს. ჩვენი პოლიტ „ელიტაც“ მთლიანად უპრინციპო, სხვადასხვა ქვეყნის აგენტი, ძალაუფლებით შეპყრობილი სუბიექტებისგან შედგება. არსებულ სიტუაციაში საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შემოთავაზებული ვერც ერთი ვარიანტი კრიზისიდან თავდახსნის საშუალებად ვერ გამოდგება. ვერც ხელისუფლების ცვლილება ვერ გვიშველის, თუკი იანკები ერთ მარიონეტს მეორე თოჯინით შეანაცვლებენ და ისე განახორციელებენ ჩვენი ქვეყნის საზიანო გეგმებს. ქვეყნის საპარლამენტო მოწყობა „ოპოზიციის“ მიერ შემოთავაზებული სახით, სინამდვილეში ერთი პრეზიდენტის რამდენიმე „პრეზიდენტუკით“ შეცვლის მაუწყებელია, რადგან თითოეული პარტიის თავმჯდომარე ფაქტიურად ერთპიროვნული გამგებელია საკუთარი პარტიისა. თვით დღევანდელი პარტიები წარმოადგენენ ბუდეს: უცხო ქვეყნის აგენტებისა, იმუნიტეტის მაძიებელი უსახური ტიპებისა, რომელნიც პარტიის ლიდერებთან გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ საარჩევნო სიებში მოწინავე პოზიციებს იკავებენ. პარტიის რიგითი წევრების ძირითადი შემადგენლობა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით ხელმოცარული სუბიექტებითაა დაკომპლექტებული და პარტიაში გაწევრიანებით ცდილობენ ისინი უკეთესი პერსპექტივის რეალიზაციას.

სამშობლოსადმი თვითშენირვა პარტიებისთვის მხოლოდ ენის მოსაქავებელი ყბედობაა, რადგან ეს დიადი ღირებულება არანაირი საქმით არაა გამაგრებული. ჩვენთან არსებულ პარტიებში დომხალია იდეოლოგიური საზრისითაც. რომელი პარტია, რომელ განსხვავებულ იდეოლოგიას ახმოვანებს თვითონაც ვერ გაურკვევიათ. ჩვენში პარტიების იდეოლოგიური კუთვნილების დასადგენად, თავისთავად გაგარინის აღმართზე მდებარე საგზაო სამინისტროს შენობა გახსენდება, ასე ბრძნულად რომ დაარქვა ხალხმა შესატყვისი მეტსახელი. მიუხედავად აღწერილი მძიმე სურათისა, მაინც არსებობს გამოსავალი, თუნდაც თეორიული, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: პარტიებს საერთო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე უნდა აეკრძალოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.ქვეყანაში უნდა განხორციელდეს ხელისუფლების მოწყობის საპარლამენტო სისტემა, რომელიც დაკომპლექტდება მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატებით. 70-მდე მაჟორიტარი დეპუტატი სავსებით საკმარისი იქნება საქართველოსთვის (200 და 300 მილიონიან ქვეყნებს სულ 300 ან 400 წარმომადგენელი ჰყავთ ქვეყნის უმაღლეს ორგანოში). მიზანშეწონილია საქართველო დაიყოს 70 საარჩევნო ოლქად დაახლოებით 50 ათასამდე ამომრჩევლით თითოეულ ოლქში. დეპუტატობის მაძიებლებმა უნდა წარადგინონ 10 ათასამდე ხელმოწერა. კონკრეტული კანდიდატის ხელმომწერს ეკრძალება სხვა კანდიდატის მსარდამჭერი ხელმოწერა. გამარჯვებული დეპუტატები სპიკერს ირჩევენ მხოლოდ ერთი წლით და ყოველი წლის ბოლოს კენჭს უყრიან პარლამენტში მისთვის ვადის გაგრძელებას. იგივე პრინციპით ირჩევა პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ღირსეული მოღვაწეობის შემთხვევაში გაუხანგრძლივდება ვადა პარლამენტის უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერით, ხოლო დეპუტატის არასათანადო ქმედების შემთხვევაში ამომრჩეველს კანონის შესაბამისად ექნება უფლება გაიწვიოს უღირსი დეპუტატი სათანადო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში. ამგვარად, ხელისუფლება მთლიანად მოსახლეობის კონტროლს დაექვემდებარება. რაც მთავარია სხვა ქვეყნების ნაძირალა აგენტებს ძნელად შემოგვაპარებენ. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მოწყობის ამ ფორმას უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, პირველ რიგში უცხო ქვეყნის აგენტები, პროვოკატორები და საკუთარ შეზღუდულ აზროვნებაში ჩაკეტილი სკეპტიკოსები.. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნის. თუ თითოეული ჩვენთაგანი გავითავისებთ ჭეშმარიტი სიტყვის მნიშვნელობას და დავადგებით სიმართლის გზას, მაშინ ვერანაირი იმპერიული ქვეყნის აგენტები ვერ დაგვამარცხებენ და მარიონეტ ტაკიმასხარებად ვერ გვაქცევენ. მხოლოდ მაშინ განხორციელდება დიდი ილიას უკვდავი სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ (და არა ნატოს, კატოს, ტასოს, ვასოს, მოსკოვს, ვაშინგტონს თუ ბრიუსელს) და საქართველო მხოლოდ მაშინ აღასრულებს ჭეშმარიტ სულიერ მისიას, რომლის არსსაც მთლიანად გამოხატავს მოწამებრივად აღსრულებული ერისკაცის ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმან ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ღვთის გზის ჭეშმარიტება, რათა მან სწამოს ქრისტესათვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა“!

2008 წლის ივნისი.

ტექსტის სრული ვარიანტიო იხილეთ ინტერნეტით

http\\iberiana.input.ge

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრს ნინელი კოდუას სამძიმარს ვუცხადებთ დის შვილის

გოგიტა ქარჩავას

ცხინვალის ომში დაღუპვის გამო.

მეგობრების ჯგუფი

ჩ ვ ე ნ ი დ ი ა დ ი ი ს ტ ო რ ი ა

მტყუან-მართალი კავკასიელები და შატილის უკანასკნელი ომი

მრავალი ომი და ბრძოლა ახსოვს ისტორიას, როცა წუთისოფლის ბედუკუღმართობის გამო ერთი ჯიშისა და მოდგმის ხალხი ერთმანეთის წინააღმდეგ დამდგარა საომრად. სისხლი დაუღვრიათ, უჟლეტიათ ერთმანეთი, მაგრამ მტყუანი ძალიან გვიან გარკვეულა, ხშირად საუკუნეების შემდეგ.

ასეც მომხდარა: ერთმანეთის საჟლეტად მისულ ძმებში საკუთარი ღირსებისა და სინდისის წინაშე ორივე თავისებურად მართალი აღმოჩენილა, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, მტყუან-მართალის გარკვევა, იმ თაობაში, შეუძლებელი გამხდარა. ისტორიის სიღრმეშიც უძებნიათ მტყუან-მართალი. ასეთი ბრძოლების რიცხვს განეკუთვნება 1843 წელს შატილთან გადახდილი ბრძოლა შატილიონთა და შამილის ერთგულ ჩეჩენ-დაღესტნელთა ჯარს შორის, რომელთაც შამილის ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი, ახვერდი მაჰმადი მეთაურობდა.

რას ერჩოდა შამილი შატილიონებს? რატომ არ მისცეს ხევსურებმა გზა საკუთარი მამულის თავისუფლებისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს? ვინ იყო მართალი?

ალბათ არ არსებობს დედამიწაზე ორი ერი, რომლებსაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ეცხოვროს და ერთმანეთის სისხლი არ დაეღვაროთ თუნდაც ერთი სისხლის, ერთი მოდგმის ხალხებს, მაგრამ ამ ჩვეულებრივ მეზობლურ შუღლშიც არის განსხვავება. არსებობენ დაუძინებელი მტრები — მუდმივად ერთმანეთის ჩაყლაპვის მოსურნენი და არიან მეზობლები, რომელთაც, მართალია, მეზობლური შუღლი არ დაჰკლებიათ, მაგრამ დიდი ომი არასოდეს გადაუხდიათ ერთმანეთთან. ასეთი მეზობლების რიცხვს მიეკუთვნებიან ქართველები და ჩეჩენ-დაღესტნელები. ეს ორი მონათესავე ეთნოსია, რომელთაც ისტორიის მანძილზე, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მიზეზთა გამო მუდმივად სჭირდებოდათ ერთმანეთი: მთას ბარი — თავის გამოსაკვებად და ბარსაც, ქართველი თუ არაქართველი მთიელები როგორც საომარი ძალა უზარმაზარი იმპერიების წინააღმდეგ.

ბევრჯერ უგემიათ საკუთარ თავზე მთისა და ბარის ერთიანობის ძალა რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, მონღოლებს, თურქებს, სპარსელებს და ათასი ჯურის მომხდურთ. ეს ბალანსი ქედს გადაღმა თუ გადმოღმა კავკასიაში მუდმივად არსებობდა თითქმის მე-17 საუკუნემდე, მერე რა, რომ XVI საუკუნეს დაშლილი შეეგება ჩვენი ქვეყანა, რამდენიმე სამეფოდ დაყოფილი საქართველო მაინც არ წარმოადგენდა ხელწამოსაკრავ ძალას. ცალკე აღებული ქართლი, კახეთი, სამცხე თუ იმერეთი მაინც უძლიერესი სახელმწიფოები იყვნენ კავკასიის სახანოებს შორის. „ოქროს ხანიდან“ მომდინარე სულისკვეთება მაინც გამოჰყოლოდა მთლიან კავკასიას, ჯერ კიდევ არ მოშლილიყო ერთიანი სახელმწიფოს შეგნება კავკასიის მთიელებსა და ბარელებს შორის. ისევ იყო იმედი იმისა, რომ აღიდგენდა ადრინდელ დიდებას „მზე კავკასიისა“ — საქართველო, მაგრამ XVI-XVII საუკუნეებიდან, განსაკუთრებით ოსმალთა მიერ ჩრდილოკავკასიაში მუსულმანური სარწმუნოების გავრცელების შემდეგ, მთისა და ბარის სისხლით მონათესავე ხალხი ერთმანეთს გაუუცხოვდა. სულიერს ეკონომიკურიც დაემატა და მოაწყდა მათ მარბიელი რაზმებით.

განსაკუთრებით ეს დაღესტანს ეხებოდა. მთლიანად დაუცველი იყო დაღესტნის მოსაზღვრე მთის ზოლი. თუშეთიდან დვალეთამდე, კავკასიონის ქედს გაღმა-გამოღმა თუ ქართველი მთიელები ცხოვრობდნენ და არ ატარებდნენ დედაქალაქისაკენ მომავალ მტერს თუშეთის აღმოსავლეთით, ქედს იქით, მხოლოდ დაღესტნელები ცხოვრობდნენ და მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა გადაელახათ კახეთის კავკასიონის დაუსახლებელი მოკლე ხეობები და ალაზნის ველზე აღმოჩენილიყვნენ. მთიელთა მიერ რჯულის შეცვლა და მათი მარბინლი რაზმები არანაკლებ უბედურებად ექცა საქართველოს, ვიდრე ოსმალეთისა თუ სპარსეთის ამაოხრებელი შემოსევები.

მაშინ მთიელებმა უღალატეს საკუთარ სისხლსა და ხორცს, საკუთარი წინაპარს, გაყიდეს ფიცვერცხლ ნაჭამი ძმები. სისხლისაგან იცლებოდა საქართველო. მარტო შაჰ-აბასის შემოსევებს, XVI საუკუნის დასაწყისში, ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი შეეწირა. მაშინდელი მსოფლიოს ორი უდიდესი იმპერია ერთდროულად ლამობდა ჩვენს გადაყლაპვას და დაინტერესებული იყო ზურგიდან ციხე და საყრდენი მორღვეოდა საქართველოს. თითქმის ხუთჯერ სჭარბობდა იმდროინდელი ქართლ-კახეთის მოსახლეობას უკვე გამუსულმანებული ჩეჩნეთ-დაღესტანი. მაინც მძლავრობდნენ ქართველები. მეფე ერეკლეს ქართლ-კახეთი თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით და 250 ათასი მოსახლით უძლიერესი სახელმწიფო იყო იმ დროის კავკასიაში, მაგრამ რუსის ხაფანგს მაინც ვერ გადაურჩა სისხლისგან დაცლილი ქვეყანა. მხსნელად მოსული „მოყვარე“ თვითონ აქეზებდა მთიელებს ჩვენ წინააღმდეგ, აღა-მაჰმადხანსაც კი წააშველა ხელი ჩვენი დაღუპვის მოსურნე „ერთმორწმუნე“ რუსეთმა და მოტყუებით, ძალით დააღუპინა საქართველო.

უკუღმა დატრიალდა კავასიურ ომებში ბედის ჩარხი, ახლა ჩეჩენ-დაღესტნელთა თავისუფლებას დაემუქრა საფრთხე. ახლა მათ მიადგა დიდი იმპერია, მაგრამ ქართველები უკვე ვეღარ იომებდნენ მათ გვერდით. სისხლის ყივილი მუდმივად არსებობდა თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიელებში, მაგრამ „მტრის ხატი“ ლეკის სახით საქართველოში დიდი ხნის შექმნილი იყო. ახსოვდათ ქართველებს ზურგში ჩაცემული სატევარი, ახსოვდათ ის, რომ საკუთარი თავისუფლების დაკარგვაში მთიელებს დიდი „დამსახურება“ მიუძღოდათ. უმეტესი და უკეთესი შვილები XIX საუკუნის საქართველოსი რუსის გვერდით იბრძოდნენ მთიელთა წინააღმდეგ და არავინ ისეთი სახიფათო არ იყო ჩეჩენ-დაღესტნელთათვის, როგორც ქართველთა რაზმები.

მრავალი ომი გადაიხადეს ქართველებმა XIX საუკუნეში, რუსთთან ერთად თუ რუსის გარეშე. მრავალი სახელოვანი ქართველის ძალა და ენერგია დაიხარჯა თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიელთა წინააღმდეგ ომში. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება შატილთან გადახდილი ბრძოლა, რომ არა აქ გამარჯვება, იქნებ ასე ამაყად აღარ მდგარიყო შატილის ციხე-კოშკები, იქნებ სულ დაეწვა და გაენადგურებინა მომხდურს შატილი და შატილიონები, მაგრამ იმ დღეს, ვაჟასი არ იყოს „ცა ეხურა კლდისა“ შატილს თავზე და „არ ჩაუშვებდა ჩამსვლელს“.

იდგა 1843 წელი, მორიგი ბრძოლა დაეგეგმა შამილს რუსის წინააღმდეგ. საქართველოს ტერიტორიაზე უნდოდა გადმოეტანა ბრძოლის ასპარეზი, მაგრამ ვერ აიხდენდა შამილი ამ ოცნებას, თუ შატილიონები არ მისცემდნენ გზას, ამიტომ „მთის არწივმა“ რამდენიმე კაცი გამოუგზავნა შატილს და შეუთვალა უომრად გაგვატარეთ და არც ხარკს ავიღებთ და ყველაფერში თავისუფლებას მოგცემთო.

ვერ მიმხვდარან ხევსურები, რა თავისუფლებას ჰპირდებოდა შამილი. უფლისგან ჰქონდა თავისუფლება მინიჭებული ხევსურ კაცს — „ხარკს“ და „მოსაკითხს“ მხოლოდ მას უხდიდა. ეს „რჯულძაღლი“ კი რაღაც არარსებულ ხარკზე ამბობდა უარს. იქით შეუთვალეს მტერს მუქარა შატილიონებმა: სამტროდ მოსულებს მხოლოდ გასაქცევ გზას თუ გასწავლით, თორემ ურჯულოს, სანამ ცოცხლები ვართ ვერ გავატარებთ ჩვენს გზაზეო. ძლიერ განრისხდა შამილი და შატილის გასანადგურებლად თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სარდლის — ახვერდი მაჰმადის მეთაურობით დიდი ჯარი გამოაგზავნა.

რჩეულთა შორის რჩეული იყო იმჟამინდელ კავკასიაში ახვერდი მაჰმადი. შამილის ბრძანებით პირადად მისთვის გაუჭედავთ ხმალი წარწერით: „არავინაა ახვერდი მაჰმადზე უკეთესი ვაჟკაცი და არავის აქვს მასზე უკეთესი ხმალი“. ალბათ შატილიონები არ ახსოვდა შამილს როცა წარწერას უკვეთავდა და არც ხევსურის ხმალს გადაჰყროდა საომარ ბილიკზე.

იმ დროს შატილში დაახლოებით 50 კომლი ცხოვრობდა. ძნელი იქნებოდა ერთი სოფლისთვის რუსის წინააღმდეგ ბრძოლებში გაწვრთნილ ჩეჩენ-დაღესტნელთა ნარჩევი მეომრების დამარცხება. მაგრამ არც შატილიონები ესხდნენ საჩეჩელს, ისედაც მუდამ იარაღში იჯდა ხევსური კაცი, მუდამ საომრად შემართული. ახლა კი მის ღირსებას შეეხნენ. იქნებ ეგონა შამილს სიკვდილის ეშინოდა ხევსურ კაცს, რომ საკუთარ სიცოცხლეს გაუფრთხილდებოდა და ღირსებას დათმობდა? შამილის მუქარა დიდი შეურაცხყოფა იყო მთიელებისათვის. გაჯავრებული ხევსურები მარტო იმას ნატრობდნენ, თვითონ მოსულიყო შამილი და დაენახა საკუთარ თავზე აპრიალებული ხევსურის ხმალი.

მაშ, მარტო იყო შატილი თავისი 50 ოჯახით. 50 არწივის საბუდარი ზურგით მიჰყრდნობოდა ერთმანეთს. მთელ შატილს ციხიდან ციხეში ისე მოივლიდი, მზის შუქს ვერ ნახავდი. მთლიანად იყო დახურული ქუჩა-გადასასვლელები. ყოველ დილით ეს მეომართა მოდგმის ხალხი ერთმანეთს მიესალმებოდა, „გამარჯვებას“ და „ხელ მაგემართოს“ ეტყოდნენ („ხელის მომართვა“, უპირველესად მაჯის სიმტკიცეს ნიშნავდა მუდმივ ბრძოლებში გამოწვრთნილი ხალხისთვის). მოვიდოდა მტრის ჯარი და ყველა შატილიონმა იცოდა, აიშლებოდა არწივთა საბუდრები, ყველა იარაღის ქვეშ დადგებოდა ქალიან-კაციანად. იცოდა ეს ყველაფერი შამილმაც, მაგრამ მაინც თავისი ნარჩევი მეომრების იმედი ჰქონდა საკუთარი ჯარის სიდიდეს დანდობილს.

ელოდნენ შატილიონები დიდ ჯარს, მაგრამ არც იმდენს. გამთენიისას ჩეჩნეთიდან წამოსულმა რამდენიმე ათასიანმა ჯარმა ნაშუადღევს ერთდროულად სამი მხრიდან მიიტანა იერიში. ძირითადი ნაწილი არაგვის ხეობით შემოიჭრა ნაწილი კი — ვიკილის ხეობით და ბატეხის თავით.

მთელი იმდროინდელი ევროპა და მსოფლიო ლაპარაკობდა შამილისა და მისი მეომრების სიჩაუქეზე. ვის აღარ ადარებდნენ შამილს. ცაში აჰყავდა მთიელთა საოცარი ვაჟკაცობა და მეომრული სულისკვეთება და ახლა ერთმანეთის წინ იდგნენ ალბათ იმ დროის საუკეთესო მეომრები. გაუტეხელი ციხე-ქალაქი შატილი და უზარმაზარ იმპერიასთან შებმული დაუმარცხებელი მთიელები.

დასაბამიდან საგულდაგულოდ იცავდნენ შატილიონები ქვეყნის გულისკენ მიმავალ გზა-ბილიკებს. არაგვის ხეობის მხრიდან მუდმივად სამი ხევსური იდგა დარაჯად, მტრის გამოჩენის შემთხვევაში ერთი მაცნედ მორბოდა შატილში, ორი კი სიცოცხლის ბოლო წუთამდე გზას არ აძლევდა მტერს, რათა შატილს საბრძოლო თადარიგის დაჭერა მოესწრო. მდინარე შატილურას მხრიდან კი ხეობის სათავეში ხერგილს აკეთებდნენ შატილიონები, მტრის შემოსვლის შემთხვევაში მომხდურს უწევდა ხერგილის აშლა რის გამოც, მუდამ ანკარა შატილურა იმღვრეოდა და მორბოდა შატილისკენ „ფერშეცვლილ მაცნედ“.

ომის მაცნენიც მოვიდნენ და უკანაც მოჰყვათ ურიცხვი ლაშქარი. ზვავით ჩამოწვა მტრის ლაშქარი შატილის გარშემო, ხუთი ათას

გაგრძელება მე-14 გვ.

საქართველოში არ არსებობს სამხრეთ ოსეთი!

ინტერვიუ პოლიტემიგრანტ გოჩა კელენჯერიძესთან

ბატონო გოჩა, მოგესალმებით, გისურვებთ წარმატებას!ძალიანგვაინტერესებსთქვენიაზრიდღესმიმდინარე პროცესებზე. საქართველოში ყველას ახსოვხართ თქვენი პრინციპულობითა და უღალატობით. წინსწარ გიხდით უღრმეს მადლობას. გიგზავნით კითხვებს.

– მოგესალმებით და ასევე გისურვებთ წარმატებას.

რაც შეეხება „ პრინციპულობასა და უღალატობას“, დახვრეტილი მიტინგების პრინციპულობა და უღალატობა უნდა გვახსოვდეს პირველი, რადგან დახვრეტილ განდისტურ მიტინგებს ვერ აჩოქებდნენ და მათ შეასრულეს თავიანთი მისია - „საქართველოს გარეგან და შინაურ ანტიეროვნულ ძალებს“, „ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებს“, ჩამოხსნეს დემოკრატიის ნიღაბი მსოფლიოს წინაშე. /ა.შ.შ.- ს პრეზიდენტმა შევარდნაძის დანაშაულებრივ რეჟიმს „რეპრესიული“ უწოდა...

– დახვრეტილი მიტინგები იყო გაგრძელება 9 აპრილის დემოკრატიული რევოლუციის...

შეჩერებული უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიული რღვევა სამიზნე- „ რეპრესიული რეჟიმის“ დანაშაულებრივი და უკანონო პოლიტიკაა

მე ვრჩები დახვრეტილ მიტინგებთან, რადგან: სწორედ ლეგიტიმური ეროვნული დოქტრინა იყო „ნომენკლატორული რევანშისტების“ მთავარი სამიზნე. სწორედ ისინი აბრკოლებენ დღესაც დემოკრატიული ქართული სტრატეგიული პოლიტიკის რეაბილიტაციას, რომელიც შინაარსობრივად გახლავთ კანონიერების აღდგენა...

ლეგიტიმურობისთვისაუცილებელირეკვიზიტია,კანონიერი ხელისუფლების დემოკრატიული ქართული პოლიტიკის გაგრძელება და არა უკანონო ფედერალიზმი.

– ლეგიტიმური სამართლებრივ პოლიტიკური ბაზით ხელმძღვანელობა და არა რეპრესიული რეჟიმის მიერ საქართველოს ინტერესების საზიანოდ ხელმოწერილი დოკუმენტებით.

– უკანონო და ანტიქართული ფედერალიზმის კანონიერი ქართული ალტერნატივა – შიდარეგიონული პოლიტიკის ესპანური მოდელია.

„არ არის გზა მშვიდობისათვის, – თავად მშვიდობაა გზა.“ (მ. განდი)

– აშუქებს თუ არა დღეს ესპანური პრესა და ტელევიზია საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

– ესპანური მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაციები საქართველოს შესახებ თითქმის იდენტურია დანარჩენი დემოკრატიული სამყაროს მედიის მიერ გაშუქებული მასალებისა...

უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ დემოკრატიული სამყარო კვლავ ფაშისტურ დიქტატურად და ულტრანაციონალისტურ რეჟიმად მოიხსენებს საქართველოს მეორე დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელიც იმ დოკუმენტის თანახმად, რომელსაც „ეროვნული თანხმობის დეკლარაციას“ უწოდებენ, დამხობილ იქნა საქართველოს „შინაგანი და გარეგანი ანტიეროვნული ძალების“ მიერ განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებით და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღმდგენი და საქართველოში დემოკრატიზმის ფუძემდებელი იყო.

საბოტაჟად შეიძლება, შეფასდეს (უკეთეს შემთხვევაში) „ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების“ ინერტულობა, როდესაც არ აცხადებენ მსოფლიოს გასაგონად, რომ მითი დიქტატურისა და ფაშიზმის შესახებ ყალბია,-როდესაც არ ასამართლებენ პუტჩს, როდესაც არ გმობენ პრაღის 24-ე დეკლარაციას და არ სცნობენ მას საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული შეთქმულების ნაწილად, - პოლიტიკურ-ცრუპროპაგანდისტულ დივერსიად, რომელმაც ქართველებს ბუნებაში არარსებული ოსების გენოციდი დააბრალა, ხოლო მის ლეგიტიმურ ანუ დემოკრატიულ ხელისუფლებას კი შეუქმნა ყალბი იმიჯი ქსენოფობური, პროვინციული ფაშისტური დიქტატურისა... როგორც მას დღესაც სცნობს დემოკრატიული სამყარო.

ასე მოიხსენიება იგი თავისუფალ მედიაში და ამის აღმოფხვრა პრიორიტეტული საკითხია. თავად იდეოლოგიურ დივერსანტებს უნდა მოეთხოვოთ საკუთარი დივერსიული აქტების დაგმობა, რომელსაც დღესაც აგრძელებენ ტერმინ სამხრეთ ოსეთის ხმარებით. ეს დივერსანტები დე ფაქტო ხელისუფლებაშიც არიან და ფსევდოოპოზიციაშიც. ქართული ხელისუფლება ვალდებულია, მიბაძოს ბულგარეთის მაგალითს და აუკრძალოს მათ საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობა, განახორციელოს მათზე სამართლებრივი დევნა.

ქ ა რ თ უ ლ ი მხარის ვალია, მსოფლიოს წინაშე

გაგრძელება მე-15 გვ.

მტყუან-მართალი კავკასიელები და შატილის უკანასკნელი ომი

დასაწყისი მე-13 გვ.

კაცს აღწევდა ახვერდი მაჰმადის მხედრობა, 60 ხმლიანი იცავდა შატილს, 60 ქუდოსანი, მაგრამ არანაკლებ მამაცობდნენ შატილიონთა დიაცები. დედებს ორმაგი ტვირთი უტარებიათ იმ მძიმე დღეებში. მტრის პირველი მხედარიც ხევსურის ქალმა გაუყენა საიმქვეყნო გზას.

წისქვილში იყო მტრის ლაშქრის შემოსვლისას მზევინარი. ვერ მოასწრო შატილში შესვლა. შვიდი მხედარი მიადგა წისქვილის კარს, გამოეგება მზევინარი, გაიხარეს ახვერდის მხედრებმა პირველი ტყვე უკვე ხელში ჰყავდათ და ისიც ქალი. ნებით რომ არ დათანხმდა თმებში სწვდა ლეკი და ცხენზე ათრევა დაუპირა ქალს, მაგრამ ქვემოდან შეაგება კალთის ქვეშ დამალული ხანჯალი მზევინარმა, ღრიალით დაენარცხა მიწას მომაკვდავი. სხვ, უსულოდ დაეცა პატარა ქალი, თუმცა არც მის მკვლელებს ელოდათ დიდი დღე. შატილურას მარცხენა ნაპირზე კლდის ეხში განსაცდელის ჟამს ჯდებოდა _ ორი-სამი ხევსური და იქიდან აყენებდა ზიანს მომხდურს ხევსურებმა საფარიდან შენიშნეს მზევინარის უთანასწორო ბრძოლა, მათ შორის ერთი მზევინარის მამა ბათაკა იყო. „მამა მოგიკვდეს“, ამოიგმინა ბათაკამ და სამმა ხირიმმა ერთდროულად იგრიალა, სამი მხედარი დაენარცხა ძირს. გაქცევა დააპირა სამმა ცოცხლად დარჩენილმა, ცხენებს მოახტნენ, ისევ იგრიალეს ხირიმებმა ორი გადმოეშვა ცხენიდან ერთი კი შატილისკენ გაიქცა. „წეედი, იქ ჩაგიყრიან ხინკლებს“ — მიაძახეს გაცხარებულმა ხევსურებმა. პირველივე შეტაკების შემდეგ მიხვდა ახვერდი მაჰმადი „უბრალო ომი“ არ ელოდა შატილოვნებთან. ზავის ჩამოგდება გადაწყვიტა, რის სანაცვლოდაც მშვიდობიან გზას ითხოვდა საქართველოს გულისკენ და ცხრა თოფს თავის ტყვია-წამლით. გადაირივნენ ხევსურები, რისი ზავი, რისი მშვიდობიანი გზა? ქალის სისხლი გადევთ კისერზე! იქით დაემუქრნენ — ქისტეთსა და დაღესტანშიც მოგძებნით გაქცეულს და სისხლს არ შეგარჩენთო.

„ბათაკა ობოლოთაი, ვეფხვია სალის კლდისაო
არცარას თოფს მივცემ ძაღლებსა, არ ვიცი ზავის ქნისაო“
დღემდე მღერიან ამ მუქარას ხევსურები.

ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ ქისტ-ლეკები, გააფთრებით ცდილობდნენ შამილის მეომრები, ცეცხლი შეენთოთ ციხის კედლებისთვის, მაგრამ ხმალდახმალ გამოუხტებოდნენ ხევსურები და ციხის კედლებთან ტოვებდნენ „ცეცხლთან მოთამაშეებს“.

ყოფნა-არყოფნის ჟამი დადგომოდა შატილს. საოცარი ომით იბრძოდნენ ხევსურები. ზეცას აყრუებდა შამილის ჯარების ნასროლი თოფის გრიალი, ტყვიის სეტყვითვე პასუხობდა მომხდურს შატილი. არავინ ფიქრობდა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე. სოფლის გადარჩენა, წინაპართა საფლავების და სალოცავების გადარჩენა იყო მთავარი.

ბინდიც ჩამოწვა, მაგრამ მოშუღლარნი, ვერც ღამემ გაჰყარა, ქისტ-ლეკები შეეცადნენ სიბნელით ესარგებლათ და ცეცხლი ჩუმად შეენთოთ შატილისთვის. შატილიონებმა კი, საპასუხოდ, ციხის მთელ პერიმეტრზე ზემოდან ჯაჭვებით შეკრული „ფიჭვის ყუნჭები“ ჩამოუშვეს. „ყუნჭებზე“ ერბოს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ასე გაანათეს ციხის მისადგომები და არ მისცეს მტერს საშუალება, ახლოს მისულიყო ციხის კედლებთან.

რიჟრაჟიც დადგა. დღის სინათლეზე გამოჩნდა, რომ შატილის ჭალა მტრის გვამებით იყო სავსე, მაგრამ მიცვალებულები ერთად მოეგროვებინათ ახვერდი მაჰმადის ბრძანებით და ნაბდები წაეფარებინათ. მტრის ჯარის სარდლობას ეშინოდა დიდ მსხვერპლს პანიკა არ გამოეწვია ჯარში, განსაკუთრებით ქისტებს არ ენდობოდა ნაიბი, რადგან დიდი ხალისით არ იბრძოდნენ მეზობელი შატილოვნების წინააღმდეგ. ისევ განახლდა იერიში შატილზე. იერიშს იერიში მიაგებეს ხევსურებმა. დროდადრო მტრის სიმრავლეს თავისი გაჰქონდა, ზოგიერთ ადგილას ციხის კედლებზეც კი ააღწია მტერმა, მაგრამ თავგანწირვით იგერიებდნენ შატილიონები შემოჭრილ მტერს, ქალები, ბავშვები და მოხუცებიც ჩაერთვნენ ბრძოლაში უკუაქციეს მტერი. მეორე დღეც დაღამდა. უარესი სიშმაგით იბრძოდნენ სიბნელეში ხევსურები. საგონებელში ჩავარდა ახვერდი მაჰმადი. იქნებ მუხანათური ხერხიც მოიფიქრა. ასე იყო თუ ისე, მტრის ჯარის მეთაურმა შუაღამისას ზავი შესთავაზა შატილიონებს. ოთხი კაცი გაგზავნეს ხევსურებმა მოსალაპარაკებლად, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ისევ გზას ითხოვდა ახვერდი მაჰმადი და რახან არაფერი გამოვიდა, დატყვევება დაუპირა ელჩებს. ორი დაატყვევა კიდეც, მაგრამ ერთმა მაინც მოახერხა გამოპარვა, ხოლო მეორე მოკლეს ქისტ-ლეკებმა.

სულ გადარია ახვერდი მაჰმადის მუხანათობამ მთიელები. უკვე რიჟრაჟი იდგა, თავგანწირვით გამოიჭრნენ ციხიდან ხევსურები და ხმალდახმალ დაერივნენ მტრის უზარმაზარ ლაშქარს. ამას კი აღარ ელოდნენ ქისტ-ლეკები. ერთი მუჭა ხევსურთა თავგანწირულმა ნაბიჯმა სულ შეცვალა ომის ბედი. ხევსურთა მოულოდნელი იერიშის დაწყებამდე დიდი უბედურება დატრიალდა. ერთ-ერთ მონაპირე ქვითკირში, სახლში გამაგრებული ხევსური ცოლქმარი ციხესთან ახლოს არ უშვებდა მტერს, ქმარი ესროდა თოფს, ცოლი კი ტყვიას უმზადებდა და აწვდიდა ქმარს. იმავე ოთახში აკვანში იწვა ბავშვი. საკუთარი ფუძის დასაცავად, იბრძოდა პატარა ოჯახი მაგრამ ვაი, რომ საკვამურიდან შემოფრენილმა ბრმა ტყვიამ კედელზე ასხლეტის შემდეგ პატარა ხევსურის გულისძგერა შეაჩერა. არც კი შეუკივლია დედას, რომ სათოფურთან მიმჯდარ მამას არ გაეგო შვილის სიკვდილი არ აფორიაქებულიყო, მიზანი არ წახდომოდა. ომს აგრძელებდა პატარა ხევსურული ოჯახი. ახლა უკვე სხვა ქვითიკირებში გამაგრებული პატარა ხევსურების გადასარჩენად, შატილის გადასარჩენად.

ომის დამთავრებისას მოუკითხავს შვილი მამას. აღარ არისო ცოცხალი ამოუკვნესია დედას. არა უშავს, მე მაგის სისხლი უკვე ვძებნეო — უპასუხია მამას. მთავარი იყო შატილის გადარჩენა. საკუთარი შვილების სიცოცხლეს არად დაგიდევდნენ ხევსურები., არასდროს ტიროდნენ საკუთარ შვილებსა და ქმრებს ხევსურის ქალები — სირცხვილი იყო, ქვეყნისა და თემი-სოფლის სატკივარს ვერანაირი საწუხარი ვერ გადასძალავდა.

შვილის აკვანთან წამოიჩოქა მამამ, შუბლზე ეამბორა და ჩასძახა „შენებ უმცროსებიმც არიან ჩემებ ნათოფარებ, მამაის კაცო, ნათელშიამც იქნებ“ სწორედ მისი ნასროლი ტყვიით დაიჭრა სასიკვდილოდ ხევსურთა მოულოდნელი იერიშის დაწყების წინ ახვერდი მაჰმადი. სულ აირია უმეთაუროდ დარჩენილი უზარმაზარი ჯარი. დაერივნენ მომხდურს მტრის შუაგულში შეჭრილი ხევსურები. შედრკა შამილის ლაშქარი და ჩეჩნეთისკენ გაიქცა. თითქმის ჯარეგომდე სდიეს შატილელებმა.

უამრავ ნადავლთან ერთად, მტრის მარჯვენები იმდენი უზიდავთ ხევსურებს, რომ შატილის კედლებზე რამდენიმე რიგად მიუკრავთ.

ამ ბრძოლის შემდეგ აღარასოდეს შეუწუხებია შატილი შამილს. მიხვდა მამაცი მხედარი — ისევ არწივები ბუდობდნენ ბებერ შატილში. იქნებ ერთ-ერთი ბოლო თაობაც არწივებისა, იმიტომ, რომ უარესი მტერი მოსდგომოდა მთიელთა სოფლებს — ადათ-წესის წამბილწავი, უფლის უარმყოფელი. მშვიდობა ისადგურებდა ხევსურეთის ხეობებში — ომზე უფრო საშინელი მშვიდობა.

ნუკრი მჭედლიშვილი,
ხრიდოლის ფედერაციის დარბაზის თავი

დასაწყისი მე-14 გვ.

დაგმოს და გამოაცხადოს პრაღის 24 დეკლარაცია პოლიტიკურ დივერსიად საქართველოს წინააღმდეგ.

– უკანონო და კანონიერად გაუქმებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის ხსენება შევარდნაძის ანტიქართულ პოლიტიკის გაგრძელებაა სწორედ, რაც მშვენივრად იციან 1992 წლის 19 იანვარს ბეტეერებით დარბეულმა მოშიმშილე სტუდენტებმა,ამ შიმშილობის აქციის წევრებმა და ამასვე ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 27 აპრილის განცხადება გაეროს გენერალური მდივნისადმი, მსოფლიო ხალხებისადმი და პარლამენტებისადმი, რომელიც აცხადებს რომ საქართველოში არ არსებობს სამხრეთ ოსეთი და ამ ტერიტორიის ისტორიული და ოფიციალური სახელია შიდა ქართლია!

– ესპანეთში, ისევე როგორც საქართველოში მწვავედ დგას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, სეპარატიზმის პრობლემა. ესპანეთი კონსტიტუციური მონარქიაა. დღეს საქართველოშიც აქტიურად განიხილება ეს საკითხი, როგორია თქვენი პოზიცია?

– ესპანურ სეპარატიზმს საერთაშორისო მხარდაჭერა არა აქვს და იგი ესპანეთის საშინაო საკითხია. საქართველოში კი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კონფლიქტებია და ტერორისტებთან დანაშაულებრივი „პოლიტიკური დიალოგი“ მიმდინარეობს. ნავთობსადენის ჩრდილოეთი რუსეთს ეთმობა, სამხრეთი კი თურქულ არმენული ინტერესების სფეროში ხვდება.

ესპანეთი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ტერორისტებთან დიალოგს არ მართავს, საქართველოსგან განსხვავებით. მიმდინარეობს მათი სამართლებრივი დევნა, რომელსაც ესპანელი ერის სახელით ახორციელებს ესპანეთის ლეგიტიმური ხელისუფლება. ესპანეთში კონსტიტუციის დაცვის უმაღლესი და საიმედო გარანტი მისი უდიდებულესობა მეფეა, რომელიც აბალანსებს ესპანურ პოლიტიკას და იცავს ესპანეთს დეზინტეგრაციისგან.

ესპანეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ფაქტია, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა საიმედოდაა დაცული.

ესპანეთში ჩატარებულ არჩევნებს არანაირი საერთაშორისო დამკვირვებლები არ ესწრებიან. არჩევნებს ხალხი ატარებს. ესპანეთის სეპარატისტული პრობლემა ესპანეთის შინაურ საქმედაა გამოცხადებული ხალხისა და ლეგიტიმური მთავრობის მიერ და არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ ეკითხება ესპანელი ერი თავისი საშინაო პოლიტიკის გადაწყვეტას.

საქართველოში კი -“რეპრესიული რეჟიმის მიერ სეპარატისტული პრობლემის დენაციონალიზაცია და დანაშაულებრივი ინტერნაციონალიზაცია მოხდა.

ესპანეთის სეპარატისტული პრობლემებისაგან განსხვავებით საქართველოში აფხაზეთის, შიდაქართლის, პანკისისა და ჯავახეთის მაგალითზე საქმე გვაქვს რეალურად რუსეთ-საქართველოს (კავკასიის) ომთან. რუსეთმა შექმნა ანტისახელმწიფოებრივი(ფაშისტური) და ტერორისტული ორგანიზაციები: აიდგილარა, ადამონ ნიხასი, ჯავახკი, ვირკი:

რუსეთმა შექმნა არძიმბა- შევარდნაზე- კულუმბეგოვის ტერორისტული კლანები;

200 წელზე მეტია,რუსეთი ახორციელებს სამხედრო ოკუპაციის გზით საქართველოს მცოცავ ანექსიას: დვალეთი სოჭი, აფხაზეთი, შიდა ქართლი;

რუსეთი დღეს ისევე ჰყიდის საქართველოს, როგორც გაგვიყიდა მესხეთ-ჯავახეთის 2/3, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობით /1922წ. ლენინ-ათათურქის გარიგება/.

იგი თავად უბიძგებს საქართველოს ნატოსკენ..., როდესაც სოჭის დაბრუნების ნაცვლათ აფხაზეთს გვართმევს და არღვევს რა ყაზბეგის შეთანხმებას, სამხრეთ ოსეთად ასაღებს ისტორიულ შიდა ქართლს. ეს უკანასკნელი ფაქტი, იმდენად სახიფათოა თავად რუსეთისათვის რომ, შეიძლება ვიფიქროთ იმაზე

რომ, თავად რუსეთს არ ჰყავს რუსული ხელისუფლება, რომელიც, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე სცნობდა იჩქერიის დამოუკიდებლობას და აღარ მოაწყობდა საქართველოში პუტჩს, -მოახდენდა დამხობილი დემოკრატიული ხელისუფლების სამართლებრივ-პოლიტიკურ რეაბილიტაციას და შეიძენდა მეგობრებს კავკასიაში, ნაცვლად ამ უძველესი კულტურის ხალხების გენოციდისა... ამის გარეშე ყოველგვარი „დიალოგი“ არასამართლებრივია და ბლეფია.

საქართველოს გაყოფა-დაშლა სამწუხაროდ გადაწყვეტილია და სწორედ ამიტომ ენიჭება კანონიერების აღდგენას პრიორიტეტული მნიშვნელობა, რადგან თავიდან იქნეს აცილებული ეს საფრთხე, რომელიც უშუალო შედეგია იმ სავალალო რეალობისა, რომელიც გვაუწყებს, რომ ქართველ ერს არ ჰყავს ლეგიტიმური წარმომადგენელი...

ვაცხადებ ყველას გასაგონად: შინაარსობრივად კანონიერი ხელისუფლების აღდგენა გახლავთ მხოლოდ ლეგიტიმური ეროვნული სტრატეგიული დოქტრინისა და კონსტიტუციის აღდგენა და მეტი არაფერი.

– ესპანეთის კრიზისზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, იყო თუ არა ეს კრიზისი მხოლოდ ბენზინის ფასის მატების გამო და რა ხდება დღეს რეალურად ამ ქვეყანაში?

– პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს, რომ ესპანური ეკონომიკური კრიზისი გლობალური კრიზისის ნაწილია. ექსპერტები განმარტავენ, რომ ნამდვილი კრიზისი ჯერ კიდევ წინაა...

როცა ნავთობის ფასების აწევაზეა საუბარი, პირველ რიგში ვენესუელის დიქტატურა, ერაყის ომი და

ირანულ-კორეული საფრთხეა გასათვალისწინებელი და არც ანტარქტიდის აუთვისებელი სიმდიდრის გადანაწილების პროცესი უნდა გამოგვრჩეს...

თავისთავად კრიზისი ეტიოლოგიური თვალსაზრისით მულტიფაქტორულია და ექსპერტები ერთერთ ასეთ ფაქტორად ერაყიდან ჯარების გამოყვანასაც მიიჩნევენ. არის სხვა მიზეზებიც, რომელიც ესპანეთის საშინაო საქმეა და მათზე საუბარი არაკორექტული იქნება.

მთავარი ის მომენტია, რომ ამ კრიზისს ესპანეთში სხვა სახელი აქვს. მას ეკონომიკური ზრდის შენელებას ანუ დეცელერაციას უწოდებენ და არცერთ ესპანელს არ ეპარება ეჭვი, რომ დაძლეული იქნება საერთო სახალხო ძალისხმევით.

(არსებული კრიზისი ჯერ-ჯერობით მოსახლეობის დაბალ ფენას ეტყობა, სადაც მაღალია ემიგრანტთა პროცენტი. ისინი იძულებულნი არიან სხვა ქვეყნებში ეძიონ სარჩო.)

– რამდენიმე ხნის წინ, მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ მიმართა სხვე ქვეყნებს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართველ ემიგრანტებს აღარ აქვთ ქვეყნიდან წასვლის არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური საფუძველი. ევროპის, მათ შორის, ესპანეთის არაერთ ქალაქში ქართველ ემიგრანტთა „წმენდა“ მოეწყო. რას იტყვით ამაზე?

– პირველი უნდა გითხრათ, რომ ესპანეთი არ გახლავთ ირანი ან ვენესუელა და აქ არ ეწყობა ეთნიკური და პოლიტიკური წმენდები. ქართველთა წმენდაზე, როცა ვსაუბრობთ, შეგვიძლია, ვისაუბროთ რუსეთის მიერ აფხაზეთში და შიდა ქართლში ასევე სამეგრელოში და თითქმის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდზე,-პოლიტიკურ რეპრესიებზე, – მაგრამ ამ კონტექსტში ესპანეთის ხსენება უბრალოდ უხერხულია... ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ.

– ქართული ხელისუფლება ვალდებულია, მსოფლიოს წინაშე განაცხადოს, რომ საქართველოში არ ყოფილა სამოქალაქო ომი!

– რადგან სამოქალაქო ომი და „ნომენკლატორული, რევანში“ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია.

ქართული ხელისუფლება ვალდებულია შეწყვიტოს ანტიდემოკრატიული და უკანონო დიალოგი არძინბა -ბაღაფშისა და კულუმბეგოვ-ცაგოლოვ-ჩოჩიევ-კოკოითის რუსულ ტერორისტულ კლანებთან და მოითხოვოს მათგან იარაღის ჩაბარება, რადგან ამას ითხოვდა კანონიერი ხელისუფლება.

ეს იყო დახვრეტილი მიტინგების ერთერთი მთავარი მოთხოვნა, ხოლო ტერორისტების პოლიტიკურ მხარედ ცნობა, რომელიც განხორციელდა ქართველი ერის მტრის ე. შევარდნაძის მიერ დაგომისისა და სოჭის მოღალატური და დანაშაულებრივი შეთანხმებებით (იხ. კანონიერი პრეზიდენტის ბრალდება შევარდნაძისადმი ოჩამჩირის ფრონტიდან, სადაც ე. შევარდნაძეს ოფიციალურად ადანაშაულებს საქართველოს ღალატში-ვიდეო) გახლავთ ერთერთი ყველაზე დიდი ბოროტება ჩადენილი საქართველოს წინაშე, რომელსაც ქვეყნისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა:

დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, განხორციელდა ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა (მსხვერპლი - 30 000; ქონებაჩამორთმეული დევნილები - 300 000)... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ე. შევარდნაძემ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენა ბალტინის ფლოტი და რუსეთის არმიის სახმელეთო და საჰაერო ნაწილები, უშიშროების სპეცნაზთან ერთად დამწყები იურისტისთვისაც ნათელია ის მონაცემები, რომელიც მოითხოვს ე. შევარდნაძის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას.

მის მიერ უკანონოდ აღდგენილი სამხრეთ ოსეთის ასეთად ცნობა არალეგიტიმურად აქცევს მყისიერად ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას.

სახელმწიფო გადატრიალებისა და მისი ავტორების არგასამართლება კი - სამართლებრივი სახელმწიფოს ნაცვლად ბანანის ტიპის კორუფციულ რესპუბლიკად აქცევს ქვეყანას, რისი თავიდან ასაცილებლადადაც ქართული ხელისუფლება ქართველი ხალხისა და თითოეული კეთილი ნების ადამიანის წინაშე ვალდებულია,გაასამართლოს პუტჩი.

საქართველოში უცხოელი მუშა-ხელი მეტ ხელფასს იღებს მის გვერდში მომუშავე ქართველი მუშისაგან განსხვავებით, – სახეზეა საქართველოს დაცლის პროცესი ქართველებისგან, რაც შევარდნაძის აპარტეიდული პოლიტიკის გაგრძელებაა...

ის ფაქტი, რომ დე ფაქტო პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს თვეების განმავლობაში ხელფასს უხდიდა ბ-ნი სოროსი, მეტყველებს იმაზე, რომ იგი არა მარტო დე ფაქტოა, – არამედ წარმოადგენს სოროსის მიერ დაქირავებულ ხელისუფლებას, ნაცვლად ქართველი ხალხის მიერ დაქირავებულ-არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლებისა და ამიტომ არ გახლავთ ქართველი ხალხის ლეგიტიმური წარმომადგენელი

– თქვენ ერთხელ თქვით: ესპანეთში ისე ვიქცევი, როგორც საქართველოში უნდა იქცეოდეს ყველა არაქართველიო“. კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ შეგნებულ სამოქალაქო საზოგადოებას.

მე ესპანეთის მოქალაქე ვარ, რაც მავალდებულებს დავიცვა ესპანეთის კონსტიტუცია და სახელმწიფოებრივი ინტერესები. ნებისმიერი ის პიროვნება, ვინც ცდილობს, ამ ინტერესებს ზიანი მიაყენოს, ესპანური კანონმდებლობით და დემოკრატიულ სამყაროში მიღებული ნორმების თანახმად, სახელმწიფო დამნაშავედ ცხადდება და მიმდინარეობს მისი სამართლებრივი დევნა.

ეს მომენტი ერთერთი განმსაზღვრელია სახელმწიფოს სამართლებრიობისა.

საქართველოს მაგალითზეც ასე უნდა იყოს: საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმა და არაქართველებმა უნდა უერთგულონ საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, უნდა უყვარდეთ და პატივს სცემდნენ საქართველოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისაკენ სურს ნაბიჯის გადადგმა, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აწარმოოს სახელმწიფო დამნაშავეების სამართლებრივი დევნა...

ესპანეთში ჩემი მეგობრები ხანდახან ქართულად მესალმებიან, – უყვართ და პატივს სცემენ საქართველოს მრავალათასწლოვან ისტორიასა და კულტურას,- ქართველ ხალხს. მათ იციან რომ მეც მიყვარს ესპანელი ერი და ხედავენ, რომ მე ეროვნებით ქართველი, პოლიტიკურად ესპანელი ვარ.

საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი პოლიტიკურად ქართველი უნდა იყოს და უნდა ემსახუროს საქართველოს!

– როგორ და რის გამო მოხდა თქვენი ემიგრაციაში წასვლა? ***(მკითხველს ერთხელ კიდევ შეახსენეთ მთავარი მომენტი).***

– ვგონებ, გაცილებით მნიშვნელოვანია,იმაზე გვესაუბრა, თუ როდის და რა ვითარებაში მოკლეს წამებით უდანაშაულო მოძღვარი თ. ჩიხრაძე, მხატვარი ვახტანგ ნოდია, და პედაგოგი ვ. გოგსაძე... მშვიდობიან მიტინგებზე დახვრეტილმა ქართველმა პატრიოტებმა სიცოცხლე გაიღეს საქართველოსთვის, საქართველოს სიყვარული ეყინებოდათ სახეზე მეოცე საუკუნის ძმებ მხეიძეებსა და უსახელო უფლისციხელებს, ჩერდებოდა წამი...

პოლიტიკურ ემიგრაციაშიც ჩერდება წამი, მაგრამ არ მთავრდება და უსასრულოდ გრძელდება, ალუდა ქეთელაურის ცოლის კივილივით, რომელიც მაშინ გაისმა, როცა საქართველო მიეფარა თვალს...

იმ მიზეზებზე, რომელთაც მაიძულეს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა, სრული ინფორმაცია აქვს ბ-ნ ანზორ ბალუაშვილს, რომელიც ჯერ კიდევ 1992წელს ოფიციალურად მოითხოვდა ჩემს დაპატიმრებას, თუ ვერ წარვადგენდი შევარდნაძის, როგორც სახელმწიფო დამნაშავის ბრალეულობის დამამტკიცებელ საბუთებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ ბ-ნ ბალუაშვილს: მაშინაც ვფლობდი და დღესაც გამაჩნია ის იურიდიული მტკიცებულებანი, რომელიც ადასტურებენ ე. შევარდნაძისანტიქართულ, ტერო-

დასასრული მე-16 გვ.

დიდი კაცი

აპოლონ ადონია იმთავითვე იყო გარიდებული ამქვეყნიური დიდების მაძიებელთა კოჰორტას. არასოდეს მინახავს რომელიმე რედაქციის მისაღებში მდგომარე და რედაქტორთან შესვლის მომლოდინე. ჩააბარებდა ლექსებს, ან მოთხრობებს მდივან გოგონას და მყისვე მიაშურებდა გასასასვლელისაკენ. არადა, ადრე, თითქმის შეუძლებელი იყო შენს ნაწარმოებს მზის სინათლე ეხილა, თუკი რედაქტორს პირადად არ გაეცნობოდი და, უფრო რეალური კი, თუკი ვინმე ჩინოსანი არ გიშუამდგომლებდა.

ხოლო აპოლონ ადონია ის კაცი არ გახლდათ ვინმესთვის ხვეწნა დაეწყო, ლექსი დამიბეჭდეთ, საქმე გამიჩარხეთო, როგორც ჩვენ, მისი მრწემი კოლეგები, საკმაოდ რიცხვმრავალნი, სანთლით დავეძებდით მწესა და ხელისამპყრობელთ.

წიგნის გამოცემა კი, ვინმეს მეოხების გარეშე, მყინვარწვერზე ფეხშიშველა ასვლას უდრიდა.

ჰოდა, იდგა ეს დიდსულოვანი კაცი „კოლმეურნეობის მოედნის“ გვირაბთა ერთ-ერთ სექტორში და წიგნებს ჰყიდდა.

„დიდი ხანია ჩემი წიგნები გავანიავე. ახლა სხვათა, უპოვართა და, არცთუ იშვიათად, წიგნის, ვითარცა ზედმეტი ნივთის მგონებელთა შემოთავაზებულ ტომეულებსა ვყიდი. ვერ წარმოიდგენ, ისეთი იშვიათი გამოცემანი ჩამივარდება ხოლმე ხელში“, _ მითხრა ერთხელ.

იგი ძლიერ წააგავდა პლატონს, იდეალისტსა და მეოცნებეს, იდეალური „სახელმწიფოს“ შემქმნელს.

ანაც, უფრორე ფიროსმანის სულიერი ძმა გახლდათ, რომელმაც „ხელოვანთა სასახლე“ და „სამოვარი“ მოინატრა მაღალ თემებზე სასაუბროდ.

წაიკითხეთ აპოლონ ადონიას „პოეტების ქალაქი“ და მიხვდებით, რომ ეს კაცი სხვა დროში და სხვა გარემოში უთუოდ მეუდაბნოე განდეგილი იქნებოდა, ღმრთივგანბრძნობილი და ზეციერთან სულიერად მიახლებული.



ახლა ყველამ უწყის _ დასაწყისი სიბრძნისა ღმრთისმოშიშებაა! არადა ჩვენ, მეოცე საუკუნის მარათონელებს, სიბრძნისაკენ მიმავალ მთავარ გზად, გარეგან ფილოსოფისაა, ხელოვნება მიგვაჩნდა.

ყოველი გონიერი ადამიანი თავისი წუთისოფლის გარკვეულ მონაკვეთზე თავისთავს ასეთ შეკითხვას უსვამს _ ნუთუ იმისათვის მოვედი, რომ ფრინველ-პირუტყვივით, გავიზარდო, დავცოლშვილდე, მოვხუცდე და, ერთხელაც, მიწას მივებარო? რა არის კაცობრივი დანიშნულება დედამიწაზე?

ბატონი აპოლონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუკი „ძლევის იმპულსი“ (ერთმანეთზე „გამარჯვება“, ერთმანეთის დაჩაგვრა) არ იქნება კაცთა შორის, საყოველთაო მშვიდობა დაისადგურებს დედამიწაზე.

სანამ ამ დასკვნას გააკეთებდა, მან აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ფილოსოფოსთა და მწერალთა ურიცხვი წიგნი წაიკითხა, შეადარა, გადაამოწმა... ბიბლიოთეებშიც ხანგრძლივად ეძიებდა ქართველ და უცხოელ ავტორთა შეხედულებებს საწუთროს რაობის შესახებ.

თავის ლექსებსა თუ პროზაულ ქმნილებებში წერილებსა თუ პოლემიკურ სტატიებში ამის შესახებ ჰქონდა საუბარი. მსჯელობდა, ეძიებდა, ადარებდა, ეჭვობდა, სასოებდა, ზოგჯერ სასოც წარეკვეთებოდა ხოლმე... მაგრამ წონასწორობას არასოდეს ჰკარგავდა.

„ძლევის წყურვილი თუ სიმართლე?
ერთურთის გვერდით,
ერთარსებაში
ეს ორი რამ ვერ ისადგურებს!“

როდესაც გასული საუკუნის ბოლოს უკეთურება უკუდგა და მართლმადიდებლობამ განახვნა ბჭენი თვისნი, ცნობილი გახდა, რომ „ძლევის წყურვილის“ წამალი მაკურნებელ სინანულშია, მღვდლის წინაშე უფლისადმი აღსაარებულში!

არ ვიცი, მიაგნო თუ არა ბატონმა აპოლონმა ამ წამალს, რადგან ბოლო ხანებში მას არ შევხვედრივარ და ამ საკითხზე არ მისაუბრია. მაინც ვგონებ, რომ იპოვნიდა, რადგან მისი ნათელი გონების თვალს არ გამოეპარებოდა ჩვენი საყდრების დღითიდღე მზარდი მრევლი... ამასთან დაკავშირებით სასოებით მავსებს მისი საოცარი ლექსი ციკლიდან _ „საუბარი ერის სულთან“.

„შენ მელანდები ციხის ნანგრევებს
შებღაუჭებულ სუროს ფოთლებში.
შენ მელანდები ბავშვის თვალებით
აციმციმებულ სარკმლის მინებში.

შენ მელანდები მოწირავ ხესთან...

შენ მელანდები ტაძრის კედლებზე
აცახცახებულ მზის ნაპერწკლებში.

მინდა მოგწვდე და მოგბანო წყლული“.

აპოლონ ადონია სვეკეთილი გახლდათ, რადგან იმ საქმისთვის ეკიდა ხელი, რაც ძლიერ უყვარდა _ ხელოვნება, წიგნი, მეცნიერება... მაგრამ ამათ უპირატეს _ ღვაწლი მამულისათვის, გულისყური მამულისაკენ, ოცნება მამულზე, ძლიერსა და კეთილშობილზე, ამითი სულდგმულობდა.

... და განეშორა მას თიხა, რომლისგანაც თითოეული ჩვენთაგანია ნაძერწი. თიხა თავის დედამიწას დაუბრუნდა, ხოლო სული _ თავის შემოქმედს, უფალს ჩვენსას, რომელსა შვენის დიდება და თაყვანისცემა ჩვენგან, უნანელთა და მედიდურთაგან.

გრიგოლ რუხაია

გაგრძელება მე-15 გვ.

რისტულ, ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ვითხოვ მომეცეს საშუალება ამ დოკუმენტების წარდგინებისა...

იგი საჯაროდ შემპირდა ღია დიალოგს უნივერსიტეტში და ნაცვლად დაპირებული დიალოგისა მრავალგზის სცადა ჩემი ფიზიკური განადგურება:

– მის მიერ იქნა გავრცელებული ჭორი, თითქოს მე გადავეცი შ. ბასაევს მხედრიონელთა სია;

– თითქოს „ჩავუშვი“ ტელევიზიის აქციაზე (24/06/1992) დაპატიმრებული პატრიოტები (მათ შორის იყვნენ მამაჩემი და ბიძაჩემიც)

– მისმა აგენტებმა შესთავაზეს ეკა ხერხეულიძეს თავისუფლება ჩემი დაჭერის სანაცვლოდ, მაგრამ ვერ მოატყუეს...

– შევარდნაძის აგენტები დამეძებდნენ 93 წლის ოქტომბერში ადგილზე დასახვრეტად...

– მისი აგენტები ქმნიდნენ ჩემი მკვლელობისათვის საჭირო ფონს, როდესაც გაზეთ სამშობლო- ფორტეში დაბეჭდეს ცრუ ინფორმაცია, ჩემი დაკავების შესახებ,-ვითომცდა იმ შეიარაღებული ჯგუფის წევრობისათვის, რომელმაც იმსხვერპლა ყველასათვის პატივსაცემი პროფესორი ნოდარ ბოხუა...

– მისი აგენტების მოთხოვნით დამაპატიმრა გერმანიამ და საქართველოში ექსტრადიტაციისაგან ქართველმა პატრიოტებმა, ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებმა, ქ-ნმა ელენე ლებედევამ(ს. კოვალიოვის მოადგილე) და ესპანეთის კონსულმა მიუნხენში, ბ-ნმა ენრიკე ლორენცომ მიხსნეს...

დღესვე დავბრუნდები საქართველოში, თუ მომეცემა თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალება.

ჩემი ტაქტიკა ყოველთვის განდისეული არა-ზიანის პოლიტიკა იყო, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, და ემსახურება დაცულ იქნეს ქართველი ერის ლეგიტიმური უფლება:

– იყოს თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე და სრულუფლებიანი განმგებელი მისი...

(...პოლიტიკურ ემიგრაციაში სხვანაირად იკითხება ნიკო ლორთიფანიძე...)

– იმ ადამიანებიდან, ვინც მაშინ თქვენი თანამოაზრე იყო, დღეს ბევრი სხვადასხვა პოზიციაზე აღმოჩნდა: ცოტნე ბაკურია, ეკა ხერხეულიძე, სანდრო ბრეგაძე. თუ გაქვთ დღეს კონტაქტი ამ ადამიანებთან?

– განსხვავებული აზრის პირად დაპირისპირებად აღქმა რაციონალური პოლიტიკისათვის მიუღებელია. ჩვენ ქართული იდეა გვაერთიანებდა და არასოდეს მათ ქართველობაში ეჭვი არ შემპარვია. კავშირი არავისთან მაქვს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მინდა, დავაფიქსირო: 1992 წლის 19 იანვარს ბეტეერებით დარბეული სტუდენტთა შიმშილობის აქციის ერთერთი მთავარი მოთხოვნა იყო, – არ ჩატარებულიყო სამაჩაბლოში ანტიკონსტიტუციური რეფერენდუმი. ჩვენ გვესროლეს, ხოლო ტერორისტ კულუმბეგოვს „ რეფერენდუმი ჩაატარებინეს „დემოკრატებმა“ და აღადგინეს ლენინისეული უკანონო „სამხრეთ ოსეთი“/ იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და პრეზიდენტის განცხადება-მიმართვა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის პერეს დე კუელარის, მსოფლიოს ხალხებისა და პარლამენტებისადმი /04/27/91/.

არ მგონია რომ, ვინმეს შეიძლება, გულწრფელად სჯეროდეს საქართველოში სამხრეთ ოსეთისა და დასავლეთ ვიეტნამის რეალურად არსებობა. ვინც სცნობს ამ დოკუმენტის სამართლებრივობას, ვალდებულია დაეთანხმოს მის დასკვნას:

„საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წელს უკანონოდ შექმნილ ყოფილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, რომელიც ისტორიული შიდა ქართლი გახლავთ, რესპუბლიკის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად შეყვანილია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდძალი ჯარები, რომლებიც პროკომუნისტურად განწყობილ ოს ექსტრემისტებთან ერთად არბევენ, ხოცავენ და აპატიმრებენ ქართველ მოსახლეობას...“ -საქართველოში არ არსებობს სამხრეთ ოსეთი!..

ღმერთმა თვალნი აუხილოს საქართველოს მტრებს.

საინფორმაციო ცნობარი ნატოს შესახებ

ნატოსმცოდნეობაში ჩაჭრილი საქართველოს პრეზიდენტისათვის

5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, სპორტის სასახლის თავყრილობაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გვამცნო: „დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე ნატოში შესვლაზე ოცნებობდნენო“. ყოველმა სწავლულმა ქართველმა კი იცის, რომ დავით აღმაშენებელი მეფობდა 1089-1125 წწ. ხოლო გიორგი მესამე 1125-1184 წლებში, ხოლო „ნატო“ კი მე-20 საუკუნეში შეიქმნა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) წარმოადგენს ტრანსატლანტიკურ კავშირს, რომელიც აერთიანებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას უნიკალურ ალიანსში თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვაშინგტონის ხელშეკრულების მიხედვით ნატოს მთავარი და შეუცვლელი მიზანია მისი ყველა წევრის მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტირება პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. ამიტომ 1949 წ. მისი დაარსებიდან, ნატო უზრუნველყოფს მისი წევრების კოლექტიურ თავდაცვას. ის, აგრეთვე გვევლინება მნიშვნელოვან საკონსულტაციო ფორუმად უსაფრთხოების საკითხებზე.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეუდგა უმნიშვნელოვანესი ახალი ამოცანების შესრულებას. ერთ-ერთი მათგანი იყო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება უსაფრთხოების სფეროში დემოკრატიულ ქვეყნებთან მთელს ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. უსაფრთხოების მხრივ გარემოს ცვლილებების პასუხად მან თავის თავზე აიღო დამატებითი პასუხისმგებლობა. ის მოიცავს არა მარტო არასტაბილურობის გადალახვას, რომელიც გამოწვეულია რეგიონალური და შიდა ეთნიკური კონფლიქტებით ევროპაში, ასევე ბრძოლას ევროატლანტიკური რეგიონის გარედან მომდინარე საფრთხეებთან.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ასევე აქტიურად ეწინააღმდეგება ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას.

პასუხი უსაფრთხოების ახალ გამოწვევებზე

2001 წ. 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტების დროს მასობრივი განადგურების იარაღად გამოყენებული სამგზავრო თვითმფრინავები ადასტურებს უსაფრთხოების გარემოს შეცვლას ცივი ომის დამთავრების შემდეგ ამ მოვლენებმა თანამედროვე საზოგადოება დააყენა ახალი საფრთხის წინაშე. ამის პასუხად, ნატოს მოკავშირეებმა პირველად გამოიყენეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც ეხება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოლექტიურ თავდაცვას და კრიტიკულ სიტუაციებში გაუწიეს შეერთებულ შტატებს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა. უფრო მეტიც, ისინი შემდგომშიც აგრძელებდნენ შეერთებული შტატების დახმარებას ტერორიზმთან ბრძოლაში. ამავე დროს გადადგეს ახალი ნაბიჯი ნატოს პოტენციალის ამაღლებისათვის საერთაშორისო ტერორიზმის საშიშროებასთან გასამკლავებლად.

ნატოს სამუშაო კულტურის ადაპტაცია უსაფრთხოების გარემოების შეცვლასთან დაკავშირებით დაიწყო 1999 წელს, მოკავშირეებმა მოიწონეს ახალი სტრატეგიული კონცეფცია. ამ დოკუმენტში დახასიათებულია საფრთხეები რომელთა წინაშე დგას ჩრდილოატლანტიკური კავშირი, რისკები უსაფრთხოების სფეროში და მასთან ბრძოლის საშუალებები. რისკები უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრულია როგორც მრავალმხრივი და წინასწარ ძნელად განსაჭვრეტი. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროებას. მასში ასევე ნათლად არის ნათქვამი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების ინტერესებს შეიძლება დაემუქროს საერთო ხასიათის სხვა რისკის ფაქტორიც, როგორიცაა ტერორისტული აქტები, საბოტაჟი და ორგანიზებული დანაშაული, ასევე სასიცოცხლო რესურსებით მომარაგების მოშლა.

ასეთი საშიშროების საპასუხოდ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა წარმოადგინა რიგი ინიციატივებისა, რომელიც მიმართული იყო მისი სამხედრო პოტენციალის ამაღლებისა და ურთიერთთანამშრომლობის გაფართოვებისათვის, როგორც წევრებს შორის, ასევე პარტნიორ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათ განეკუთვნება: „თავდაცვითი პოტენციალის ინიციატივა“ — მაღალი დონის პროგრამა, წარმოდგენილი 1999 წ. რომლის მიზანიცაა სამხედრო პოტენციალის მოდერნიზაცია ახალ გარემოებების შესაბამისად; 2002 წ. ცენტრის შექმნა, რომელიც იხილავს მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებს, რომელშიც ნატოს მოკავშირეები უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას და ცდილობენ გაუწიონ კოორდინაცია საპასუხო ზომებს. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ნატოს ევროპულ წევრებს აიღონ თავის თავზე პასუხისმგებლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში.

2001 წ. 11 სექტემბერს მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა ამ ღონისძიებებს შესძინა განსაკუთრებული აქტუალობა. ყოველივე ამის შემდეგ ნატო შეუდგა თავისი საქმიანობის ღრმა ანალიზს. ამ სამუშაოების შედეგი გახდა ინიციატივები და პროგრამები, რეფორმების კომპლექსი რომელიც მოიწონეს ალიანსის ლიდერებმა 2002წ. ნოემბერს, პრაღის სამიტზე. ამავე დროს ნატოს 14-მა მოკავშირემ გააგზავნა თავისი სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში, შეერთებული შტატების მხარდასაჭერად „ალ-ქაიდა“-ს ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, წევრი სახელმწიფოების თხოვნით, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობდნენ ამ მისიის შესრულებაში, აიღო თავის თავზე ავღანეთში ISAF-ის ხელმძღვანელობა.

თუმცა ნატოს წევრებს ჰქონდათ უთანხმოებები, უსაფრთხოების ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ საუკეთესო გზების შერჩევის თაობაზე. ყველა ისინი აღიარებენ, რომ ასეთი საფრთხე შეიძლება წამოვიდეს ევროატლანტიკური რეგიონის საზღვრებს მიღმა რაიონებიდან და მათი მოგვარება შეუძლებელია მხოლოდ ერთ ორგანიზაციაზე დაყრდნობით, ან თავდაცვით სტრუქტურებზე, რომლებიც განკუთვნილია ჩვეულებრივი სამხედრო კონფლიქტების დასარეგულირებლად. ამიტომაც საჭირო ხდება ალიანსის ადაპტირება ახალ საფრთხეებთან გასამკლავებლად. ამგვარად, ისეთი სახის კავშირიდან, რომელიც შემოფარგლული იყო გეოგრაფიული ჩარჩოებით, ნატო გადაიქცა კავშირად რომელიც მზადაა მოიგერიოს ისინი მათი წარმოქმნის დროისა და ადგილის მიუხედავად.

უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად ნატო ამყარებს მჭიდრო ურთიერთობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათ შორის ევროკავშირთან, ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, გაეროსთან და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, აგრეთვე ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ნატოს წევრები. მათ შორის რუსეთთან, უკრაინასთან, ევროატლანტიკურ რეგიონში პარტნიორ ქვეყნებთან და მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სათავეები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა გამოეყო დასავლეთ ევროპას იდეოლოგიური და პოლიტიკური დაცილების გამო, რომელიც წარმოშვა ცივმა ომმა. აღმოსავლეთ ევროპა აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ. 1949წ. თორმეტმა სახელმწიფომ, რომლებიც იმყოფებოდნენ ატლანტიკის ორივე მხარეს, დადო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ გაეწიათ საბჭოთა კავშირისთვის წინააღმდეგობა, რათა მას არ გაევრცელებინა თავისი კონტროლი კონტინენტის სხვა ნაწილებში.

1947-1952 წლამდე მარშალის გეგმით უზრუნველყოფილი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური სტაბილიზაცია. ნატოს როლი გულისხმობდა კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფას ნებისმიერი ფორმის აგრესიისაგან და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიური ზრდისათვის. მაშინდელი შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის სიტყვებით მარშალის გეგმა და ნატო „ერთი თხილის ორი ნახევარი“ იყო.

ნატოს დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი) აიღეს ვალდებულება დახმარებოდნენ ერთმანეთს რომელიმე მათგანის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დემონსტრირებას ახდენდა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ან სამხედრო ზეწოლა დასავლეთ ევროპაზე, ჩაშლისთვის იყო განწირული.

ორმოცდაათიან წლების დასაწყისში მოვლენათა მსვლელობამ, რომელთა კულმინაციაც იყო ომი კორეაში თვალნათლივ დაამტკიცა დასავლეთის შეშფოთების საფუძვლიანობა საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური ამბიციების გამო. აქედან გამომდინარე ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა გააქტიურეს თავისი ძალისხმევა სმხედრო სტრუქტურების შექმნის მიმართულებით, რაც აუცილებელი იყო მათი კოლექტიური თავდაცვისთვის.

ჩრდილოეთამერიკული ძალების ყოფნამ ევროპული ქვეყნების თხოვნით მათ ტერიტორიაზე იძულებული გახადა საბჭოთა კავშირი უარი ეთქვა შეხედულებებზე, რომ აგრესია შეიძლება იყოს წარმატებული, უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში ნატოს წევრი ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა. 1952 წ. ჩრდილოატლანტიკურ კავშირში შევიდა საბერძნეთი და თურქეთი, სამი წლის შემდეგ მას შეუერთდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო 1982 წ. — ესპანეთი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამსახურებით დასავლეთ ევროპამ და ჩრდილოეთ ამერიკამ არა მარტო ერთობლივად დაიცვეს თავისი დამოუკიდებლობა, მათ ასევე მიაღწიეს სტაბილურობის უპრეცენდენტო დონეს.

ცივი ომის დამთავრება

ცივი ომის დროს ნატოს როლი და მიზნები მკვეთრად იყო განსაზღვრული საბჭოთა კავშირის მხრიდან არსებული საფრთხით.

ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში ახლად განთავისუფლებული აღმოსავლეთევროპული ქვეყნების მოთხოვნით გაუქმებულ იქნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირი დაიშალა.

ტრადიციული მოწინააღმდეგების დაშლის შემდეგ, ზოგმა ექსპერტმა ჩათვალა, რომ ნატო-ც საჭიროებას აღარ წამოადგენს და ამიტომ მომავალში შესაძლებელია თავდაცვისთვის და შეიარაღებული ძალებისთვის ხარჯების მკვეთრი შემცირება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატო-ს მოკავშირეებმა საგრძნობლად შეამცირეს თავდაცვითი ხარჯები, ზოგმა 25%-მდეც კი. მაგრამ კიდევ უფრო მეტი „სამშვიდობო დივიდენტის“ მიღების იმედი გაუმართლებლად ოპტიმისტური აღმოჩნდა. მალე გახდა ცხადი, რომ „ცივი ომის“ დამთავრების მიუხედავად, რამაც მოხსნა სამხედრო ინტერვენციის საშიშროება, არასტაბილურობა ევროპის ზოგიერთ ნაწილში გაიზარდა. ყოფილ იუგისლავიაში და ყოფილ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ნაწილში ეთნიკური დაძაბულობების ნიადაგზე წარმოიქმნა მთელი რიგი რეგიონული კონფლიქტებისა. ნატო-ს წევრი ქვეყნებისთვის ნათელი შეიქმნა, რომ ნატო-ს ფარგლებში არსებული მოვალეობები თანამშრომლობის და კოლექტიური თავდაცვის სფეროში, რჩებოდა მათი უსაფრთხოების საუკეთესო გარანტად. იმის მიუხედავად, რომ შეიარაღებული თავდასხმის საშიშროება შემცირდა, ევროპაში მშვიდობის და სტაბილურობის შესანარჩუნებლად და „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის რეგიონული დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, საჭირო შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ახალი ფორმები. მეტიც, პირველხარისხოვანი თავდაცვითი ამოცანების შესრულებასთან ერთად, საჭირო გახდა მსხვილმაშტაბიანი შინაგანი რეფორმების გატარება სამხედრო სტრუქტურების, ძალების და საშუალებების ადაპტაციისა და აღჭურვისათვის ისეთი ახალი ამოცანების შესასრულებლად, როგორიცაა კრიზისების მოგვარება, მშვიდობისმყოფელობა, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციები.

უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საპასუხოდ ნატო გახდა არა მარტო კოლექტიურ თავდაცვაზე პასუხისმგებელი შეკავშირებული ალიანსი, არამედ ძირითადი რგოლი სახელმწიფოების პარტნიორობისა, რომლებიც

გაგრძელება მე-18-19 გვ.

მჭიდროდ თანამშრომლობენ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფართო სფეროში.

როგორ მუშაობს ნატო

ჩრდილოატლანტიკური კავშირის ხანგრძლივობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მასში ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წინ უსწრებს ხანგრძლივი კონსულტაციები და დისკუსიები. გარეშე დამკვირვებელს ეს სისტემა შეიძლება მოეჩვენოს მოუხერხებლად და მოუქნელად, მაგრამ მას აქვს ორი უპირატესობა. პირველი — ყველა წევრი ქვეყანა ინარჩუნებს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. მეორე — მიღებული გადაწყვეტილება სარგებლობს ყველა წევრ ქვეყნის სრული მხარდაჭერით და განმტკიცებულია მათი შესრულების ვალდებულებით.

ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ჩრდილოატლანტიკური საბჭო, სადაც ყოველი წევრი-სახელმწიფო წარმოდგენილია მუდმივი წარმომადგენლობით ელჩის რანგში.

თავიანთ საქმიანობაში ელჩები ეყრდობიან თავიანთი ქვეყნების წარმომადგენლობებს, რომლებიც შედგებიან დიპლომატებისა და სამხედრო წარმომადგენლებისაგან. საბჭო, ელჩების შემადგენლობით, იკრიბება კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირადაც. ასევე ტარდება ალიანსის რეგულარული სხდომები საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე, საჭიროებისდა მიხედვით, სახელმწიფო და მთავრობების მეთაურების დონეზე.

ნატოს სათავეში დგას გენერალური მდივანი, რომელიც ირჩევა დაახლოებით ოთხწლიანი ვადით.

გენერალური მდივანი არის ერთ-ერთი წევრი-ქვეყნის საერთაშორისო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე. გენერალური მდივანი თავმჯდომარეობს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და ნატო-ს სხვა მნიშვნელოვანი ორგანოების სხდომებზე და ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევას წევრ-ქვეყნებს შორის. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოველდღიური საქმიანობისას ის ეყრდნობა სერთაშორისო სამდივნოს, რომელიც შედგება ყველა ნატოს წევრი-ქვეყნის ექსპერტებისა და თანამდებობის პირებისაგან.

ძალების უმეტესი ნაწილი, რომელსაც ნატოს გადასცემენ წევრი-ქვეყნები, რჩება ქვეყნების სრულ დაქვემდებარებაში იქამდე, როდესაც ისინი გადადიან ნატო-ს განკარგულებაში სხვა და სხვა ამოცანების შესრულებისთვის, დაწყებული კოლექტიური თავდაცვითი ოპერაციებით და დამთავრებული ახალი მისიებით, ისეთების როგორც სამშვიდობო მისიები და მშვიდობიანობის შენარჩუნებაა.

ნატო-ს სამხედრო და პოლიტიკური სტურქტურები უზრუნველყოფენ ნაციონალური შეიარაღებული ძალების მიერ ამ ამოცანების წარმატებული შესრულებისათვის საჭირო პერსპექტიულ დაგეგმარებას, ასევე საორგანიზაციო მექანიზმებს, რაც აუცილებელია გაერთიანებული სარდლობისთვის და ჯარის მართვისთვის, აგრეთვე სამხედრო მომზადებისთვის და სწავლებისთვის.

შსაურთსოფების გაფართოება პარტნიორობის ფეშვეობით

„ცივი ომის“ დროინდელ ევროპულ გახლეჩას მიზეზად ედოანტაგონიზმი, რომელიც არსებობდა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

„ცივი ომის“ დასრულებით გამოწვეულმა ძირეულმა ცვლილებებმა საშუალება მისცეს ნატო-ს წამოეყენებინათ რიგი ინიციატივებისა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების სფეროში და შეექმნა დიალოგისთვის საჭირო სტრუქტურები ყოფილ მოწინააღმდეგეებთან, მაგრამ ასევე ევროპის სხვა სახელმწიფოებთან და მეზობელი ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო 1991 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შექმნა. მოგვიანებით მას ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო ეწოდა და გარდაიქმნა ნატო-სა და ევროატლანტიკური რეგიონის ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოებს შორის კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მთავარ ფორუმად.

1994 წელს ნატო გამოვიდა ინიციატივით „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ეს პროგრამა მიმართულია ქვეყნების შეიარაღებული ძალების გარდაქმნის ხელშეწყობაზე იმ მიზნით, რომ მათ ითამაშონ სათანადო როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში და მონაწილეობა მიიღონ ნატო-ს ხელმძღვანელობით წარმართულ სამშვიდობო ოპერაციებში. პროგრამა ითვალისწინებს თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს და ქმნის პრაქტიკული საქმიანობის ჩარჩოს მრავალ სფეროში, ეს კი საშუალებას აძლევს მონაწილეებს აირჩიონ საქმიანობის მეტი ან ნაკლები სექტორი გამომდინარე მათი შიდა უსაფრთხოების მოთხოვნილებებიდან.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში დაგროვილმა გამოცდილებამ არსებითად შეუწყო ხელი თანამშრომლობას იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ისეთ სამშვიდობო ოპერაციებში, როგორიც ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სტაბილურობის ძალებია (SFOR) ან სამშვიდობო ძალები კოსოვოსთვის (KFOR)

1995 წელს ნატომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ექვს ქვეყანასთან — ეგვიპტესთან, ისრაელთან, იორდანიასთან, მავრიტანიასთან, მაროკოსა და ტუნისთან დააფუძნა ხმელთაშუაზღვისპირეთის დიალოგი. ეს პროგრამა, რომელსაც 2000 წელს შეუერთდა ალჟირი, მიმართულია ურთიერთობებსა და ურთიერთგაგების გაუმჯობესებისაკენ ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონების ქვეყნებთან, აგრეთვე თანამშრომლობისკენ რეგიონული უსაფრთხოების საკითხში.

1997 წელს რუსეთმა და ნატო-მ და აგრეთვე უკრაინამ და ნატომ-მ ოფიციალური საფუძველი დაუდეს თავიანთ ორმხრივ ურთიერთობებს. რეგულარული კონსულტაციებისათვის და უსაფრთხოების საკითხების განსახილველად შეიქმნა ერთობლივი მუდმივი საბჭო ნატო-რუსეთი და კომისია ნატო-უკრაინა. ამ ორგანოების სხდომებზე იხილება მრავალფეროვანი საკითხები, დაწყებული მშვიდობისმყოფელობით ბალკანეთზე, კრიზისების მოგვარებასა და მასობრივი განადგურების იარაღის განუვრცელობით, დამთავრებული თავდაცვითი კონვერსიით, ბუნების გარემოს დაცვის და სტიქიური მოვლენების საწინააღმდეგო საქმიანობის დაგეგმვით.

2002 წელს რუსეთი-ნატო-ს საბჭომ შეცვალა მუდმივი ერთობლივი საბჭო. ამ ახალ სტრუქტურაში, სადაც ყველა ქვეყანას გააჩნია თანაბარი პირობები, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ანალოგიურად გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე.

ნატოს გაფართოება

90-იანი წლების დასაწყისში მთელ რიგ აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნატოში შესვლა საშუალებას მისცემდა მათ უკეთ მოეხდინათ საკუთარი ინტერესების რეალიზება მომავალში, აქედან გამომდინარე გამოთქვეს სურვილი გამხდარიყვნენ მისი წევრები. 1999 წლის მარტში ნატოში შევიდა სამი ყოფილი პარტნიორი სახელმწიფო — უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთიე რის შედეგადაც ალიანსის შემადგენლობაში ცხრამეტი ქვეყანა აღმოჩნდა ჩრდილოატლანტიკური კავშირის პრაღის სამიტზე 2002 წ. ნოემბერში კიდევ შვიდმა ქვეყანამ (ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია) მიიღეს მოწვევა დაეწყოთ მოლაპარაკება გაწევრიანების თაობაზე. 2004 წლის მარტში ისინი ოფიციალურად შეუერთდნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს.

შვიდმა ახალმა წევრმა და ნატოს წევრობის სხვა პრეტენდენტმა კარგ შედეგებს მიაღწიეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მეშვეობით, რომელიც 1999 წელს იყო მიღებული დახმარების გასაწევად დაინტერესებული პარტნიორი სახელმწიფოებისათვის. ეს გეგმა საშუალებას აძლევს მასში მონაწილე პრეტენდენტებს მიიღონ პრაქტიკული რჩევები და მიზანმიმართული მხარდაჭერა. თავის მხრივ, მათ მოეთხოვებათ გარკვეული პოლიტიკური მიზნების მიღწევა, მათ შორის ტერიტორიული დავების მშვიდობიანი მოგვარება, დემოკრატიული პროცედურების, კანონის უზენაესობის და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის პრინციპების დაცვა. ამ გეგმით მუშაობაში მონაწილეობა არ იძლევა ნატოში გაწევრიანების გარანტიას, მაგრამ ის ეხმარება ქვეყნებს შეიარაღებული ძალების ადაპტაციაში და მათ მომზადებაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრის მოვალეობებისა და ვალდებულებებისათვის ნატოს ქვეყნების მთავრობამ მკაფიოდ განაცხადოს, რომ გაფართოება არ წარმოადგენს მათთვის თვითმიზანს. ის არის საშუალება ნატოს უსაფრთხოების ზონის შემდგომი განვრცობისათვის და მთლიანობაში ევროპის სტაბილურობის ამაღლებისათვის. გაფართოვების პროცესი ხელს უწყობს უარის თქმას კონფლიქტებზე, რამდენადაც უკვე თვით ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა სტიმულს წარმოადგენს პრეტენდენტებისათვის მეზობლებთან კონფლიქტების მოგვარებისა და რეფორმებისა და დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელების საქმეში.

ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის საფუძველი (IPAP)

წარდგენა მოხდა 2002 წლის პრაღის სამიტზე. ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ქვეყნისათვის რომელსაც გააჩნია ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავების ნება და შესაძლებლობა. ეს გეგმები ორწლიან მონაკვეთზეა გათვლილი და ითვალისწინებს თანამშრომლობის სხვადასხვა მექანიზმის თავმოყრას, რომელთა მეშვეობით პარტნიორ ქვეყანას ალიანსთან ურთიერთქმედებით ეძლევა სათანადო მხარდაჭერა საშინაო რეფორმების ინტენსიფიკაციისათვის. ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) მიერ განსაზღვრული ამოცანები კატეგორიებადაა დაყოფილი: პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები; თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები; საჯარო ინფორმაცია; მეცნიერება და გარემო; სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა; ადმინისტრაციული და რესურსების საკითხი. 2004 წელს საქართველო პირველი სახელმწიფო გახდა რომელმაც დაიწყო ნატოსთან ამ ფორმატით თანამშრომლობა, მოგვიანებით მას აზერბაიჯანი და სომხეთიც შეუერთდა.

ნატო კრიზისულ რეგიონში

ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყურადღება და ძალისხმევა უმეტესწილად ბალკანეთზე იყო კონცენტრირებული, სადაც კონფლიქტების აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ნატომ სამჯერ მიმართა სამხედრო ჩარევას — ბოსნია და ჰერცოგოვინაში 1995 წელს, 1999 წელს კოსოვოში და 2001 წელს მაკედონიაში. ნატო სათავეში ჩაუდგა სამშვიდობო მისიებს — სტაბილიზაციის ძალებს (SFOR) ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში და ძალებს კოსოვოსათვის (KFOR) სერბეთის კოსოვოს მხარეში. ორივე მისიამ მიზნად დაისახა ისეთი უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რომელშიდაც ყველა მოქალაქე, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, შეძლებენ იცხოვრონ მშვიდობიანად, და სადაც საერთაშორისო დახმარებით შეიძლება განვითარდეს დემოკრატია.

ნატოს მშვიდობისმყოფელები ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში 1995 წლის დეკემბერში გამოჩნდნენ, ხოლო კოსოვოში — 1999 წლის იანვარში მრავალი პარტნიორი სახელმწიფოს სამხედროებთან ერთად. ორივე რეგიონში ალიანსი აქტიურად უწყობდა მსხვილმასშტაბიან საომარ მოქმედებათა შეწყვეტის პროცესს. 1995 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მოკავშირეები ატარებდნენ საჰაერო ოპერაციებს ბოსნიელ სერბთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. რამაც განაპირობა ძალთა თანაფარდობის შეცვლა საომარ მოქმედებაში მონაწილე მხარეებს შორის და აიძულა ბოსნიელ სერბთა ხელმძღვანელობა მიეღო დეიტონის შეთანხმების პირობები კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე.

გაეროს მანდატი სფორ-სთვის ითვალისწინებდა როგორც მშვიდობის შენარჩუნებას, ასევე, ამის აუცილებლობისას, იძულებას მშვიდობისათვის. მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ხდებოდა სამხედრო კონტინგენტის შემცირება და ცვლილებები შედიოდა დასახულ ამოცანებში. ასეთმა წარმატებამ ნატოს საშუალება მისცა 2004 წელს სამშვიდობო მისია ევროკავშირისათვის გადაებარებინა, თუმცა შეინარჩუნა წარმომადგენლობა სარაევოში, რომლის მეშვეობითაც კვლავაც შეაქვს წვლილი მიმდინარე პოზიტიური პროცესის განვითარებაში.

სამხედრო ჩარევა კოსოვოში მოყვა ძალადობის ესკალაციას წელიწადზე

მეტი ხნის განმავლობაში, და კონფლიქტის რეგიონში გავრცელების საშიშროება წარმოიშვა. ბელგრადის მხრიდან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციათა (რომლებიც მოუწოდებდნენ მას ალბანური მოსახლეობის დევნის შეწყვეტისკენ), არაერთ დარღვევასთან.

1999 წლის მარტში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება საჰაერო კამპანია დაეწყო ამ შევიწროებაზე პასუხისმგებელ იუგოსლავიის სამხედრო და გასამხედროებულ სტრუქტურათა წინააღმდეგ.

ასეთი გადაწყვეტილება ნატომ მიიღო მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა მშვიდობიანი მოლაპარაკებებით ბელგრადის შეურიგებელი პოზიციის შეცვლა. გაეროს უშიშროების უუნარობის გამო უზრუნველეყო საკუთარი რეზოლუციათა შესრულება. ალიანსმა დაიწყო საჰაერო კამპანია რომელიც 78 დღე გაგრძელდა.

მწვავე პოლიტიკურ დისკუსიათა მიუხედავად ალიანსის წევრთა შორის, ამ ოპერაციის შედეგად ბოლო მოეღო სამარ მოქმედებებს და შეიქმნა ლტოლვილთა დაბრუნებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პირობები.

კფორ-ის მანდატი ნატოსა და იუგოსლავიის არმიას შორის მიღწეული სამხედრო ტექნიკური შეთანხმებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1244 რეზოლუციიდან გამომდინარეობს. მის წინაშე დგას სამარ მოქმედებათა განახლების თვიდან აცილების, უსაფრთხო გარემოს შექმნისა და კოსოვოს გამათავისფლებელი არმიის დემილიტარიზაციის ამოცანა. ამასთან ერთად საერთაშორისო ჰუმანიტარული ძალისხმევისა და გაეროს მისიის მხარდაჭერა ასევე ხორციელდება კფორ-ის ძალებით.

ნატო გამოეხმაურა იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის ხელისუფლების თხოვნას ეთნიკურ ალბანელთა ფორმირებების განიარაღების თაობაზე, რომელთა მოქმედებები ხელყოფდნენ ქვეყნის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ჩარევა თან სდევდა ალბანური თემისა და იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის ხელისუფლების შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იყო საერთაშორისო შუამავალთა, მათ შორის ნატოს მონაწილეობით. ოპერაციის მსვლელობისას, რომელიც 30 დღე გრძელდებოდა, დაახლოებით 3500 სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობით 4000 ერთეული იარაღი იქნა ამოღებული. ამ მოქმედებებმა და შემდგომში ნატოს მცირე სამხედრო კონტინგენტის ყოფნამ ქვეყანაში თავიდან ააცილა მას კონფლიქტის ესკალაცია და შექმნა შერიგებისა და მისი აღდგენის პირობები. 2003 წელს ნატოს მაკედონიაში ევროკავშირი ჩაენაცვლა.

მეთაურობს რა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალებს (International Security Assistance Force — ISAF) ნატო შეიმუშვებს პირობებს, რომლებიც დაეხმარება ავღანეთს ჰყავდეს წარმომადგენლობითი მთავრობა და უზრუნველყოფილი მშვიდობა და უსაფრთხოება.

ნატო-მ ითავა ISAF-ის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია 2003 წლის აგვისტოში. ეს არის ნატო-ს ისტორიაში პირველი მისია ევრო-ატლანტიკური სივრცის გარეთ. თავდაპირველად დაგეგმილი უსაფრთხოების გასანაღდებლად ქაბულსა და შემოგარენში, ალიანსის მისია ამჟამად განივრცობა ქვეყნის სხვა მხარეებშიც.

2004 წლის აგვისტოში ერაყის გარდამავალი მთავრობის მოთხოვნის პასუხად, ნატო-მ დააარსა ტრენინგის განხორციელების მისია. ნატო კისრულობს ტრენინგს, აღჭურვილობას, ტექნიკურ დახმარებას, მაგრამ არა საბრძოლო ოპერაციებს. მისიის ამოცანაა, დაეხმაროს ერაყს, რომ მისმა მთავრობამ შესძლოს ერაყის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნატო საერთოპასუხისმგებლიანი საქმიანობა

ნატოს საქმიანობის გაშუქებისას ყურადღება ძირითადად ეთმობა დიპლომატიას მაღალ დონეზე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტებს, და სამხედრო კამპანიებს. ნატო ყოველდღიურად მონაწილეობს მრავალრიცხოვანი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყოს ევროპაში უსაფრთხოების მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისინი მოიცავს აღმოსავლეთევროპული ქვეყნების დახმარებას შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში, ყოფილი სამხედრო მომსახურეებისათვის გადამზადების პროგრამების შექმნას სამოქალაქო სფეროში სამუშაოდ, დახმარების გაწევას განნაღმვასა და მოძველებული საბრძოლო მასალების მარაგების უტილიზაციაში.

ამასთან ერთად ნატო აქტიურად მონაწილეობს ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციაში. 1999 წელს ალიანსმა გახსნა სტიქიური უბედურებისა და კატასტროფებისას დახმარების გაწევის საკოორდინაციო ევროატლანტიკური ცენტრი, რომელიც მას მოქმედების კოორდინაციის საშუალებას აძლევს სასწრაფო დახმარების გასაწევად სტიქიური უბედურებისა და ანთროპოგენული საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში. მაგალითად, ნატო აქტიურად მონაწილეობდა ლტოლვილთათვის დახმარების კოორდინაციაში კოსოვოში საომარი მოქმედებების დროს 1999 წელს, ხელს უწყობდა დაზარალებულებს მიწისძვრისა და წყალდიდობებისას რიგ ქვეყნებში, მათ შორის ცენტრალურ ევროპაში 2002 წლის ზაფხულში, ასევე ეხმარებოდა თურქეთს საგანგებო ღონისძიებათა მომზადებაში მისი მოსახლეობის დასაცავად შესაძლო თავდასხმისგან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით, ერაყში ომის დროს 2003 წელს.

ნატოს ასევე გააჩნია სამეცნიერო პროგრამები რომლის მეშვეობითაც ხდება ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო პროფილის მეცნიერთა თანამშრომლობის მხარდაჭერა. ამ პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს ათი ათასამდე მეცნიერი. მათ შორისაა ინიციატივებიც კომპიუტერული ქსელების სრულყოფისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გასაფართოებლად კავკასიის და შუა აზიის მეცნიერთათვის. მეტიც, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ ამოცანათა შეცვლილი პრიორიტეტულობის შესაბამისად, ეს პროგრამა სულ უფრო მეტად უწყობს ხელს თანამშრომლობას კვლევით პროექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმისაგან დაცვასა და თანამედროვე საზოგადოების სხვა გამოწვევებისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გარდაქმნა

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უნდა შეინარჩუნოს თავისი ეფექტურობა, ამისათვის საჭიროა, რომ მან ახლებურად დაამყაროს თანაფარდობა თავის ტრადიციულ მისიებს შორის, რომელთა მიხედვით ძირითადი ყურადღება ევროპასა და ახალ გლობალურ საშიშროებებთან ბრძოლას ეთმობა. აუცილებელია აგრეთვე, რომ მან შეიძინოს სამხედრო პოტენციალი ახალი მისიების შესასრულებლად, შესწევდეს ახალ გამოწვევებზე სწრაფი და მოქნილი რეაგირების უნარი. პრაღის სამიტზე დასაბამი მიეცა ყველა ამ მიმართულებით წამოწყებული გარდაქმნების პროცესს იმ მიზნით, რომ ნატო-მ შესძლოს XXI საუკუნეში გამოწვევების მოგვარება იმავე წარმატებით, რაც გასულ საუკუნეში.

პრაღაში დაზუსტებულ იქნა ნატო-ს როლი ტერორიზმთან ბრძოლაში, რაც საფუძვლად დაედო შემდგომ ქმედებებს, მათ შორის ავღანეთში ISAF-ის მისიის ხელმძღვანელობას და ერაყის ერთ-ერთ სექტორში პოლონეთის წამყვანი როლის მხარდაჭერას.

პრაღის სამიტზე მოკავშირეებმა აიღეს კონკრეტული პოლიტიკური ვალდებულებები თანამედროვე სამხედრო ოპერაციების საკვანძო სფეროების დახვეწის მიზნით. მას შემდეგ, რაც შესრულდება ეგრეთ წოდებული პრაღის ვალდებულება პოტენციალის შესახებ, საჯარისო შენაერთების გადასასროლად განკუთვნილი მსხვილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების რაოდენობა ევროპაში გაიზრდება ოთხჯერ; შეიქმნება ჰაერში საწვავით გამმართავი თვითმფრინავების პარკი; სწრაფი რეაგირებისა და საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეზე მყოფი ნატო-ს საჯარისო ნაწილებისა და შენაერთების უმრავლესობა აღიჭურვება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული შეტევების საწინააღმდეგო საშუალებებით; მოკავშირე სახელმწიფოებში აშშ-ს გარდა 40%-ით გაიზრდება ჰაერით ტრანსპორტირებადი მაღალი სიზუსტის მქონე საბრძოლო მასალის მარაგი. ამავდროულად, ნატოელი მოკავშირეები შეთანხმდნენ შექმნანან ტექნოლოგიურად მოწინავე ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალები, რომლებიც შესძლებენ გადაადგილდნენ იქ. მოკავშირეებმა მოიწონეს აგრეთვე ჯარების მართვის ახალი, უფრო კომპაქტური და ქმედითი სტრუქტურის იერი. მომავალში ნატო-ს ეყოლება ევროპაში ოპერაციათა მართვის სტრატეგიული სარდლობა (განთავსებული ბელგიაში) და საჯარისო ნაწილებში გარდაქმნის სტრატეგიული სარდლობა (განთავსებული აშშ-ში, წარმომადგენლობითი ევროპაში). ეს უკანასკნელი დაკავებული იქნება ჩრდილოატლანტიკური კავშირის სამხედრო პეტენციალის მიმდინარე გარდაქმნის ამოცანების შესრულებით.

2004 წლის მარტიდან ნატოში 26 წევრი-სახელმწიფო შედის, ხოლო 2008 წლის გაზაფხულის სამიტზე ეს რიცხვი კიდევ ორით გაიზარდა და ნატოს ახალი წევრი ქვეყნები გახდნენ ხორვატია და ალბანეთი. მაგრამ ორგანიზაციის სამუშაო მეთოდები თითქმის უცვლელია ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ნატო-ში იყო თორმეტი წევრი. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ ქმედითობის ამაღლებისა და ბიუროკრატიული სტრუქტურების შემცირების აუცილებლობას ახალ სტრატეგიულ გარემოში მუშაობისთვის. კომიტეტების რაოდენობა, რომლებიც იყო 467, შემცირებულია 30%-ით. გაფართოებულ იქნა დაქვემდებარებული კომიტეტების გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებანი, რამაც საშუალება მისცა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს მეტი ყურადღება დაუთმოს სტრატეგიულ საკითხებს, თუმცა შეინარჩუნოს საერთო პასუხისმგებლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გადაწვეტილებების მიღების პროცესზე. ოპტიმიზირებულ იქნა აგრეთვე მინისტრთა დონეზე სესიების გამართვის პროცედურები, იმ მიზნით, რომ მეტი დრო გამოენთავისუფლებინათ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობისათვის. სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში, ეს ცვლილებები მიგვიყვანენ ჩრდილოატლანტიკურ კავშირში თანამედროვე და ქმედითი სამუშაო სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე.

ყველა ეს მრავალრიცხოვანი რეფორმა, ინიციატივა და პროგრამა, შეთანხმებული პრაღაში, მომავალი რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობის საფუძვლად იქცა. ამასთანავე, ძირითადი ყურადღება დაეთმობა რეალისტურ და მისაღწევად ამოცანებს, ისეთებს, როგორც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიების და მოსახლეობების უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნილებების შესრულებაა.

გზა მომავლისკენ

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში ნატო საგრძნობლად შეიცვალა იმ ალიანსთან შედარებით, რომელიც შეიქმნა 1949 წელს უსაფრთხოების მიზნით. ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და საერთოდ სამყარო ვითარდებოდნენ ისეთი გზებით, რომლებსაც ვერ გაითვალისწინებდნენ ნატო-ს დამაარსებლები. ახალი წევრი სახელმწიფოების ინტეგრაცია უეჭველად გამოიწვევს შემდგომი ადაპტაციის პროცესს, აუცილებელს წევრთა უმრავლესობის ინტერესების გასათვალისწინებლად და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უნარიანობის განსამტკიცებლად, სტრატეგიული გარემო მუდამ იცვლება და ამიტომ ახალი საფრთხეების უვნებელსაყოფად საჭიროა ნატო-ს განვითარების ტემპების გაზრდა.

საფრთხეთა ხასიათი, რომლებიც ემუქრებიან წევრ-სახელმწიფოებს და ნატო-ს მხრივ მათი უვნებელყოფის ხერხები იცვლება. ნატო უზრუნველყოფს ტრანსატლანტიკურ ფუძეს წინააღმდეგობისა ახალი გამოწვევების მიმართ, აკავშირებს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ინტერესებს და აწონასწორებს მათ კერძო წევრი სახელმწიფოების ინტერესებთან.

ნატოს მუდმივი გარდასახვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი-სახელმწიფოების უსაფრთხოების ამაღლებისა და ევროატლანტიკური რეგიონის მომავალი სტაბილურობის სასარგებლოდ მიმართული პროცესია. პრაღის სამიტის შემდგომ ნატოელმა მოკავშირეებმა გაზარდეს თავიანთი ძალისხმევა ნატო-ს თანამედროვე მოთხოვნილებებისადმი ადაპტაციის მხრივ, რათა დაეცვათ საერთო ღირებულებები: დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა, საერთაშორისო ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, რუსეთთან და უკრაინასთან უსაფრთხოების ხიდების აგება, სხვა სახელმწიფო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება, კრიზისების მოგვარებისა და კონფლიქტების მათ საზღვრებს გარეთ გავრცელების უვნებელყოფის ეფექტურ ინსტრუმენტად დარჩენა.

ჯიწყალება ჯიწყალებისაბან



ღირს ზინონს, წმიდა ვასილი დიდის მოწაფეს, რომელიც ორმოც წელიწადს ღვთივ საამურად ატარებდა დროს მარხულობაში, პირველად არავისგან არაფრის მიღება არ სურდა, რის გამოც გულ-უხვობის მოყვარენი, რომელთაც უკან მიჰქონდათ თავიანთი საჩუქარნი, გულითადი მწუხარებით ბრუნდებოდნენ მისგან. იმავე დროს ზინონთან მიდიოდნენ ღარიბნი და ამ დიდებულ ბერს თხოვდნენ მოწყალებას, მაგრამ რადგანაც ზინონს არაფერი ჰქონდა, რომ მათთვის მიეცა, ისინიც ბრუნდებოდნენ მისგან მწუხარენი. _ „რას მივყო ხელი? რა ვქმნა?“ ბოლოს თავისს თავს უთხრა ბერმა: „მწუხარებით მიდიან ჩემგან ისინიც, ვისაც საჩუქარს უკანვე ვატან და ისინიც, ვისაც ჩემგან უნდა მიიღოს რაიმე. მოვიქცევი ამგვარად: თუ ვინმემ მოიტანა რაიმე, გამოვართმევ, თუ ვინმე მთხოვს რამეს, მივსცემ. აღასრულა რა ესე, წმ. ზინონი თვითონაც მოსვენებით იყო და სხვებიც დაამშვიდა.

„რომელი გთხოვდეს შენ, მიეც, და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე მიიქცევი“ (მათ. 5, 42). „მოწყალებანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიან შენ, ხოლო შეიბენ იგინი ყელსა ზედა შენსა, დაწერენ ისინი ფიცარსა ზედა გულისა შენისასა და ჰპოო მადლი (იგავ. 3, 3).

ჯლეხაქმა ჯიწყალეს ღვაწლი ას ოილად უჯღაჭს

წმიდა ტიხონი, რომელიც შემდგომ შეიქმნა ემათუნტელ ეპისკოპოსად და მართლმადიდებლობის დიდ შემწედ, სიყმაწვილეში ყიდდა პურს, რადგანაც მამა მისი მეპურე იყო,. კეთილმსახური ქაბუკი გულშემატკივარი იყო: ის გლეხებს ხშირად უფულოდ აძლევდა პურს, რის გამო გაჯავრებულმა მამამ ერთხელ ის სასტიკად დასაჯა. მაშინ წმიდა ტიხონმა უთხრა მამას: „ჩემო მშობელო! შენ ტყუილად ცხარობ, მე შენ პურს ღმერთს ვაძლევ ვალად და მაქვს მისგან ხელწერილი საღვთო წერილის წიგნებში, სადაც სახელდობ თქმულია: „რომელი სწყალობს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა“ (იგავ. 19, 17); **თუ არ გჯერა, ჩავხედოთ ბეღელში.** იქ დაინახავ, როგორ უბრუნებს ღმერთი მავასხებელს თავისს ვალს“. რაკი ეს უთხრა მან მოკიდა ხელი მამას და წაიყვანა ბეღლისაკენ. გააღეს ბეღლის კარები და ნახეს, რომ ის სავსეა წმიდა და საუკეთესო ხორბლით, თუმცა წინათ მასში თითქმის არა იყო რა. მამა გაკვირდა და შეშინდა; ის დაეცა მიწაზე, მადლობა შესწირა ღმერთს და მერე არ უშლიდა შვილს თავის ნებაზე მოწყალების გაცემას.

„განაბნია და მისცა გლახაკთა და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე, რქა მისი ამაღლდეს დიდებითა“ (ფსალ. 111, 9; 2 კორინ. 9, 9).

„რომელი მისცემს გლახაკსა, არა მოაკლდეს, და რომელი მიაქცევდეს თვალსა თვისსა, ნაკლელევანებასა შინა იყოს მრავალსა“ (იგავ. 28, 27).

ჯნეიბჩიჭი სწყჭლა ღიჩსი ჭიჭენისა:

ნუ გაამჟღავნებ სხვის ცოდვას.

კითხვა: თუ ვხედავ ძმის შეცოდებას, უნდა დავფარო ისა?

მიგება: თუ დაფარავ ძმის შეცოდებას და არ გაამჟღავნებ, ღმერთიც დაფარავს შენ შეცოდებას.

მცენარეული საშუალებებით ვმკურნალობ პროსტატას, იმპოტენციას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს.

ექ. ბიძინა მესხი,
ტ. 34-02-38
მობ: 8 95 50-32-97

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55